საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№33 (598)
22 - 28 სექტემბერი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



4 **საქართველოს დილემა — ერთმორწმუნე რუსეთთან თუ სატანისტი ანგლოსაქსების იმპერიაში**

## კედელსაც ყურები აქვს



**«მოსმენებით, მიტინგების დარბევის იმიტაციით ნაცებს სურთ მოგვაჩვენონ, რომ დღეს ყველაფერი ისე ხდება, როგორც თვითონ აკეთებდნენ»** გვ. 2, 4, 5, 6

**27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა**



3 გულბაათ რცხილაძე:

**ბუნებრივ რესურსებზე მეტად საქართველოს კვალიფიციური კადრების დეფიციტი აქვს, ამიტომ ქვეყანამ ჭაჭიასნაირი ადამიანები უნდა გამოიყენოს**



**ერთ დღესაც მოსახლეობას მოსწყინდება მხოლოდ სისხლიანი პლაკატების ყურება და იმ ბილბორდებზე თქვენს თავებსაც მიახატავს** 10




**საქართველოს მესამე ნაბიჯი დასავლეთის წინააღმდეგ** 11



**სად არის ლოგიკა?!**



9



**ქალბატონო კელი დეგნან, ნუ შვრებით ამას!** 8



**მე ბრალს ვდებ...**



14-15

**ილიას გაკვეთილები ერს წინასაარჩევნოდ** 16



თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ნაცები ცდილობენ, საზოგადოებას ისეთი სურათი დაუხატონ, თითქოს ეკლესიაში პედოფილიაა; ცდილობენ, ეკლესიას, ჩვენი იდენტობის ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს, დაარტყან. ბინძური პოლიტიკოსები ამას ისე აკეთებენ, თითქოს ამ საშინელებისგან ჩვენ გვიცავენ და ფარდას ხდიან ხელისუფლებას, რომელიც მალავს ეკლესიაში არსებულ სიბინძურეს; ასევე ცდილობენ, დაგვაჯერონ, რომ ხალხსაც გვიცავენ ფარული მიყურადებისგან“.



ნანა კაკაბაძე:

# ფაქტია, რომ მოსმენების მასალებით აჟიტირებულია ნაციონალების არხები

**საქართველო პატარა ქვეყანაა, ისეთი პატარა, რომ ყველამ ერთმანეთის შესახებ თითქმის ყველაფერი იცის... „კედლებსაც ყურები აქვს“ — ეს ფრაზა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარა ქვეყანა ვართ, დღემდე აქტუალურია და ეს აქტუალობა რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთხელ დადასტურდა — ჩვენ გვისმენენ. რატომ გვისმენენ, ვის აინტერესებს ჩვენი საუბრები, ვინ სარგებლობს ამით და ვინ უნდა დაიკისროს პასუხისმგებლობა უკანონო და უზნეო მოსმენებზე — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ადამიანის უფლებათა დამცველი ნანა კაკაბაძე გვესაუბრება.**

## «ნაცები ცდილობენ, ეკლესიას, ჩვენი იდენტობის ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს, დაარტყან. ბინძური პოლიტიკოსები ამას ისე აკეთებენ, თითქოს ამ საშინელებისგან ჩვენ გვიცავენ»

— ადამიანების პირადი საუბრების მიყურადება ვისაც სურს, გასაგებია — ეს სურთ ნაციონალებს, მთავარია, ვინ იხეირა ამ მოსმენებით და ვინ იხეირებს.

ფაქტია, რომ მოსმენების მასალებით აჟიტირებულია ნაციონალების არხები. ისინი ეწევიან ე.წ. სუს-ის კრებსების ტირაჟირებას. ამ ყველაფრით სარგებლობს ოპოზიცია. ახლა გასარკვევია, ვინ გაავრცელა ეს „კრებსები“, რადგან ძალიან უშინაარსოა. დაკითხვაზე ვიყავი პროკურატურაში, იქ ყველაფერი მოვისმინე და გეტყვით, რომ არანაირი შინაარსის მქონე ეს „კრებსები“ არ არის.

**ნაციონალებს სურთ, საზოგადოებაში შექმნან პანიკა, რომ გვისმენენ. მათ ამ ე.წ. ჩანაწერების შინაარსზე არ უფიქრიათ, ღირებული ინფორმაცია არ აქვთ. მაგალითად, ჩემზე არის ინფორმაცია, რომ ნაკურთხი წყალი წავიღე...**

ჩვენ უნდა გავაანალიზოთ ოპოზიციის ქმედებები და დავინახავთ, რა სურთ. **„ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა კარგად იციან, რის გამო მოუწიათ ხელისუფლებიდან წასვლა. ეს იყო ციხის კადრები, მიტინგების სისხლიანი დარბევები, თვალთვალი და მიყურადება. ეს ყველაფერი ქართველმა ხალხმა საკუთარ თავზე გადაიტანა. შესაბამისად, ამის გამო ნაცების წინააღმდეგ ათიათასობით ადამიანი ქუჩაშიც გამოდიოდა, მაგრამ დღეს არ არის ასეთი სისასტიკე და მიტინგებიც აღარ იმართება. და, რადგან მიტინგები არ იმართება, ძნელია ხელისუფლებიდან „ოცნების“ გაშვება. სწორედ ამისთვის სჭირდება „ნაციონალურ მოძრაობას“ მოსმენები, მიტინგების დარბევის იმიტაცია. მოკლედ, სურთ, მოგვაჩვენონ, რომ დღეს ყველაფერი ისე ხდება, როგორც თვითონ აკეთებდნენ.** სწორედ ამის გამო გაჰყვირიან, დღეს სისხლიანი რეჟიმიაო, გვისმენენო... ე.წ. გავრილოვის ღამეც სწორედ აქედან გამომდინარე მოხდა. უკვე დასრულებული მიტინგის შემდეგ ისროლეს რეზინის ტყვიები და თვალები დათხარეს ადამიანებს. ასევე, ძალიან ცუდი საყურებელი იყო პოლიციელების ცემის ფაქტი. ოპოზიციამ და მასთან ასოცირებულმა პარტიებმა თუ პირებმა გარკვეულწილად შეძლეს საზოგადოებაში აღშფოთების გამოწვევა. ეს ძალიან ცუდია, ცუდია ისიც, რომ თვალი დაკარგა ადამიანმა, მაგრამ მაინც არ შეიძლება ამ ყველაფრის გათანაბრება იმასთან, რასაც ნაციონალები სჩადიოდნენ.

ნაცებს ასეთი საქციელით ყველასთვის კარგად ცნობილი „მოდელირებული ქრონიკის“ შექმნა სურთ, ცდილობენ, საზოგადოება დაარწმუნონ, რომ „ოცნება“ მათაგნ არაფრით განსხვავდება.

ე.წ. კრებსებში ძალიან სულელური დიალოგებია, ორლობის ჭორები და ძალიან გამიკვირდა, როდესაც მოვისმინე.

ყველაზე საშინელია ის, რომ ეს ბინძური კამპანია შეეხო ეკლესიასაც. **ნაცები ცდილობენ, საზოგადოებას ისეთი სურათი დაუხატონ, თითქოს ეკლესიაში პედოფილიაა; ცდილობენ, ეკლესიას, ჩვენი იდენტობის ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს, დაარტყან. ბინძური პოლიტიკოსები ამას ისე აკეთებენ, თითქოს ამ საშინელებისგან ჩვენ გვიცავენ და ფარდას ხდიან ხელისუფლებას, რომელიც მალავს ეკლესიაში არსებულ სიბინძურეს, ასევე ცდილობენ, დაგვაჯერონ, რომ ხალხსაც გვიცავენ ფარული მიყურადებისგან.**

რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ მოძღვართან მივიდა რომელიღაც პარტიული არხის ჟურნალისტი და უთხრა: თქვენზე ამბობენ, პედოფილიაო. მოძღვარი დაინტერესდა, ვისგან ჰქონდა ინფორმაცია. როდესაც ჟურნალისტმა დაუსახელა ინფორმაციის წყარო, მოძღვარმა იქვე აიღო ტელეფონი და დარეკა იმ ადამიანის ოჯახში, რომლის სახელი და გვარი უხსენა ჟურნალისტმა. აღმოჩნდა, რომ მთელი ოჯახი ამ მოძღვრის მრევლი იყო და გადაირივნენ საშინელი ინფორმაციის მოსმენით. წამში გამოაშკარავდა ამ ტელევიზიის სიბინძურე, მაგრამ ყველას ხომ არ აქვს საშუალება, დაამტკიცოს პირდაპირ ეთერში თავისი სიმართლე?! ამიტომ ძალიან კარგია, რომ გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ სწორედ ასეთ თემებზე ასე ოპერატიულად და აქტუალურად მუშაობს. თქვენი გაზეთი სიმართლეს წერს, თანაც დროულად.

**— „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტებს გვაქვს პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და გვსურს, ობიექტურად გავაშუქოთ მიმდინარე პროცესები...**

— დიახ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არსებობენ უზნეო ჟურნალისტებიც. ძალიან ცუდია, რომ ვიღაც გისმენს და გითვალთვალებს, მაგრამ უფრო დიდი სიბინძურეა, როდესაც ჟურნალისტი აქვეყნებს ამას, ტირაჟირებას უკეთებს პირადი ცხოვრების ამსახველ ამბებს, თანაც აბსოლუტურად უკანონოდ, ეს საქციელი არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, ყველგან ისჯება, ჟურნალისტს არ აქვს ამის უფლება.

არის კიდევ ერთი უბედურება — სახალხო დამცველი, რომელიც მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით შემოიფარგლება. ის არ რეაგირებს კანონის დარღვევაზე. **ჩემი და მღვდლების ჩანაწერები არის კანონის დარღვევა და პირადი ცხოვრების საჯაროდ გამომზეურება, თუნდაც უმნიშვნელო და არაფრისმთქმელი ფაქტების, მოქალაქის უფლების დარღვევა არ არის?** დღემდე არ მომისმენია ამ საკითხზე ომბუდსმენის განცხადება. რამდენიმე დღის წინათ თქვა — ვაი, რა საშინელ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რა ცუდია მოსმენაო. ერთხელ არ უხსენებია, რომ დავზარალდით ადამიანები, რომ ჩემ მიერ ეკლესიიდან ნაკურთხი წყლის წაღებაზე ტელეეთერში საუბრობენ და პროკურატურაში მიბარებენ.

სახალხო დამცველმა არ იკითხა — ვინ გაბედა ამის გაკეთება, მიმდინარეობს თუ არა გამოძიება? ჩაერთვნენ თუ არა, როგორც ხელისუფლება უწოდებს, ავტორიტეტული არასამთავრობოები გამოძიების პროცესში?

**— ომბუდსმენიც ხელისუფლების დანიშნულია, მაგრამ საინტერესოა თქვენი აზრი — ვის ეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, რასაც დღეს ვისმენთ და ვუყურებთ? ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ ვუსმენ, მგონია, რომ ისინი აზრზე არ არიან, ქვეყნის მართვა რომ აბარიათ. ყველაფერს აბრალებენ ნაციონალებს და ახლა უკვე ყოფილ პრემიერ გახარიას. მართებულია, ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლისთავზე ისაუბრო წინა ხელისუფლების წევრების დანაშაულებზე?**

— ერთი პრობლემაა, რატომ არიან „ჩარჩენილები“ ცხრა წლის თავზე ნაცები ძალოვან სტრუქტურებში და მეორე — რატომ სხედან ისინი პარლამენტში, რატომ არ შეფასდა მათი ძალადობრივ-სადისტური ქმედებები. თუ არ აღადგენ სამართლიანობას, მაშინ აღარც უნდა იწუწუნო, დღეს საშინელება დამემართაო. ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა, რომ, თუ ნაცებს არ დასჯიდა, საზოგადოებასთან პრობლემები შეექმნებოდა.

საქართველო არ არის გერმანიაზე დემოკრატიული ქვეყანა. გერმანელები დღემდე ასამართლებენ ყველას, ასაკის განურჩევლად, ვისაც შეხება ჰქონდა ფაშიზმთან. დასჯა იმისთვის არის საჭირო, რომ სხვამ აღარ გაიმეოროს მსგავსი საქციელი. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა არის დანაშაულებრივი ქმედება და რა კანონიერი. დღეს ჩვენი საზოგადოება აღრეულია, ადამიანებმა არ იციან, რა არის დასაშვები და რა არა. საზოგადოებამ იცის, რომ აზრი არ აქვს კანონის არსებობას, რადგან ის არ სრულდება.

**როდესაც ტერიტორიების დაკარგვა-გასხვისებისთვის არ გაასამართლებ ადამიანს, არ გაასამართლებ მთელი ქვეყნის და მოსახლეობის ღირსების შელახვის სისტემის შექმნისათვის და ამის ნაცვლად პიჯაკის ყიდვას წაუყენებ ბრალად, ბუნებრივია, მიიღებ აჯანყებულ საზოგადოებას, უნდობლობას და იმას, რასაც დღეს ნაცები აკეთებენ.**

სამართალი უნდა აღსრულდეს იმ შემთხვევაშიც, თუნდაც რომ „დაიქცეს“ ქვეყნიერება. **საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორ იცავს ხელისუფლება კანონის უზენაესობას. თუკი ასე არ მოხდება, მაშინ ყოველთვის გვექნება ისეთი მოცემულობა, როგორიც დღეს გვაქვს. წარმოდგენა არ მაქვს, ვინ უნდა დასაჯონ ამ მოსმენებისთვის, რადგან დარჩა ნაციონალებისდროინდელი „კასრები“, ჩვენ ეს ვიხილეთ და ისიც ვიცით, რომ არავინ არ დასჯილა. უფრო მეტიც, დამნაშავეები პარლამენტში სხედან.** აქედან გამომდინარე, რაღაც სულელური ინფორმაცია რომ მოისმინა, ის როგორ უნდა დასაჯონ?!

ხელისუფლებამ დანაშაული ჩაიდინა, როცა ნაცები არ გაასამართლა. დღეს ყველა ჯალათი და მწამებელი ხელისუფლებაშია, ყველა თანამდებობაზეა.

ხელისუფლება დასავლეთის ზეგავლენის ქვეშაა და ჩვენი პრობლემაც ეს არის. თუკი ღირსეული ქვეყნის ღირსეული ხელისუფლება ხარ, კეთილი ინებე და ნუ შეასრულებ ისეთ განკარგულებას, რომელიც შენს კონსტიტუციასა და კანონს ეწინააღმდეგება. ვერ უნდა გაგიბედოს დასავლეთმა შენი ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლა. **ანტიკონსტიტუციურ დოკუმენტს ხელს აწერ და თავი მოგწონს?! მიშელია თუ გრიშელი, იმის ნაწერს ხელს აწერ, შიგნით რა წერია, არ კითხულობ?! ხუთი პუნქტიდან სამი რომ არაკონსტიტუციურია, ვერ ხვდები?! ამის შემდეგ მე, ნანა კაკაბაძეს, ან ვინმეს ამ ქვეყანაში კანონის დაცვა როგორ უნდა მოსთხოვონ?!**

ხელისუფლებამ კონსტიტუცია თავზე დაგვამხო. რატომ გააბედვინეს დასავლეთს კოაბიტაციის თავსმოხვევა?! კოაბიტაცია ნიშნავს თანაარსებობას განსხვავებული თვალსაზრისის მქონესთან, მაგრამ არ კრიმინალთან...

საქმე ის არის, რომ ხელისუფლება არ დგას თავის სიმაღლეზე, რადგან ჩვენი ქვეყნის თავისუფლება მათ არ მოუპოვებიათ, მაგრამ კეთილი ინებონ და, რაც მემკვიდრეობით ერგოთ, ის გადასცენ მომავალ თაობებს.

«ნაციონალური მოძრაობის» წევრებმა კარგად იციან, რის გამო მოუწიათ ხელისუფლებიდან წასვლა. ეს იყო ციხის კადრები, მიტინგების სისხლიანი დარბევები, თვალთვალი და მიყურადება. ეს ყველაფერი ქართველმა ხალხმა საკუთარ თავზე გადაიტანა. შესაბამისად, ამის გამო ნაცების წინააღმდეგ ათიათასობით ადამიანი ქუჩაშიც გამოდიოდა, მაგრამ დღეს არ არის ისეთი სისასტიკე და მიტინგებიც აღარ იმართება. და, რადგან მიტინგები არ იმართება, ძნელია ხელისუფლებიდან «ოცნების» გაშვება. სწორედ ამისთვის სჭირდება «ნაციონალურ მოძრაობას» მოსმენები, მიტინგების დარბევის იმიტაცია. მოკლედ, სურთ, მოგვაჩვენონ, რომ დღეს ყველაფერი ისე ხდება, როგორც თვითონ აკეთებდნენ

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„რეალურია ის, რომ რუსეთის ნდობა მოვიპოვოთ, აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები, დამყარდეს სამოკავშირეო ურთიერთობები, რათა მეზობელი ქვეყანა დარწმუნდეს, როგორი მნიშვნელოვანია მისთვის საქართველო, როგორც გეოპოლიტიკური მოკავშირე, და მხოლოდ ასეთი კომპლექსური ღონისძიებების გატარების შემდეგ (შესაძლოა, ამას წლები დასჭირდეს) გაჩნდება საფუძველი, რომ ქართველებმა, ოსებმა და აფხაზებმა რუსებთან ერთად დავილაპარაკოთ და მივაღწიოთ გარკვეულ შეთანხმებებს. თუ ეს ასე მოხდება, ძალიან კარგი იქნება, სხვა ყველაფერი კი ბლეფია“.

აქტუალური ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გულბაათ რცხილაძე:

# საქართველოს ვნებს გავრცელებული ტერმინი «ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა»

**27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას წინ უძღოდა 1993 წლის 27 ივლისს სოჭში დადებული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის ზონიდან სამხედრო ტექნიკის გაყვანის თაობაზე, მაგრამ ეს შეთანხმება 16 სექტემბერს აფხაზებმა დაარღვიეს. ამ დღეს სეპარატისტებმა ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს სოხუმზე ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთიდან. საქართველოს კი, შეთანხმების თანახმად, მძიმე შეიარაღების დიდი ნაწილი უკვე გაყვანილი ჰყავდა კონფლიქტის ზონიდან. ქართულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს შემოტევას და ქალაქი დაეცა. დაუზუსტებელი მონაცემებით, ამ კონფლიქტში 10 ათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 300 ათასი კი უსახლკაროდ დარჩა და დევნილად იქცა. სოხუმის დაცემის დღეს აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა 30-მდე ქართველთან ერთად დახვრიტეს. 27 სექტემბერს დაეცა სოხუმი, 29 სექტემბერს — ოჩამჩირე, ხოლო 30 სექტემბერს — გალი, შედეგად აფხაზეთი სეპარატისტების ხელში გადავიდა. რა შანსი აქვს საქართველოს, რომ აფხაზეთი კვლავ ჩვენი ქვეყნის იურისდიქციაში მოექცეს? რა შეცდომები დაუშვა საქართველოს ხელისუფლებამ და რა უნდა გავაკეთოთ, უწინარესად, ქვეყანა რომ გამთლიანდეს? ამ საკითხზე რამდენიმე წლის წინ ვესაუბრეთ „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს — გულბაათ რცხილაძეს. დღეს მკითხველს ისევ ვთავაზობთ ამ ინტერვიუს, ვინაიდან მასში წამოჭრილი საკითხები არათუ გადაიჭრა, პირიქით, გამძაფრებულია კიდეც.**

**— ბატონო გულბაათ, 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. სამწუხაროდ, ამ დღეს მხოლოდ დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემი ღონისძიებებით შემოვიფარგლებით ხოლმე, დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად კი ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს ქვეყანას. მეტიც — სოციოლოგიურ კვლევებში თითქმის გაქრა პუნქტი ტერიტორიების დაბრუნების მოთხოვნის შესახებ, ამ საკითხზე არ საუბრობენ საპრეზიდენტო კანდიდატები და პოლიტიკური პარტიები....**

— დავიწყოთ იმით, რომ შეკითხვაში უკვე შეცდომა დაუშვით. საქართველოს ვნებს გავრცელებული ტერმინი „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“, რომელიც ოსებისა და აფხაზებისთვის ომთან, ჩაგვრასა და განადგურებასთან ასოცირდება. თუ ვილაპარაკებთ საქართველოს გამთლიანებაზე, ნებაყოფლობით გაერთიანებაზე, რომ ოსები და აფხაზები ისევ დაგვიბრუნდნენ, რათა ჩვენთან ერთად იცხოვრონ ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში, ეს სულ სხვა საკითხია.

სამწუხაროდ, ბევრი საუბრობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, მაგრამ ეს მავნებლობასთან ერთად ისე არარეალურია, რომ ხალხში უკანა პლანზე გადაინაცვლა. მეძავი პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, ხალხი ხვდება, რომ ასე საუბარი არ შეიძლება. პოლიტიკოსები, პრონატოელები თუ პრორუსები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ლაპარაკობენ, რაც უკვე შეცდომაა.

რეალურია ის, რომ რუსეთის ნდობა მოვიპოვოთ, აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები, დამყარდეს სამოკავშირეო ურთიერთობები, რათა მეზობელი ქვეყანა დარწმუნდეს, როგორი მნიშვნელოვანია მისთვის საქართველო, როგორც გეოპოლიტიკური მოკავშირე, და მხოლოდ ასეთი კომპლექსური ღონისძიებების გატარების შემდეგ (შესაძლოა, ამას წლები დასჭირდეს) გაჩნდება საფუძველი, რომ ქართველებმა, ოსებმა და აფხაზებმა რუსებთან ერთად დავილაპარაკოთ და მივაღწიოთ გარკვეულ შეთანხმებებს. თუ ეს ასე მოხდება, ძალიან კარგი იქნება, სხვა ყველაფერი კი ბლეფია. მხოლოდ ასეთ გადაწყვეტილებას ექნება ხალხის მხარდაჭერა, დანარჩენს ქართველი საზოგადოება მხარს არ დაუჭერს. სხვა დანარჩენი, რასაც ახლა ხელისუფლება გვთავაზობს, არარეალურია.

**— 2000 წელს და უფრო ადრეც პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ერთ–ერთ გაზეთს მისცა ინტერვიუ, სადაც ის ამბობდა: „ჩვენი ქვეყნის დღევანდელმა მმართველებმა კარგად უწყიან, რომ ხალხი თანდათან ყველაფერს ეგუება და რა დანაშაულებრივი ქმედებაც არ უნდა ჩაიდინოს ხელისუფლებამ, საზოგადოებას პროტესტის თავიც არ აქვს. ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი შეეგუა იმ აზრსაც, რომ აფხაზეთი დაკარგულია“. მართლა შეეგუა ხალხიც და მთავრობაც სოხუმისა და ცხინვალის დაკარგვას?**

— კი, ასეა. მთავრობა და საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეგუებულია. ახლაც და შორეულ პერსპექტივაშიც სასიკეთო არაფერი მოხდება. ეს თვითონაც იციან, თუმცა, შესაძლოა, საოცრების მოლოდინში არიან. იმ ინტერვიუში ალექსანდრე ჭაჭია ამბობს: იმხანად ყველას სჯეროდა, რომ „შევარდნაძე რამეს იზამს“... მართლაც ასე იყო, ხალხი შევარდნაძისგან საოცრებას ელოდა — გამოცდილ პოლიტიკოსს მსოფლიო პატივს სცემდა. მერე იყო სააკაშვილი, რომელიც პროვოკაციულად და უსინდისოდ აღვივებდა იმედს ხალხში. გახსოვთ, ალბათ, მისი ბრიყვი მინისტრი ოქრუაშვილი რომ ამბობდა: ახალ წელს ცხინვალში შევხვდებითო. ამ ტყუილებს იმედგაცრუების დიდი ტალღა მოჰყვა.

მართალს ამბობდა ალექსანდრე ჭაჭია, 2000 წელს უკვე იყო არეულობის ნიშნები, შევარდნაძის გარემოცვა დასუსტებული გახლდათ, არეულ-დარეული იყო ყველაფერი, სააკაშვილი და მისი გუნდი საბოტაჟს ამზადებდა, შესაბამისად, სოხუმი და ცხინვალი აღარავის ახსოვდა.

**— 2013 წელს, როდესაც ახალი ხელისუფლება — „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა, ალექსანდრე ჭაჭიამ ასეთი რამ თქვა: „ხელისუფლებას ვთავაზობდი, პრეზიდენტი კანონით დაევალდებულებინა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით დაკავებულიყო აფხაზებთან, ოსებთან და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დარეგულირებით, მაგრამ ხელისუფლებამ ბუტაფორიული პრეზიდენტი არჩია“.**

— ძალიან კარგი იქნებოდა, პრეზიდენტისთვის ეს ფუნქციები შეეთავსებინათ კანონით, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, თვითონ ალექსანდრე ჭაჭია ყოფილიყო პრეზიდენტი. ისეთ პრეზიდენტს, დღეს საქართველოს რომ ჰყავს, რა მნიშვნელობა აქვს, რა უფლება-მოვალეობა ექნება?!

ერთხელ ერთ-ერთ აქციაზე ასეთი რამ ვნახე და ძალიან მომეწონა: ახალგაზრდა ბიჭს ხელში ბანერი ეჭირა წარწერით: „სალომე, სანამ გაეროში სიტყვით გამოხვალ, ტექსტი წაგვაკითხე!“

**— შეძლებდა ალექსანდრე ჭაჭია რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დარეგულირებას, აფხაზებსა და ოსებთან მოლაპარაკებას, ურთიერთობის დათბობას?**

— მე თითქმის ყველა ინტერვიუში ვამბობ, ბლოგში თუ საინფორმაციო პორტალში ვწერ, რატომ არ იყენებს მთავრობა ჭაჭიას პოტენციალს-მეთქი. არსად არ დანიშნონ, უბრალოდ, შესაბამისი სტატუსი მიანიჭონ და საქმე გააკეთებინონ. ბატონმა ალექსანდრემ თავისი შესაძლებლობების გამოყენება ბევრჯერ შესთავაზა ხელისუფლებას, ისე, რომ თანამდებობა არ მოუთხოვია, არ მოუთხოვია ძალაუფლება და არც ის უთქვამს, რომ ქვეყანას ევრაზიულ კავშირში შეიყვანდა. ის, უბრალოდ, დახმარების ხელს უწვდის საქართველოს რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის დასარეგულირებლად. ჭაჭია უნდა გამოჩნდეს რუსეთის პრეზიდენტთან ერთად და მერე ნახავთ, აქ რა ამბები დატრიალდება, როგორ შეიცვლება დამოკიდებულება მის მიმართ.

რუსებს ჩამოუყალიბებელი აქვთ თავიანთი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, ყველაფერი გადავადებული აქვთ. ჩვენი ხელისუფლება კი თვლემს და დუმს. არადა, საჭიროა ისეთ ადამიანთან თანამშრომლობა, როგორიცაა ალექსანდრე ჭაჭია. ის არის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბრწყინვალე ანალიტიკოსი და აუცილებელია ასეთი ადამიანის ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენება.

ბუნებრივ რესურსებზე, წიაღისეულზე, ფულსა და ბუნებრივ სიკეთეებზე მეტად საქართველოს კვალიფიციური კადრების დეფიციტი აქვს, ამიტომ, როდესაც ასეთი შესაძლებლობა აქვს ქვეყანას, როდესაც ჰყავს ალექსანდრე ჭაჭიასნაირი ადამიანი, უნდა გამოიყენოს. ბატონი ალექსანდრე ქვეყანას გამოადგება რუსეთში, მას აქვს ავტორიტეტი მეზობელ ქვეყანაში, რომ არაფერი ვთქვათ სოხუმსა და ცხინვალზე, შეუძლია ბევრი რამის მოგვარება, ამიტომ უნდა ჰქონდეს სტატუსი. ის, როგორც კერძო პირი, ვერ იმუშავებს სახელმწიფოს საქმეებზე — ეს ყველგან უნდა ითქვას მკაფიოდ.

**— რა შანსი არსებობს აფხაზეთის შემოერთების?**

— შევთანხმდეთ, რომ „ტერიტორიების შემოერთებას“ აღარ ვიტყვით.

რა ტერიტორიების დაბრუნება? სად ვართ?! ვის მოუნდება ამ ქვეყანაში დაბრუნება ან ტერიტორიებს ვინ დაგვითმობს? ჩვენს ვაიპოლიტიკოსებს ჯერ ისიც ვერ გაუგიათ, აფხაზეთში ვინ გვებრძოდა. ამბობენ, რუსეთს ვეომებოდითო. ჩვენი საზოგადოების რაღაც ნაწილში ჯოხარ დუდაევის კულტი რომ არის გამეფებული, მათ მოჰკითხონ, ვის ვებრძოდით და რატომ დაიკარგა აფხაზეთი. ჯერ გავარკვიოთ, ჩეჩენი და ჩრდილოკავკასიელი ბანდიტები რას სჩადიოდნენ ამ ომში. სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, სანამ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა, ამ თემაზე საუბარი ცალმხრივი იქნება.

უიმედოა საქართველოს მდგომარეობა ამ წუთშიც და უახლოეს მომავალშიც. აფხაზეთი კი არა, აგერ, აჭარაში რა ხდება, ის ვერ გაგვიგია; ჯერ ვერ გაგვირკვევია, მეჩეთები გვინდა, ტურიზმის განვითარება თუ თურქეთი. ასე რომ, იმას მივხედოთ, რაც ჯერ არ დაგვიკარგავს, დაკარგულზე კი მერე ვილაპარაკოთ.


ალექსანდრე ჭაჭია

**«მე თითქმის ყველა ინტერვიუში ვამბობ, ბლოგში თუ საინფორმაციო პორტალში ვწერ, რატომ არ იყენებს მთავრობა ჭაჭიას პოტენციალს-მეთქი. არსად არ დანიშნონ, უბრალოდ, შესაბამისი სტატუსი მიანიჭონ და საქმე გააკეთებინონ. ბატონმა ალექსანდრემ თავისი შესაძლებლობების გამოყენება ბევრჯერ შესთავაზა ხელისუფლებას, ისე, რომ თანამდებობა არ მოუთხოვია, არ მოუთხოვია ძალაუფლება... ის, უბრალოდ, დახმარების ხელს უწვდის საქართველოს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის დასარეგულირებლად... ბუნებრივ რესურსებზე, წიაღისეულზე, ფულსა და ბუნებრივ სიკეთეებზე მეტად საქართველოს კვალიფიციური კადრების დეფიციტი აქვს, ამიტომ, ქვეყანას როდესაც ჰყავს ალექსანდრე ჭაჭიასნაირი ადამიანი, უნდა გამოიყენოს. ბატონი ალექსანდრე ქვეყანას გამოადგება რუსეთში, მას აქვს ავტორიტეტი მეზობელ ქვეყანაში, რომ არაფერი ვთქვათ სოხუმსა და ცხინვალზე, შეუძლია ბევრი რამის მოგვარება, ამიტომ უნდა ჰქონდეს სტატუსი. ის, როგორც კერძო პირი, ვერ იმუშავებს სახელმწიფოს საქმეებზე — ეს ყველგან უნდა ითქვას მკაფიოდ»**

ესაუბრა
ეკა ნასყიდაშვილი

ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აშშ-ის მხრიდან მსოფლიოს ერთპიროვნული მართვა, ჰეგემონია დასასრულს მიუახლოვდა. ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი მრავალპოლუსიანით (სავარაუდოდ, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი და აშშ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ევროკავშირი, თუმცა ამაზე ქვემოთ) შეიცვლება და საქართველო დილემის წინაშე აღმოჩნდება — ჩვენს ქვეყანას მოუწევს იმის განსაზღვრა, რომელ პოლუსს შეაფარებს თავს, რადგან კვლავ ურაპატრიოტობა — არც ის მინდა და არც ეს, საბოლოოდ დაღუპავს საქართველოს.**

**ბოლო პერიოდში მსოფლიოს თითქმის ყველა პოლიტოლოგ-ექსპერტისა და მედიასაშუალების ყურადღება ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების სამარცხვინო ევაკუაცია-გაქცევისკენ იყო მიპყრობილი. ამ მხრივ გამონაკლისი ვერც „საქართველო და მსოფლიო" იქნებოდა. გაზეთის წინა, 32-ე ნომერში, გამოქვეყნებულ მასალების დიდი ნაწილი ეძღვნებოდა სწორედ ამ თემას — ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, აშშ-ის „დემოკრატიული" იმპერიის კრახს, ანუ ე.წ. ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრულის ოფიციალურად გაფორმებას. დიახ, მხოლოდ ოფიციალურად გაფორმებას, თორემ დე ფაქტო ერთპოლუსიანი მსოფლიო, კარგა ხანია (მას შემდეგ, რაც „რუსმა დათვმა" ბრჭყალები გამოაჩინა), აღარ არსებობს.**

# საქართველოს დილემა — ერთმორწმუნე რუსეთთან თუ სატანისტი ანგლოსაქსების იმპერიაში

## ფრანგებს რა გაუბედეს და ჩვენ რას გვიზამენ, წარმოგიდგენიათ?!



**რუსეთი მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფოა, იმდენად დიდი, რომ არ შეიძლება ვინმეს ან რამეს წევრი, ნაწილი იყოს. რუსეთი არც აზიაა, არც ევროპა, არც ჩრდილოეთი და არც სამხრეთი — იგი 8 საათობრივ ზოლზე გადაჭიმული, აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრის მფლობელი, კულტურულ-ეკონომიკური სივრცეა. მას უპირისპირდება ანგლოსაქსების ლიბერასტული იმპერია, რომელიც, როგორ ექცევა ძლიერი ეკონომიკის «სტრატეგიულ პარტნიორ» საფრანგეთს, უკვე ვნახეთ. მიუხედავად ამისა, მაინც ნატო-ევროკავშირი აკერია პირზე ჩვენს ქოც-ნაცების ხელისუფლებას**

„ბრჭყალების გამოჩენაში" 2007 წელს მიუნხენის კონფერენციაზე **ვლადიმერ პუტინის** აწ უკვე ისტორიული გამოსვლა იგულისხმება, როცა მან ხმამაღლა განაცხადა, რომ ახლა რუსეთი „კოლექტიური დასავლეთის" მიერ ლოთბაზარა **ელცინის** პრეზიდენტობისას დაჩოქებული კი არა, გეოპოლიტიკაში დაბრუნებული, თავისი სტრატეგიული ინტერესების დასაცავად ორ თათზე მრისხანედ შემართული დაუნდობელი „რუსული დათვია"-ო... მაგრამ, ყოველივე ეს აშშ-მა, ეტყობა, უსაფუძვლო პროპაგანდად, ბლეფად ჩათვალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიშიკოს 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ომს არ დააწყებინებდნენ ოკეანისგაღმელი პატრონები. გაქცევაში მაგრები რომ არიან, ეს ავღანეთამდეც გვიჩვენეს ჩვენმა „სტრატეგიულმა მოკავშირეებმა", როდესაც რუსეთ-საქართველოს ომის დროს ფოთში შემოსული „ოკუპანტების" დანახვისას უკან მოუხედავად მოკურცხლეს და მართალია, არა იმდენი, რამდენიც ავღანეთში, მაგრამ, რამდენიმე „ჰამერი" და სხვა სახის სამხედრო ტექნიკა შეატოვეს რუსეთის ჯარს. რუსებს ძალა რომ „შესწევთ ქადილისა", მიუნხენის შემდეგ მყისვე თუ არა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გამოჩნდა — **გეოპოლიტიკაში ისეთი მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს მსოფლიოში ახალი ერა დაიწყო და ეს ისევ ვლადიმერ პუტინის ისტორიულ, ფრთიან ფრაზას უკავშირდება გაეროს საიუბილეო, 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საგანგებო სესიაზე, რომელსაც „კოლექტიური დასავლეთის" ქვეყნების პირველი პირები ესწრებოდნენ.** რუსეთის პრეზიდენტმა 2015 წლის 28 სექტემბერს წარმოთქმული სიტყვა დაასრულა ფრაზით: „Вы хоть понимайте, что вы натворили" და ისე, რომ საიუბილეო სხდომის დასრულებას არ დალოდებია, თავის თვითმფრინავს მიაშურა. ამით, ხატოვნად თუ ვიტყვით, „კარი გაიჯახუნა" და მეორე დღესვე რუსეთის ავიაკოსმოსურმა ძალებმა პირველი სარაკეტო დარტყმები განახორციელეს სირიის ტერიტორიაზე მოქმედი ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ინფრასტრუქტურაზე. ხოლო, როდესაც კასპიის ზღვის აკვატორიიდან (რომელიც სირიას დაახლოებით 1500 კმ-ით არის დაშორებული) „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტების პოზიციებზე „კალიბრის" უახლესი რაკეტებით უზუსტესი დარტყმები განახორციელეს, ლიბერასტი „ურწმუნო თომები" იძულებულნი შეიქნენ, ეღიარებინათ, რომ, რასაც ცოტა ხნის წინათ პუტინის მიერ დასავლეთის დასაშინებლად შექმნილ პროპაგანდისტულ მულტფილმს უწოდებდნენ, ანიმაცია კი არა, სინამდვილე ყოფილა. ახლახან კი **რუსეთის ე.წ. ჰიპერბგერითი რაკეტების „მულტიკებმა" კოლექტიური დასავლეთი, რომელიც ჯერჯერობით, რომ იტყვიან, „ახლოსაც არ არის" ჰიპერბგერით-მულტფილმებთან, შოკში ჩააგდო, რადგან ხედავს, რომ ჰიპერბგერითი რაკეტებიც, ბირთვულისა არ იყოს, შემაკავებელი ფაქტორია.** თუ ბირთვული ომის შემთხვევაში დედამიწა განადგურდება, პუტინის ფრთიანი ფრაზის მიხედვით, მხოლოდ ერთი ნუგეში გვექნება — ისინი, როგორც ბირთვული აპოკალიფსის დამწყებნი, ჩაძაღლდებიან, ხოლო ჩვენ, როგორც მოწამენი, სამოთხეში ვცხონდებით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება, მასზე დაფიქრება ჩვენს უნიათო მთავრობასაც არ აწყენდა, რადგან **აშშ-ის მხრიდან მსოფლიოს ერთპიროვნული მართვა, ჰეგემონია დასასრულს მიუახლოვდა, ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი მრავალპოლუსიანით (სავარაუდოდ, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი და აშშ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ევროკავშირი, თუმცა ამაზე ქვემოთ) შეიცვლება და საქართველო დილემის წინაშე აღმოჩნდება — ჩვენს ქვეყანას მოუწევს იმის განსაზღვრა, რომელ პოლუსს შეაფაროს თავი, რადგან კვლავ ურაპატრიოტობა — არც ის მინდა და არც ეს, საბოლოოდ დაღუპავს საქართველოს.**

წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ავღანეთში ანგლოსაქსების კრახმა ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასრულება გამოიწვია, მაგრამ არაფერი გვითქვამს იმაზე, რომ იანკების ჰეგემონიის დასასრული ნატოს, ევროკავშირის დასასრულის დასაწყისიც შეიძლებოდა ყოფილიყო...

ანგლოსაქსებმა 2016 წელს საფრანგეთსა და ავსტრალიას შორის დადებული მრავალმილიარდიანი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც საფრანგეთს ავსტრალიისთვის დიზელისძრავიანი წყალქვეშა ნავები უნდა დაემზადებინა, ჩაშალეს. ავსტრალიას საფრანგეთის ნაცვლად ატომურძრავიან წყალქვეშა ნავებს (ატომური ძრავებით) აშშ აუგებს. ამით პარიზმა, ეკონომიკურთან ერთად, მორალური ზარალიც მიიღო, ამას ამაყი ფრანგები ეკონომიკურ ზარალზე უფრო მეტად განიცდიან. ანგლოსაქსების საქციელმა ისეთი დიპლომატიური სკანდალი გამოიწვია, რომ საფრანგეთმა აშშ-სა და ავსტრალიასთან მრავალწლიანი ურთიერთობების განმავლობაში პირველად, ვაშინგტონიდან და კანბერადან ელჩები გაიხმო. უფრო მეტიც — საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტრმა **ფლორანს პარლიმ** მის ბრიტანელ კოლეგა **ბენ ვოლასთან** მიმდინარე კვირაში დაგეგმილი შეხვედრა გააუქმა.

საფრანგეთის მთავრობის პრესსპიკერის ინფორმაციით, პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი** და მისი ამერიკელი კოლეგა **ჯო ბაიდენი** შექმნილი კრიზისის გამო უახლოეს დღეებში სატელეფონო საუბარს გამართავენ. ეს საუბარი კი, როგორც ერთმა ფრანგმა დიპლომატმა განაცხადა, „ტკბილი არ იქნება". **სად არის, რატომ არსად ჩანს ამ სკანდალში ბრიტანეთი? პარიზმა რატომ ლონდონიდანაც არ გაიწვია თავისი ელჩი კანბერა-ვაშინგტონის მსგავსად? ლონდონი ხომ ზემოხსენებული მრავალმილიარდიანი კონტრაქტის ჩაშლის ერთ-ერთი ინიციატორია? სად არის და, როგორც საფრანგეთის საგარეო მინისტრმა განაცხადა, ევროკავშირის შემდგომი დეზინტეგრაციისთვის, ანუ დაშლისთვის იღვწის.** ისე, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ევროკავშირის დაშლისა და მის წევრებთან ცალ-ცალკე ინდივიდუალური მოლაპარაკებების დაწყების იდეა აშშ-ის ექსპრეზიდენტ დონალდ ტრამპს ეკუთვნის. ევროკავშირის დაშლის პირველი საგანგაშო ზარი ლონდონმა დაარისხა და ბრიტანელებმა დატოვეს კიდეც ეს გაერთიანება. აქედან გამომდინარე, ევროკავშირში საფრანგეთისა და გერმანიის სახით ეკონომიკურ-პოლიტიკურად მხოლოდ 2 დიდი მოთამაშე დარჩა. პირველი იერიში პარიზზე მიიტანეს ანგლოსაქსებმა, რომელსაც ლოგიკურად შეიძლება მოჰყვეს გერმანიაზე შეტევა, ეს კი ევროკავშირის დაშლას გამოიწვევს... რაც შეეხება მართლმადიდებელ რუსეთს, ეს ზესახელმწიფო აუცილებლად გახდება (თუმცა რაღა გახდება, უკვე არის) ახალი მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი პოლუსი, ამიტომ ვიმეორებ: **საქართველო დილემის წინაშე აღმოჩნდება და მოუწევს, მიიღოს გადაწყვეტილება — რომელ პოლუსს შეაფაროს თავი.**

რუსეთი მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფოა, იმდენად დიდი, რომ არ შეიძლება ვინმეს ან რამეს წევრი, ნაწილი იყოს. რუსეთი არც აზიაა, არც ევროპა, არც ჩრდილოეთი და არც სამხრეთი — იგი 8 საათობრივ ზოლზე გადაჭიმული, აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრის მფლობელი, კულტურულ-ეკონომიკური სივრცეა. მას უპირისპირდება ანგლოსაქსების ლიბერასტული იმპერია, რომელიც, როგორ ექცევა ძლიერი ეკონომიკის „სტრატეგიულ პარტნიორ" და ნატო-ს წევრ საფრანგეთს, უკვე ვნახეთ. მიუხედავად ამისა, მაინც ნატო-ევროკავშირი აკერია პირზე ჩვენს ქოც-ნაცების ხელისუფლებას. ფრანგებს რა გაუბედეს და ჩვენ რას გვიზამენ, წარმოგიდგენიათ?!

**დავით მხეიძე**

**სად არის, რატომ არსად ჩანს ამ სკანდალში ბრიტანეთი? პარიზმა რატომ ლონდონიდანაც არ გაიწვია თავისი ელჩი კანბერა-ვაშინგტონის მსგავსად? ლონდონი ხომ ზემოხსენებული მრავალმილიარდიანი კონტრაქტის ჩაშლის ერთ-ერთი ინიციატორია? სად არის და, როგორც საფრანგეთის საგარეო მინისტრმა განაცხადა, ევროკავშირის შემდგომი დეზინტეგრაციისთვის, ანუ დაშლისთვის იღვწის**

„ვისაც ამდენი ხანია, დასატოვებელი აქვს მღვდლობა, უნდა დატოვოს. უნდა წავიდეს, ვინც მრუშია, მამათმავალი, ნარკომანი... რა უნდა ასეთ ხალხს ეკლესიის წიაღში?! ის კი არა, მე რაღაც ორი სიტყვა რომ ვთქვა გადაბრუნებული, მაშინვე საპატრიარქოში მეძახიან და პასუხს მთხოვენ... ყველამ იცის, ვინ არის მრუში, ვინ — მამათმავალი და ა.შ. დაუძახონ ყველას და ერთხელ და სამუდამოდ ამ ადამიანებს ეს ტვირთი მოხსნან, არავის არაფერი რომ არ ჰქონდეს სალაპარაკო“.

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა გიორგი (რაზმაძე):

# მადლობა ღმერთს, მოგვეცა შანსი, რაღაც-რაღაცებს თავისი სახელი დაერქვას, ხოლო ეკლესიას მიეცა შანსი, გაიწმინდოს

**არჩევნებამდე 10 დღით ადრე, როცა ქვეყანაში დაძაბულობა პიკს აღწევს და მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება, პოლიტიკური დღის წესრიგის (და არა მხოლოდ პოლიტიკურის) მთავარი თემა ისევ და ისევ ფარული ჩანაწერებია. ამ საკითხზე მსჯელობა და მითქმა-მოთქმა გრძელდება. ვერსია ბევრია, მთავარი სამიზნე კი ისევ ეკლესია, სამღვდელოება და კონკრეტული სასულიერო პირები არიან. ე.წ. ლიბერალური მედია, პრაქტიკულად, შანსს არ უშვებს ხელიდან, თემა აქტუალურობის კიდევ უფრო მაღალ ნიშნულამდე რომ აიყვანოს და ამ გზით პირდაპირ თუ ირიბად საპატრიარქოს დისკრედიტაციისთვის, სიცრუისა და ცილისწამებისთვის გამოიყენოს. ხან შეფარვითა და მინიშნებებით, ხან კი დაუფარავად და ღია ტექსტით აბსურდული ბრალდებები ისმის მაღალი სინოდისა და პირადად უწმინდესის მისამართით.**
**რა ძალები დგანან ქვეყნის ყველაზე სანდო და ავტორიტეტული ინსტიტუციის წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის უკან,**
**რა არის ამ ყველაფრის მიზანი და არის თუ არა თუნდაც ნაწილობრივ ეს მიზანი მიღწეული,**
**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი რაზმაძე.**

**— მამაო, ეს დღეებია, ფაქტობრივად, ყველაფერი გადაფარა ე.წ. ფარული ჩანაწერების თემამ, მედიასა თუ ინტერნეტსივრცეში სხვა სასაუბრო, პრაქტიკულად, არც არის. ნომერი პირველი სამიზნე რომ ეკლესიაა და შეტევა პირდაპირ სამღვდელოებაზე მიდიოდა, იმთავითვე ჩანდა, თუმცა მეორეა, რა მოიტანა რეალურად ამ ბინძურმა კამპანიამ და ვინ რას მიაღწია ამით. თქვენ, როგორც სასულიერო პირი, როგორ შეაფასებთ ამ ყველაფერს?**

— დავიწყოთ იმით, რომ ტყუილებით, ცილისწამებით, აბსურდული ბრალდებებითა და სხვა ბინძური მეთოდებით ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ახალი არ არის. ათეულობით წლებია, ამას ვუყურებთ და მოგვწონს თუ არა, ჩვენი რეალობის განუყოფელ ნაწილად იქცა. 25 წელია, მღვდელი ვარ და ამ ხნის განმავლობაში სულ რაღაც ქარტეხილებში, სულ ბრძოლასა და დაპირისპირებაში ვართ მტრულ ძალებთან. სხვათა შორის, ამ დღეებში ვფიქრობდი, რომ ძალიან მადლიერი უნდა ვიყოთ სამღვდელოება იმისთვის, რაც ახლა ხდება. ვგულისხმობ იმას, რომ, ფაქტობრივად, აპოკალიფსი მოუწყვეს გარკვეულ პირებს და მოუწყვეს იმ უზნეობის ტირაჟირებით, რომელსაც ისინი სჩადიოდნენ წლების განმავლობაში...

**— მათ შორის სასულიერო პირებსაც გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა, ვგულისხმობ ყველას, ვისაც ბევრი აქვს მოსანანიებელი და გამოსასწორებელი. საერთოდ, ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ, **ვისაც ამდენი ხანია, დასატოვებელი აქვს მღვდლობა, უნდა დატოვოს; უნდა წავიდეს, ვინც მრუშია, მამათმავალი, ნარკომანი... რა უნდა ასეთ ხალხს ეკლესიის წიაღში?! ის კი არა, მე რაღაც ორი სიტყვა რომ ვთქვა გადაბრუნებული, მაშინვე საპატრიარქოში მეძახიან და პასუხს მთხოვენ... ყველამ იცის, ვინ არის მრუში, ვინ — მამათმავალი და ა.შ. დაუძახონ ყველას და ერთხელ და სამუდამოდ ამ ადამიანებს ეს ტვირთი მოხსნან, სალაპარაკო არავის არაფერი რომ არ ჰქონდეს.** რაც შეეხება ჩანაწერებს, მადლობას ვეუბნები იმ ხალხს, რომელიც გვისმენდა. თუ მე რამე ისეთი მაქვს ჩადენილი, რაც მიუღებელია, კი, ბატონო, მზად ვარ, მღვდლობა დავტოვო და ამ სიტყვებზე 100%-ით ვარ პასუხისმგებელი. პატრიარქსაც ვეტყვი, ვისზე რას ვფიქრობ. კიდევ ვიმეორებ: **მადლობა ღმერთს, მოგვეცა შანსი, რაღაც-რაღაცებს თავისი სახელი დაერქვას, ხოლო ეკლესიას მიეცა შანსი, გაიწმინდოს. რადგან მოსმენებსა და ჩანაწერებზე ვსაუბრობთ, ერთ ფაქტს გავიხსენებ:** ადრე ჩემთან მოვიდა ერთი ქალი (სახელი არ მახსოვს, და სიმართლე გითხრათ, არც ვცდილობ გახსენებას), რომელიც მოსმენების სამსახურში მუშაობდა. მის ძმისშვილს, პატარა გოგონას, ჰქონდა თავში სიმსივნე, ის ბავშვი გარდაიცვალა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს. და **ეს ქალი ამბობდა, ჩემი სამსახურის გამო, ჩემ მიერ წარსულში გაკეთებული ცუდი საქმეების გამო ვისჯებიო. თვითონ მას შვილი არ ჰყავდა... ყვებოდა, ვის როგორ უსმენდნენ, უთვალთვალებდნენ და თან გაიძახოდა, ისეთი სამსახურია, უკან ვერ გამოვალო. სულ მეუბნებოდა ეს ქალბატონი, მამაო, ფრთხილად იყავით, შეიძლება ყველას უსმენენო...** ჩვენ, რა თქმა უნდა, ვანუგეშებდით და, რაც შეგვეძლო, ვამხნევებდით სულიერად. სხვათა შორის, ამ ზაფხულს, როცა ლგბტ აღლუმი მზადდებოდა და ეს თემა დაძაბულობას ქმნიდა საზოგადოებაში, პოლიციის სამმართველოს მანქანა დამყვებოდა. გამოვიდოდი სახლიდან, იდგა, გამყვებოდა, მერე გამომყვებოდა...

**— გითვალთვალებდნენ?**

— აბა, რას აკეთებდნენ?! ერთხელაც მოვუხვიე და გავუჩერე, ვუთხარი: რას დამდევ, რა გინდა? სურათებიც მაქვს იმ პოლიციელისთვის გადაღებული და ჩაწერილიც მყავს, თუ საჭირო იქნება, შემიძლია მოგაწოდოთ... ის კი არა, სახელიც ვიცი, გვარიც და სად მუშაობს...

**— რა გიპასუხათ?**

— ვერაფერი. გაშრა. არ ვიცი, შეიძლება არ ელოდა, რომ მივიდოდი. მერე გადმოვიდა მანქანიდან და შემეხვეწა: ოთხი შვილი მყავს, იქნებ არაფერი თქვათ ჩემზე, სამსახურში პრობლემები შემექმნებაო. არ მინდოდა, პრობლემები შექმნოდა, ის კი ვკითხე — რა გინდა, რატომ დამდევ-მეთქი.

**— თქვენ რას ფიქრობთ, რატომ გითვალთვალებდნენ?**

— დავალება ჰქონდათ ასეთი. აინტერესებდათ, რას ვაპირებდით, მამათმავლების აღლუმის წინააღმდეგ რა გეგმა გვქონდა და ა.შ. ალბათ, გვისმენდნენ კიდეც. ახლა ორი სიტყვით ხელისუფლებაზეც ვიტყვი — ეს არის აბსოლუტურად უუნარო ხელისუფლება, რომელსაც ელემენტარულის გაკონტროლება არ შეუძლია და ეს არის სრული კოლაფსი, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და ყველანაირი. აი, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ყველა გარედან მართული ძალა დღეს დასახულ მიზანს აღწევს ამ ქვეყანაში.

**— მათ შორის ფარული ჩანაწერებითაც?**

— რა თქმა უნდა. **ამ ყველაფრის მიზანი იყო ის, რომ ეკლესია და ხელისუფლება ერთმანეთს დაჯახებოდა...**

**— კი მაგრამ, რას მიიღებდნენ ამით?**

— მიიღებდნენ დაძაბულობას, დაპირისპირებას და, საზოგადოდ, არეულობას, რომელიც, ყველამ ვიცით, ვისთვისაა ხელსაყრელი. თანაც არ დაგავიწყდეთ, ახლოსაა არჩევნები, ხოლო არჩევნების წინ დაძაბულობა ვის აძლევს ხელს, ყველამ ვიცით. საერთოდ, ჩვენ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: **ესენი, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის განაყოფებს ვგულისხმობ, ემზადებიან არა 2 ოქტომრისთვის, არამედ 3-ისთვის.**

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ **მათი მიზანი არა ნორმალურ არჩევნებში მონაწილეობა და ამ გზით გამარჯვებაა, არამედ არჩევნების შემდეგ არეულობა და დესტაბილიზაცია.** სააკაშვილი თავის დროზეც ასე მოვიდა, ის მოვიდა ინსცენირებული რევოლუციით. აი, ამიტომაა, რომ ის დღეს წინდაწინვე გაყალბებულად აცხადებს არჩევნებს და ამბობს: აბა, ხალხო, საბრძოლველად ვემზადოთო. მინდა, მივმართო საზოგადოებას, რომ მათი დაბრუნების მსურველთა მთავარი მიზანი და მოტივაცია არის ერთი — **თუ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ დაბრუნდებიან, შური იძიონ.**

**— სააკაშვილი ხშირად მიანიშნებს ხოლმე თავის ფეისბუკჩართვებში, რომ ბევრი რამ გადააფასა და შეცდომებს აღარ გაიმეორებს...**

— აბსურდია, **თუ დაბრუნდებიან ათმაგად იყრიან ჯავრს იმ ხალხზე, რომლის დახოცვა, წამება, გაუპატიურება და სხვა უბედურება ვერ მოასწრეს. არავინ არ დაიჯეროს, რომ ისინი შეიცვალნენ, არა, უფრო გაუარესდნენ და კიდევ უფრო საშინელ რეპრესიებს ჩაატარებენ. ახლა უფრო გაბოროტებულნი არიან. დააკვირდით სააკაშვილს, რა დაბოღმილი ლაპარაკობს ხოლმე თავის ჩართვებში, ან დააკვირდით მათ მედიებს, რამხელა ღვარძლი და სიძულვილია მათში. ეს ყველაფერი გადმოინთხევა და გადმოინთხევა უმძიმეს რეპრესიებად, ამიტომ ღმერთმა ნუ ქნას, ისინი მობრუნდნენ, თორემ ის ცხრა წელი, რომელიც გადავიტანეთ, მონაგონი იქნება...**

**— გამოსავალს თუ ხედავთ, რა გზით შეიძლება, ქვეყანა გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან?**

— ერთ ეპიზოდს გავიხსენებ საქართველოს ისტორიიდან: **როცა დავით აღმაშენებელმა რეფორმები დაიწყო, მათ შორის ეკლესიაშიც, თავის სულიერ მოძღვარს, გიორგი ჭყონდიდელს, ჰკითხა, — რას მირჩევო. ჭყონდიდელმა რა ურჩია, იცით? ხალხს დაუბრუნე ღირსებაო. ეს ძალიან ღრმა შინაარსის შემცველი სიტყვებია...** ჩვენ ბევრი რამ გამოვიარეთ — 90-იანები, უშუქობა, უწყლობა, შიმშილი, ომი, გაჭირვება და ა.შ., მაგრამ დღეს ყველაზე მეტად რა აწუხებს ხალხს, იცით? ის, რომ ღირსებას ულახავენ. „ნაცმოძრაობის“ მსგავსმა ანტისახელმწიფოებრივმა და ანტიქართულმა ძალებმა სწორედ აქ დაგვარტყეს, ამიტომ ელოდება საზოგადოება ყველაზე მეტად ღირსების აღდგენას...

**— რა ფორმით წარმოგიდგენიათ ეს ყველაფერი?**

— ამაზე დეტალურად საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, ძალიან ბევრი რამ, თითქმის ყველაფერი ძირეულად არის შესაცვლელი, თუმცა არის რაღაც, რაც მარტივად შეიძლება საწყის ეტაპზევე გაკეთდეს.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, **გაუქმდეს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდაა მიღებული; გაუქმდეს ე.წ. ბავშვის უფლებათა კოდექსი და ა.შ. ანუ, ცისფერ კომისრებს რაც მოეწონებათ, ის კი არ უნდა აკეთონ, არამედ ის, რაც ხალხს უნდა და სახელმწიფოს სჭირდება,** აი, ეს თუ მიიღწევა და დარწმუნებული ვარ, ეს შესაძლებელია, ვერც ერთი დესტრუქციული ძალა, ვისგანაც უნდა იყოს მხარდაჭერილი და დაფინანსებული, ვერაფერს ვერ მიაღწევს, პირიქით, ძალიან მალე ჩაიძირება; თუ არადა, ვხედავთ, რა რეალობაც გვაქვს და უარესი გვექნება...

ესაუბრა **ჯაბა ქვანია**

> **ერთ ეპიზოდს გავიხსენებ საქართველოს ისტორიიდან: როცა დავით აღმაშენებელმა რეფორმები დაიწყო, მათ შორის ეკლესიაშიც, თავის სულიერ მოძღვარს, გიორგი ჭყონდიდელს, ჰკითხა, — რას მირჩევო. ჭყონდიდელმა რა ურჩია, იცით? ხალხს დაუბრუნე ღირსებაო. ეს ძალიან ღრმა შინაარსის შემცველი სიტყვებია... ჩვენ ბევრი რამ გამოვიარეთ — 90-იანები, უშუქობა, უწყლობა, შიმშილი, ომი, გაჭირვება და ა.შ., მაგრამ დღეს ყველაზე მეტად რა აწუხებს ხალხს, იცით? ის, რომ ღირსებას ულახავენ. «ნაცმოძრაობის» მსგავსმა ანტისახელმწიფოებრივმა და ანტიქართულმა ძალებმა სწორედ აქ დაგვარტყეს, ამიტომ ელოდება საზოგადოება ყველაზე მეტად ღირსების აღდგენას...**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინტერნეტისა და სმარტფონების ეპოქაში, როდესაც პლანეტის თითქმის მთელი მოსახლეობა აშშ-ის სპეცსამსახურებს ნებაყოფლობით აბარებს საკუთარი პიროვნების საიდენტიფიკაციო სრულ ინფორმაციას, ლაპარაკი „კა-გე-ბე“-ს მეთოდებზე სასაცილოც აღარ არის, ეს სრული უვიცობა და პოლიტიკური სიბეცეა.**



# ქართული პოლიტიკური ინსულტი და მოპარული «ბირთვული ჩემოდანჩიკი»

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

## ოცდამეთორმეტე გამოშვება

**„მოხდა ისე, რომ შაბათ დღეს, ფარისეველთა ერთ-ერთი მთავრის სახლში მივიდა იესო პურის საჭმელად, ხოლო ისინი უთვალთვალებდნენ მას“.**

*ლუკა (14,1)*



პირად ცხოვრებაზე გაკეთებული ფარული ჩანაწერების ოცდაოთხი ათასი ფაილი დღისით, მზისით, ჩვენ თვალწინ განადგურდა 2013 წელს, მაგრამ... არ განადგურებულა კომპრომეტაციის გზით საზოგადოებაზე გავლენის მოპოვების დანაშაულებრივი ფსიქოლოგია, არ დასჯილან ადამიანები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ უკანონო მიყურადებით, თვალთვალით, გადაღებით; რაც მთავარია, არ განადგურებულა სისტემა, რომელიც წარმოშობს, ჰგუობს და იყენებს ამორალურსა და მიუღებელ მეთოდებს. ამ მიმართულებით არც არავის უფიქრია საქართველოში.

ერთ-ერთმა ქართულმა ანალიტიკურმა პორტალმა („თვალსაზრისი“) გამოაქვეყნა საინტერესო მასალა, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს უშიშროების მინისტრ **იგორ გიორგაძეს** თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ერთ-ერთი პირველი ბრძანებით მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სასულიერო პირებზე თვალთვალი, მიყურადება და ფარული ჩაწერა-მოსმენები აუკრძალავს. არავითარი საფუძველი არ მაქვს, ხსენებულ საიტს არ ვენდობოდე, მაგრამ ეს ინფორმაცია ისე უცნაური და დაუჯერებელი მეჩვენა, რომ გადამოწმების სურვილი აღმეძრა, რის გამოც დავუკავშირდი ბატონ იგორ გიორგაძეს, რომელმაც დამიდასტურა ეს ფაქტი. მან მისი **ეს არაორდინარული გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ეკლესიაზე მოსალოდნელი ფორსირებული შეტევის შესახებ უკვე იცოდა მსოფლიოში ცნობილი მოღვაწეების იმ გულახდილი განცხადებებიდან, რომელთა მიხედვითაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მართლმადიდებლობა დასავლეთის მთავარ სამიზნედ ცხადდებოდა.** „მინდოდა, რომ ქართული, სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია ამ თვალსაზრისით მაინც ყოფილიყო დაცული“, — მითხრა მან. საოცარია ის ფაქტიც, რომ ბატონ იგორ გიორგაძეს ეს თამამი გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიუღია და იგი არც იმდროინდელ სახელმწიფო მეთაურთან **(ედუარდ შევარდნაძე)** და არც პარლამენტთან წინასწარ არ შეუთანხმებია. **მას შემდეგ თითქმის ოცდაათი წელიწადი გავიდა. უშიშროების ის მინისტრი, რომელიც ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ფარული თვალთვალისა და მიყურადებისგან იცავდა, დღემდე დევნილია, ქართული მედიასივრცე და ეთერი კი გადავსებულია სასულიერო პირებისა და საქართველოს ეკლესიის იერარქებისადმი მიყურადების შედეგად მოპოვებული კადრებითა და ინფორმაციით...**

ის საკითხი, რომ ეკლესიისა და საეკლესიო პირების ფარული თვალთვალისგან გამათავისუფლებელი მინისტრი ოცდაექვსი წლის განმავლობაში სამშობლოდან დევნილია და სასამართლოს მისთვის განაჩენი დღემდე არ (ვერ) გამოაქვს, ხოლო ეკლესიის შევიწროვება-დისრედიტაცია პიკს აღწევს, სერიოზული მსჯელობის თემაა, მაგრამ ეს საკითხი დროებით განზე გადავდოთ...

**რა არის ფარული მიყურადება და როდისაა იგი კანონიერი?**

არსებობს დანაშაული, რომელიც დაუგეგმავად ხდება, მაგრამ დანაშაულის განსაკუთრებით მძიმე ფორმა წინასწარგანზრახული დანაშაულია; არა შემთხვევითი, არა მყისიერი, არა აფექტის ნიადაგზე აღმოცენებული, არამედ აწონილ-დაწონილი და შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებული დანაშაული. ეს დანაშაულის ერთმანეთისგან განსხვავებული კატეგორიებია. **დანაშაულის ის კატეგორია, რომელიც წინასწარგანზრახული, ანუ დაგეგმილი დანაშაულია, პრევენციას ექვემდებარება. რაკი დანაშაულის დაგეგმვის მომენტიდან მის უშუალო განხორციელებამდე აუცილებლად რჩება დროის გარკვეული მონაკვეთი, ესე იგი, მისი თავიდან აცილების თეორიული შანსიც ჩნდება, მაგრამ ამისთვის აუცილებელია ერთი პირობა: ის ორგანოები, რომლებიც არამხოლოდ დანაშაულის გახსნაზე, არამედ მის პრევენციაზე არიან პასუხისმგებელნი, უნდა ფლობდნენ ინფორმაციას დანაშაულის მზადებისა და დაგეგმვის შესახებ. ამგვარი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია აგენტურული ქსელისა და მიყურადების მექანიზმების (ფარული თვალთვალი, მოსმენა, გადაღება, ჩაწერა და ა.შ.) გამოყენებით.** ამდენად, ეს მეთოდები, რომლებსაც უშიშროების სამსახურები პრაქტიკაში ფართოდ იყენებენ, ერთობ კეთილ მიზნებს ისახავს. პრობლემა იქ ჩნდება, სადაც ამ კეთილი მიზნებისთვის სამოქმედო არეალის თვითნებური გაფართოება იწყება. რაკი არსებობს უფლებამოსილი ლეგალური სამსახური თავისი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, მისი სამოქმედო არეალის შემოსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან დანაშაული ყველგან შეიძლება მზადდებოდეს — საბავშვო ბაღით დაწყებული და ჯანმრთელობის დაცვის სისტემით, მეცნიერებათა აკადემიით, საავთიაქო ქსელით ან სულაც ეკლესიით დამთავრებული... **უშიშროების სამსახურს რაკი კანონით აქვს დავალებული დანაშაულის პრევენციაზე ზრუნვა და ამ მიზნით გარკვეული მოქმედებების განხორციელების უფლებაც აქვს, პრაქტიკულად შეუძლებელია მისი ისე გაკონტროლება, რომ ამ საქმეში საკუთარი ან სხვისი (თუნდაც სახელმწიფოს მმართველი უმაღლესი პირების) კანონგარეშე ინტერესების გასატარებლად მისი უზარმაზარი უფლებამოსილების გარკვეული ნაწილი მაინც ვერ გამოიყენოს, ამიტომ არის, რომ სამსახური, რომელიც სახელმწიფოს უშიშროების საქმეს ემსახურება, საშიშროებად არის ქცეული სახელმწიფოს ცალკეული სტრუქტურებისთვის და ყოველი კონკრეტული ადამიანისთვის...**

12 სექტემბერს საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ფარული ჩანაწერები, რომლებმაც, მათივე თქმით, სახელმწიფო უშიშროების სამსახურიდან გაჟონა. საუბარია უზარმაზარი მოცულობის მასალაზე, რომელიც წმინდა სინოდის წევრებისა და სხვა სასულიერო პირების, აგრეთვე, პოლიტიკოსების, ბიზნესმენებისა და ჟურნალისტების პირადი ცხოვრებისა თუ საქმიანობის სხვადასხვა ეპიზოდებს ეხება. გავრცელდა წერილი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომლისა, რომელმაც, როგორც ირკვევა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. წერილის შინაარსი ასეთია:

„არ არსებობს იმაზე ბოროტი და საშინელი სამსახური, სადაც მე რამდენიმე წელი გავატარე. მას საშინელი სახელი არ ჰქვია, პირიქით, კეთილშობილი სახელი აქვს — სახელმწიფოს უსათრთხოების სამსახური. სინამდვილეში კი, არაფერი ისეთ საფრთხეს არ უქმნის ჩვენს სახელმწიფოს და არაფერი ისე არ ხრწნის, როგორც — ჩვენ!

ჩვენ კიბო ვართ და მეც ერთ-ერთი მეტასტაზი ვარ!

ჩვენ გისმენთ ყველას, ვაგროვებთ ცნობებს თქვენ შესახებ, ვაგროვებთ კომპრომატებს, ვიყენებთ თქვენს სისუსტეებს, გიგონებთ ჭორებს, გიტეხთ სახელს, ჩვენ გმართავთ ბოროტების საშუალებით!

ჩვენი დამსახურებაა, რომ დღეს ეკლესია ღვთის სახლი კი არა, სიბილწის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბუნაგია!

აქ თქვენ ნახავთ მასშტაბს იმ სისაძაგლისა, რომელშიც, ღმერთმა მაპატიოს, წლები გავატარე. ღმერთმა ქნას, გაიღვიძოთ და დაანგრიოთ ეს სისტემა!

მე არ მეძებოთ — ვერ მიპოვით მაინც!

ყოველივე ამის შემოქმედთ და მუშაკებს ჯოჯოხეთში გელოდებით!“

უსაშინლესი წერილია, თავზარდამცემი აღსარებაა, მაგრამ... მაგრამ ახლა ვერავის და ვერაფერს ვერ ენდობი, კაცმა არ იცის, სად არის სიმართლე და სად — მონაჩმახი, ვინ რა დაწერა და ვის რა მიაწერეს; ვინ მოკლეს და ვინ თვითმკვლელად გამოაცხადეს; ვინ პატიოსნად ცხოვრობს, მაგრამ ავაზაკად ცხადდება; ვინ მკვლელი და სატანასთან წილნაყარია, მაგრამ უცოდველი კრავივით გამოიყურება... „აირია მონასტერი“; „ძაღლი პატრონს ვერა ცნობს“; „დედა შვილს არ აიყვანს“... — ეს საზოგადოებრივი ქაოსის გამომხატველი ქართული გამონათქვამებია. ქვეყანაში აპოკალიფსური რეალობა დადგა, სადაც უსაშინლესი ეპიზოდებია აღწერილი: „აჰა, საშინლად იძრა მიწა და გაშავდა მზე, როგორც ძაძა. და სისხლივით გაწითლდა მთვარე. და დაცვივდნენ ზეცის ვარსკვლავნი ქვეყნად, როგორც ლეღვის ხე, მძვინვარე ქარით რხეული, ყრის მიწაზე თავის ყვავილებს. და გრაგნილივით შეგრაგნილი შეიკრა ზეცა და ყოველი მთა და კუნძული თავ-თავიანთი ადგილიდან იძრა“.

ამის წაკითხვისას, ერთადერთი, რაც შეგიძლია მოიმოქმედო, არის ის, რომ აღაპყრო თვალები ცისკენ და სასოებით წარმოსთქვა: ღმერთო! მერე, როდესაც ელდა გაივლის, შიშის კანკალი, ასე თუ ისე, დაცხრება და, რომ იტყვიან, გულიც საგულეს ჩადგება, ალბათ, უნდა იკითხო: რა არის ეს? ნუთუ შეიძლება, რომ ასე დასრულდეს ყოველი? შეკითხვებზე პასუხი თავისთავად მოვა: რატომაც არა?! **არათუ ღმერთის, უკვე ადა-** ▶

**რა «სუსი» (საქართველოს უსაფრთხოების სამსახური) და რის «კუდი» (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი)? ვინ მისცა საქართველოს საკუთარი უშიშროების სამსახური? საქართველოში ამერიკული უშიშროების სამსახური განაგებს ყველაფერს, რომელიც აქ საკუთარ ინტერესებსა და საკუთარ უსაფრთხოებას იცავს. მუდამ ბოლშევიკებსა და «კა-გე-ბე»-ს შესახებ მოლაპარაკე ქართველ ვაიპოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს ამერიკელების მიერ გერმანიის კანცლერის სატელეფონო საუბრების უკანონო, ფარული მოსმენის გამო აგორებული სკანდალის შესახებ არაფერი სმენიათ? ჯულიან ასანჟისა და ედვარდ სნოუდენის სახელები არ გაუგონიათ?**

**ოცდაათი წლის განმავლობაში გაუთავებლად გვესმის ფარული მიყურადება-თვალთვალის შესახებ, რომელიც მთელი ძალით არჩევნების წინა პერიოდში იფეთქებს ხოლმე. რა შუაშია აქ საბჭოთა კავშირი ან რა საჭიროა მისი ხსენება? ოდესღაც, „კა-გე-ბე“ გვისმენდაო. კი, ბატონო, გისმენდათ და გითვალთვალებდათ, მაგრამ ეს იყო ოდესღაც, ძველ დროს, წარსულში. ახლა ვინც გისმენთ, ისინი ვინ არიან — საბჭოთა კავშირი და „კა-გე-ბე“, რომლებიც აღარ არსებობენ, თუ აშშ და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომლებიც არსებობენ და თავიდან ბოლომდე აკონტროლებენ საქართველოს.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოში მოქმედი ტელეარხები ქართულენოვანი, მაგრამ თავიანთი პოლიტიკური ორიენტაციითა და დაფინანსების წყაროებით ამერიკული ტელეარხებია. ერთი იმაზეც დავფიქრდეთ, თუ ვინ შეიძლება აწვდიდეს ამერიკულ ტელეარხებს ამერიკული უშიშროების საიდუმლო მასალებს და კარსმომდგარი არჩევნების წინ ქვეყანაში დესტაბილიზაციის წინაპირობას ქმნიდეს. «გაჟონა-გამოჟონა» რა თქმაა და რა ქართულია?! კი არ გაჟონა, ამერიკელებმა გააჟონინეს იმ ინფორმაციას, რომლის გაჟონვა-გავრცელებაც მათ სჭირდებოდათ. ქვეყნის პოლიტიკური დესტაბილიზაცია და მართლმადიდებელი ეკლესიის ფართომასშტაბიანი, დაუნდობელი დისკრედიტაცია — აი, მიზანი!

**◀ მიანების ხელშია საკმარისი ტექნიკური არსენალი იმისა, რომ ერთ დაწყევლილ დღეს, როგორიც იყო 1945 წლის 6 და 9 აგვისტო ჰიროსიმასა და ნაგასაკისთვის, საშინლად იძრას მიწა და გაშავდეს მზე, როგორც ძაძა, და სისხლივით გაწითლდეს მთვარე. და დაცვივდნენ ზეცის ვარსკვლავნი ქვეყნად, როგორც ლეღვის ხე, მძვინვარე ქარით რხეული, ყრის მიწაზე თავის ყვავილებს. და გრაგნილივით შეგრაგნილი შეიკრას ზეცა და ყოველი მთა და კუნძული თავ-თავიანთი ადგილებიდან იძრას. ღვთის რისხვა და ზეციური სამართალი აღარაა საჭირო, თვით ადამიანთა ხელშია უკვე ეს შესაძლებლობები. და ესეც ღვთის ნება იქნება, ოღონდ — ჩვენივე ხელით განხორციელებული. აქეთ მიემართება ახლა პლანეტა და კაცობრიობა.**

რამდენიმე დღეა, რაც აშშ-ში გამოვიდა ჟურნალისტების — **ბობი ვუდვორდისა** და **რობერტ კოსტის** წიგნი „საფრთხე“, რომელშიც მოთხრობილია დაუჯერებელი ისტორია, რომ პრეზიდენტ **დონალდ ტრამპს** თეთრ სახლში ყოფნის ბოლო დღეებში განზრახული ჰქონდა ჩინეთზე ბირთვული შეტევის განხორციელება. წიგნში მოთხრობილი ამბავი, როგორ განვითარდა შემდეგ მოვლენები, კიდევ უფრო დაუჯერებელია: **პრეზიდენტ ტრამპის მთავარი სამხედრო მრჩეველი, სამხედრო მეთაურთა შტაბების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი მარკ მილი, წიგნის ავტორთა მტკიცებით, თურმე, დაცული არხით ორჯერ დაკავშირებია ჩინეთის მაღალი თანამდებობრივი ცენზის მქონე გენერალს და გაუფრთხილებია იგი პრეზიდენტ ტრამპისგან მომდინარე ბირთვულ საფრთხეზე.** გენერალი მილი უფრო შორსაც წასულა. 2021 წლის 8 იანვარს პენტაგონში მას სასწრაფო თათბირი მოუწვევია, რათა კიდევ ერთხელ ერთად გადაეხედათ სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ ბრძანებათა გაცემის პროცედურისთვის და მკაცრად გაუფრთხილებია ისინი, რომ არ დამორჩილებოდნენ არავის ბრძანებას, სანამ თვითონ არ დაადასტურებდა ბრძანების შესაბამისობას მოქმედ ინსტრუქციასთან. ეს საოცარი ისტორია ამით არ ამოწურულა. წიგნში მოყვანილია სტენოგრამა გენერალ **მილის** სატელეფონო საუბრისა წარმომადგენელთა პალატის სპიკერ **ნენსი პელოსისთან.** ქალბატონი პელოსი პრეზიდენტ ტრამპს შეშლილს უწოდებს: **„თქვენ ტრამპი კაპიტოლიუმზე შეტევისას რადგანაც ვერ შეაჩერეთ, ღმერთმა იცის, კიდევ რას მოიმოქმედებს იგი. თეთრ სახლში ვინმე მაინც თუ დარჩა, პასუხისმგებლობის მქონე პირი, რომელიც, მისი მსუქანი უკანალის კოცნის გარდა, კიდევ სხვა რამით არის დაკავებული?! თქვენ ხომ იცით, რომ ის შეშლილია, იგი დიდი ხნის წინათ შეიშალა“.**

ეს წიგნი, როგორც ხედავთ, დაუჯერებელ ამბებს მოგვითხრობს, თუმცა მთავარი ჯერ კიდევ წინ არის. სატელეფონო საუბრის სტენოგრამაში ნენსი პელოსის ამ სიტყვებზე გენერალ მარკ მილის პასუხიცაა მოყვანილი: **„მე ვეთანხმები თქვენ მიერ ნათქვამ ყველა სიტყვას, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ბირთვული იარაღი უსაფრთხოდ არის დაცული“.** ეს სიტყვები არცთუ ირიბი დადასტურებაა იმისა, რაც იქამდეც იყო ნათქვამი. **გენერალმა მარკ მილიმ პრეზიდენტ ტრამპს „ბირთვული ჩემოდანჩიკი“ მოჰპარაო. ღმერთო, შენ გვიხსენი! აშშ-ის პრეზიდენტს სამხედრო საკითხებში მისმა მრჩეველმა „ბირთვული ჩემოდანჩიკი“ თუ მოჰპარა, საშიშია ამ პლანეტაზე ცხოვრება, ძალიან საშიში. ეს ხომ ის „ჩემოდანჩიკია“, რომელსაც „აპოკალიფსში“ აღწერილი ამბების რეალობად გადაქცევა თვალის დახამხამებაში შეუძლია:**

„აჰა, საშინლად იძრა მიწა და გაშავდა მზე, როგორც ძაძა. და სისხლივით გაწითლდა მთვარე. და დაცვივდნენ ზეცის ვარსკვლავნი ქვეყნად, როგორც ლეღვის ხე, მძვინვარე ქარით რხეული, ყრის მიწაზე თავის ყვავილებს. და გრაგნილივით შეგრაგნილი შეიკრა ზეცა და ყოველი მთა და კუნძული თავ-თავიანთი ადგილიდან იძრა“. აი, ყოველივე ამის შემძლე „ჩემოდანჩიკი“ მოუპარავს მის მრჩეველს აშშ-ის პრეზიდენტისთვის და სადღაც „საიმედოდ“ გადაუმალავს, რის შესახებაც წარმომადგენელთა პალატის სპიკერისთვისაც მოუხსენებია და პეკინში მისი კოლეგა გენერლისთვისაც ჩაუბარებია ანგარიში. ყოველივე ამის პასუხად ტრამპმა ღია ეთერში განაცხადა: **„ყველაზე დიდი სისულელე, რაც ოდესმე მომისმენია, ისაა, რომ მე ჩინეთზე თავდასხმას ვაპირებდი“.** ტრამპმა ამ საკითხს მეორე მხრიდანაც შეხედა. **„თუ დადასტურდება, რომ გენერალი მარკ მილი ჩინეთს დაუკავშირდა და აშშ-ის მხრიდან შესაძლო თავდასხმის შესახებ გააფრთხილა, ეს უკვე სამშობლოს ღალატია!“** — სრული კატეგორიულობით თქვა მან.

ამ დაუჯერებელ ამბავს სიმართლის ელფერი თუნდაც იმის გამო დაჰკრავს, რომ **ინაუგურაციის დღეს ტრამპმა დაარღვია „ბირთვული ჩემოდანჩიკის“ გადაცემის ის პროტოკოლური ცერემონია, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტის თანაშემწემ, რომელიც სწორედ იმ „ჩემოდანჩიკით“ ხელში პრეზიდენტის გვერდით იმყოფება და ფიცის დადების მომენტში იგი ახალი პრეზიდენტის თანაშემწეს უნდა გადასცეს.** ტრამპი საერთოდ არ დაესწრო ცერემონიას და სწორედ ინაუგურაციის დღეს ვაშინგტონიდან მერილენდის შტატში გაფრინდა, რის გამოც, ბუნებრივია,



„ჩემოდანჩიკის“ გადაცემის პროტოკოლიც დაირღვა და ტრადიციაც. როგორც ჟურნალისტები ამბობენ, იმ დღეს პრეზიდენტ ბაიდენისთვის ახალი (მეორე) „ბირთვული ჩემოდანჩიკი“ გაუაქტიურებიათ, ხოლო ძველის დეზაქტივაცია ჩაუტარებიათ. **დღემდე საიდუმლოებითაა მოცული „ჩემოდანჩიკის“ რეალური ისტორია, რომელსაც, შესაძლებელია, ჟურნალისტების ამ ახალმა წიგნმა აჰხადოს ფარდა.**

ასეთია მსოფლიო, რომელშიც ვცხოვრობთ. საქართველოში ამ ბინძური, გაუთავებელი, ტოტალური თვალთვალისა და მიყურადება-მოსმენების ისტორია იმიტომ დავაკავშირე აშშ-ის „ბირთვული ჩემოდანჩიკის“ მოპარვის ისტორიასთან, რომ ეს ამბები ზოგადი ლოგიკითაა ერთმანეთთან გადაბმული. **საქართველოში ვაიპოლიტიკოსები ამ ბოლოდროინდელ სკანდალზე, რომელიც უკანონო ფარულ მოსმენა-ჩაწერებს ეხება, გაჰკივიან, რომ ეს საბჭოთა პრაქტიკაა, კომუნისტური გადმონაშთია და ა.შ. საკვირველი და გამაოგნებელი განცხადებებია. მათ რომ ჰკითხო, ოცდაათი წელიწადია, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და დღეს უკვე აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი, ნატოს ასპირანტი და ევროკავშირთან ასოცირებული სახელმწიფოა.** მიუხედავად ამისა, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში გაუთავებლად გვესმის ფარული მიყურადება-თვალთვალის შესახებ, რომელიც მთელი ძალით არჩევნების წინა პერიოდში იფეთქებს ხოლმე. რა შუაშია აქ საბჭოთა კავშირი ან რა საჭიროა მისი ხსენება? ოდესღაც, „კა-გე-ბე“ გვისმენდაო. კი, ბატონო, გისმენდათ და გითვალთვალებდათ, მაგრამ ეს იყო ოდესღაც, ძველ დროს, წარსულში. ახლა ვინც გისმენთ, ისინი ვინ არიან — საბჭოთა კავშირი და „კა-გე-ბე“, რომლებიც აღარ არსებობენ, თუ აშშ და ცენტრალური საგამოძიებო სამმართველო, რომლებიც არსებობენ და თავიდან ბოლომდე აკონტროლებენ საქართველოს? **რა „სუსი“ (საქართველოს უსაფრთხოების სამსახური) და რის „კუდი“ (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი)? ვინ მისცა საქართველოს საკუთარი უშიშროების სამსახური? საქართველოში ამერიკული უშიშროების სამსახური განაგებს ყველაფერს, რომელიც აქ საკუთარ ინტერესებსა და საკუთარ უსაფრთხოებას იცავს. მუდამ ბოლშევიკებსა და „კა-გე-ბე“-ს შესახებ მოლაპარაკე ქართველ ვაიპოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს ამერიკელების მიერ გერმანიის კანცლერის სატელეფონო საუბრების უკანონო, ფარული მოსმენის გამო აგორებული სკანდალის შესახებ არაფერი სმენიათ? ჯულიან ასანჟისა და ედვარდ სნოუდენის სახელები არ გაუგონიათ?** ვინ იტყვის, რომ საბჭოთა კავშირში არ იყო ფარული მოსმენებისა და მიყურადების პრაქტიკა, მაგრამ ამ მიმართულებით გაცილებით უფრო აგრესიული და მასშტაბური პრაქტიკა ამერიკელებს ჰქონდათ. დღეს ისინი იქამდე მივიდნენ, რომ პლანეტაზე ტოტალური კონტროლი დააწესეს და თითოეულ მოქალაქეზე სრულყოფილ დოსიეს ფლობენ. ინტერნეტისა და სმარტფონების ეპოქაში, როდესაც პლანეტის თითქმის მთელი მოსახლეობა აშშ-ის სპეცსამსახურებს ნებაყოფლობით აბარებს საკუთარი პიროვნების საიდენტიფიკაციო სრულ ინფორმაციას, ლაპარაკი „კა-გე-ბე“-ს მეთოდებზე სასაცილოც აღარ არის, ეს სრული უვიცობა და პოლიტიკური სიბეცეა. **საქართველოში მოქმედი ტელეარხები ქართულენოვანი, მაგრამ თავიანთი პოლიტიკური ორიენტაციითა და დაფინანსების წყაროებით ამერიკული ტელეარხებია. ერთი იმაზეც დავფიქრდეთ, თუ ვინ შეიძლება, რომ ამერიკულ ტელეარხებს ამერიკული უშიშროების საიდუმლო მასალებს აწვდიდეს და კარსმომდგარი არჩევნების წინ ქვეყანაში დესტაბილიზაციის წინაპირობას ქმნიდეს?! გაჟონა-გამოჟონა რა თქმაა და რა ქართულია?! კი არ გაჟონა, ამერიკელებმა გააჟონინეს იმ ინფორმაციას, რომლის გაჟონვა-გავრცელებაც მათ სჭირდებოდათ. ქვეყნის პოლიტიკური დესტაბილიზაცია და მართლმადიდებელი ეკლესიის ფართომასშტაბიანი, დაუნდობელი დისკრედიტაცია — აი, მიზანი!** მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაცია და პოლიტიკური ქაოსის ინსპირირება დასავლეთს შემდეგი მიზნებისთვის სჭირდება:

**1. ზნეობის საბოლოო დეგრადაცია;**

**2. მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც საზოგადოების შემკვრელი და გამაერთიანებელი ძალის, განადგურება;**

**3. ქართული ეროვნული ღირებულებებისთვის საფუძვლის გამოცლა, რის შემდეგ მათ ადგილს ადვილად დაიკავებს ფართოდ რეკლამირებული ე.წ. დასავლური ღირებულებები;**

**4. ქვეყანაში მასშტაბური პოლიტიკური დესტაბილიზაციის დაწყება, რომელიც ხელისუფლებაში აშშ-ისთვის უფრო მისაღები პოლიტიკური ძალის, „ნაციონალური მოძრაობის“, მობრუნების პირობებს შექმნის.**

**ეს არის ინფორმაციის გაჟონვის, ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართული პოლიტიკური ინსულტის მთელი ფილოსოფია;**

**ეს არის საქართველოში მოქმედი პოლიტიკური სისტემის რეალური სახე;**

**ეს არის რეჟიმი, რომელიც არსებობას ამ მეთოდებით ინარჩუნებს და იხანგრძლივებს;**

**ეს არის ის, რაც შორიდან თავისუფლებად და დემოკრატიად გვესახებოდა, მაგრამ ახლოდან სრულიად სხვა რამ აღმოჩნდა.**

ახლა გვიანია. დრო მხოლოდ ერთი მიმართულებით მიედინება და მას უკან ვერ მოაბრუნებ. წარსულში ველარაფერს შეცვლი. სამწუხაროდ, ვერც აწმყოში ვცვლით ვერაფერს, რადგან ახლა ის ეპოქაა, როდესაც მხოლოდ იმას კი არ გვიკონტროლებენ, რას ვლაპარაკობთ ან რას ვგეგმავთ, არამედ იმასაც კითხულობენ, რას ვფიქრობთ და რა იდეებით ვსუნთქავთ. **დღესაც ბევრია გულუბრყვილო, რომლებსაც სჯერათ, რომ ხელმძღვანელი პირების ზნეობრივ მახასიათებლებზეა ყველაფერი დამოკიდებული. ისინი ფიქრობენ, რომ, თუ მოვახერხებთ და სახელმწიფოს სათავეში ავირჩევთ პიროვნებას, რომელიც მაღალი მორალური ღირებულებების მქონე იქნება, ქვეყანაზე სიკეთე და სიყვარული დაივანებს, რადგან ის პიროვნება არ დაუშვებს, რომ სახელმწიფოს ინსტიტუტები, რომლებიც ხალხის სამსახურში უნდა იდგნენ, ხალხის წინააღმდეგ მუშაობდნენ.** სისტემა, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიის ძახილში დავნერგეთ, ნებისმიერ პიროვნებას, **რომელიც სახელმწიფო მანქანის მიერ დანერგილი სიბინძურისა და სისასტიკის საწინააღმდეგო ნაბიჯის გადადგმას დააპირებს, ისევე გადათელავს, როგორც საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე გადათელა, რომელმაც მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვა იმით სცადა თურმე, რომ ამერიკული სპეცსამსახურების გამუდმებულ თვალთვალს მოარიდა, მაგრამ ამით თვითონ გახდა თვალთვალის, ცილისწამებისა და დევნის ობიექტი.** ან სისტემა უნდა დაინგრეს, ან ამ პირობებში ცხოვრებას უნდა შევეგუოთ, რადგან სისტემა წყვეტს და არა პიროვნება, რა როგორ იქნება.

სახარება გვეუბნება, მაცხოვარიც კი ვერ განერიდაო თვალთვალს, როდესაც იგი ფარისეველთა მთავრის სახლში მივიდა.

ჩვენ როგორღა განვერიდოთ?!

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი ზნეობრივი ურყევობის გასაგებად გაეცანით ქართულ ხალხურ ლექსს „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“, მისი ინგლისურ ენაზე თარგმანიც არსებობს. იქნებ ამის მერე მაინც მიხვდეთ, რომ შალიკოს ფანჩატურაში შეკრებილი ნაგავი, ან ეს უზნეოები, პარლამენტში ნახირივით რომ შერეკეთ, და საქართველოს მოსახლეობა თავისი უმრავლესობით ერთი და იგივე ვერასდროს ვერ იქნებიან.**

# ქალბატონო კელი დეგნან, ნუ შვრებით ამას!

**მე ვეთანხმები და ვუერთდები ბატონ გივი გურეშიძის პროტესტს, რომელიც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 26-ე ნომერში გამოქვეყნდა.**
**თქვენ, ქალბატონო დეგნან, საქართველოში აშშ-ის ელჩად ხართ მოვლენილი, ამერიკელი ხალხისა და მთავრობის მიერ, რათა ორ სახელმწიფოს შორის დამყარდეს მეგობრული, სამართლიანი და თანასწორუფლებიანი ურთიერთობები. საუბედუროდ, ამ პროცესს თქვენი ქმედებები პირდაპირ უშლის ხელს. თქვენ უცერემონიოდ ერევით ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, თანაც ძალიან უხეშად. ნუ შვრებით ამას!**



ჩვენში, ქართველ მშრომელ ხალხში, ჯერ კიდევ არსებობს გულთბილი და პატივისცემით გამსჭვალული დამოკიდებულება ამერიკელი ხალხისადმი. ნუ გაგვიფუჭებთ ამ დამოკიდებულებას. თუ არ მოიშლით და კვლავ განაგრძობთ უხეშ ჩარევას ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ისღა დაგვრჩენია, კატეგორიულად მოვითხოვოთ ჩვენი ქვეყნიდან თქვენი გაწვევა. ამის დასტურად მინდა მოვიყვანო ორი წინადადება:

**1. საქართველო არის მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, ე.ი. ქრისტეს დედულეთი, ამიტომ საქართველოში ანტიქრისტე ტახტს ვერ დაიდგამს;**

**2. მე ვარ საქართველს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის, თუშეთის, შვილი და მინდა მისი ისტორიიდან ადამიანთა თანაცხოვრების, ურთიერთობის (თქვენ დემოკრატიასა და ტოლერანტობას რომ ეძახით) მაგალითი მოვიყვანო:**

თუშეთში ოდითგანვე არსებობდა და დღესაც არსებობს 78 თემი. თუშეთში, ისევე როგორც კახეთის ქიზიყში, ბატონი არ არსებობდა. საშინაო და საგარეო საკითხებს (თუშეთი ემორჩილებოდა მხოლოდ საქართველოს მეფეებს) თემებიდან წარმოდგენილი 12 კაცი წყვეტდა და ამ ორგანოს ერქვა საბჭო. დამნაშავის მიმართ ყველაზე მძიმე და სასტიკ განაჩენად ითვლებოდა თემიდან მოკვეთა. დამნაშავე უნდა აყრილიყო თავისი საცხოვრისიდან და წინაპრების საფლავები მიეტოვებინა. ახლა შეადარეთ იმჟამინდელი თუშური სამართლიანი თვითმართველობის სასჯელის სიმკაცრე ევროპულ ინკვიზიციას, რომლის დროსაც კათოლიკური ეკლესია ყველაზე პროგრესულად მოაზროვნეებს (თქვენებურად — განსხვავებული აზრის მქონეთ) კოცონზე წვავდა. ამის შემდეგ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე, რომლის მიმდევრებიც ჩვენ ვართ, აუგის თქმა (რბილად რომ ვთქვათ), უბრალოდ, მკრეხელობაა და მეტი არაფერი. **ბართლომეს ღამეც ხომ იმ დემოკრატიულ ევროპაში მოხდა, რომლის ჩამომავლებიც ვითომ გვასწავლიან იმას, რაც ჩვენთან საუკუნეების წინათ არსებობდა და დღესაც არსებობს. თქვენ, ამერიკელებმა, მაგ კონტინენტზე გამოჩენის შემდეგ რით დაიწყეთ ცხოვრება: აბორიგენების ამოწყვეტით და ცოცხლად გადარჩენილთათვის რეზერვაციის მოწყობით. ეს ხომ იგივეა, ადამიანი თავის ქვეყანაში იჯდეს ციხეში, იმიტომ, რომ იმ მიწა-წყლის შვილი და პატრონია.**

**ვახუშტი ბატონიშვილმა,** ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და მკვლევარმა, თუშთა ცხოვრება რომ შეისწავლა, ერთი ასეთი დასკვნა გამოიტანა: „თუშმა ომში შესვლა იცის, გამოსვლა არა“. ჰოდა, ნუ გაგვიწვევთ ომში, ქალბატონო დეგნან, ნურც ცივში და ნურც ცხელში.

**ჩვენი ზნეობრივი ურყევობის გასაგებად გაეცანით ქართულ ხალხურ ლექსს „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“, მისი ინგლისურ ენაზე თარგმანიც არსებობს. იქნებ ამის მერე მაინც მიხვდეთ, რომ შალიკოს ფანჩატურაში შეკრებილი ნაგავი ან ეს უზნეოები, პარლამენტში ნახირივით რომ შერეკეთ, და საქართველოს მოსახლეობა თავისი უმრავლესობით ერთი და იგივე ვერასდროს ვერ იქნებიან. ქალბატონო დეგნან, ნუ ურთიერთობთ საქართველოს გამყიდველებთან, ურთიერთობა გქონდეთ ჩემთან და ჩემნაირ ხალხთან.** ეს უფრო წაადგება ამერიკელი და ქართველი ხალხების კეთილ ურთიერთდამოკიდებულებას, რა თქმა უნდა, თუ გაქვთ საამისო სურვილი.

**არდალიონ ხააძე**

**თქვენ, ქალბატონო დეგნან, საქართველოში აშშ-ის ელჩად ხართ მოვლენილი ამერიკელი ხალხისა და მთავრობის მიერ, რათა ორ სახელმწიფოს შორის დამყარდეს მეგობრული, სამართლიანი და თანასწორუფლებიანი ურთიერთობები. საუბედუროდ, ამ პროცესს თქვენი ქმედებები პირდაპირ უშლის ხელს. თქვენ უცერემონიოდ ერევით ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, თანაც ძალიან უხეშად. ნუ შვრებით ამას!**

**ბართლომეს ღამეც ხომ იმ დემოკრატიულ ევროპაში მოხდა, რომლის ჩამომავლებიც ვითომ გვასწავლიან იმას, რაც ჩვენთან საუკუნეების წინათ არსებობდა და დღესაც არსებობს. თქვენ, ამერიკელებმა, მაგ კონტინენტზე გამოჩენის შემდეგ რით დაიწყეთ ცხოვრება: აბორიგენების ამოწყვეტით და ცოცხლად გადარჩენილთათვის რეზერვაციის მოწყობით. ეს ხომ იგივეა, ადამიანი თავის ქვეყანაში იჯდეს ციხეში, იმიტომ, რომ იმ მიწა-წყლის შვილი და პატრონია**

# პოლიტიკური მინიატურები

**საქართველოს გეოგრაფიული სივრცის კარნახით, მკითხველს განსასჯელად პოლიტიკურ მინიატურებს ვთავაზობ.**

მე, ქართული გეოგრაფიული სივრცე, პროტესტს ვუცხადებ ე.წ. პარტია ევროპული საქართველოს მესვეურებს, რადგან, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, ტრადიციებით თუ ჩემი ხალხის თვისობრივი ნიშნებით წინა აზიის ქვეყნად ვითვლები. იწამეთ ეს სიმართლე, ბატონებო!

* * *

პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ახლახან ნათელი მოჰფინა იმ ფაქტს, რომ 75 მილიონი ევრო, რომელსაც ევროპარლამენტი საქართველოსთვის გამოყოფილ დახმარებას უწოდებდა, სინამდვილეში, დახმარება-საჩუქარი კი არა, სესხი ყოფილა, ოღონდ დაბალი პროცენტით. ირაკლი ღარიბაშვილმა დაასწრო და ევროპარლამენტარ **ვიოლა ფონ კრამონს** ამ სესხის მიღებაზე უარი უთხრა. ამით მან ქალბატონი ევროპარლამენტარი გაანაწყენა.

ოპოზიციამ პრემიერს შეუტია, — ევროპარლამენტარი რატომ გააწბილეო, ღარიბაშვილმა კი ჩვეული შემართებით უპასუხა:

„ევროპარლამენტარი არ არის ჩემი უფროსი; ჩემი უფროსი ქართველი ხალხია!“ პრემიერის ასეთმა განცხადებამ გამახარა; გულში შევძახე — მგონი, მოვიდა დრო, რათა ვიცნოთ თავი ჩვენი.

* * *

32 ქართველი ვაჟკაცი ავღანეთში აშშ-ის ვერაგულ მიზნებს ზვარაკად შეეწირა. საუკუნეთა განმავლობაში ავღანეთი რიგი ქვეყნების ცხვირისმტვრეველად იქცა. მე-18 საუკუნის დასაწყისში ავღანეთის დაუფლებას ირანი შეეცადა, მან აიძულა ქართლის მეფე გიორგი IX დიდი ჯარით ავღანეთში შეჭრილიყო. 1709 წელს გიორგი მეფე და მისი ერთი რაზმი ავღანელებმა მთლიანად შეიწირეს; ირანმა მიზანს ვერ მიაღწია და ავღანეთიდან უკუიქცა. შემდეგში იგივე ბედი ეწიათ ინგლისელებს — ავღანელები ვერ დაიმორჩილეს და კუდამოძუებულები გაიქცნენ.

1979 წელს შეზღუდული სამხედრო კონტინგენტით ავღანეთში საბჭოთა კავშირი შევიდა, მაგრამ 10 წლის შემდეგ დიდი ზარალისა და მსხვერპლის გაღებით მიატოვა. იქ დაღუპულ მეომრებს შორის, სამწუხაროდ, ბევრი ქართველი ვაჟკაცი იყო.

ავღანურ მწარე გაკვეთილებს არც აშშ-მა მიაქცია ყურადღება და მის დაშოშმინებას 20 წლის განმავლობაში ცდილობდა, რასაც ტრილიონობით დოლარი და 2300-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეწირა; აშშ-მა მიზანს ვერ მიაღწია და ავღანეთიდან შერცხვენილი გაიქცა. დიახ, გაიქცა. ეს სიმართლეა!

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**




**მე, ქართული გეოგრაფიული სივრცე, პროტესტს ვუცხადებ ე.წ. პარტია ევროპული საქართველოს მესვეურებს, რადგან, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, ტრადიციებით თუ ჩემი ხალხის თვისობრივი ნიშნებით, წინა აზიის ქვეყნად ვითვლები. იწამეთ ეს სიმართლე, ბატონებო!**

**პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ახლახან ნათელი მოჰფინა იმ ფაქტს, რომ 75 მილიონი ევრო, რომელსაც ევროპარლამენტი საქართველოსთვის გამოყოფილ დახმარებას უწოდებდა, სინამდვილეში, დახმარება-საჩუქარი კი არა, სესხი ყოფილა, ოღონდ დაბალი პროცენტით. ირაკლი ღარიბაშვილმა დაასწრო და ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონს ამ სესხის მიღებაზე უარი უთხრა. ამით მან ქალბატონი ევროპარლამენტარი გაანაწყენა**

**რუსეთის ხელისუფლების კეთილი ნების გარეშე შეუძლებელია დაკარგული ტერიტორიების გონივრული ფორმით დაბრუნება. ჩრდილოელი მეზობელი არ აპირებს ჩვენთან ურთიერთობის გამწვავებას. ამის დასტურია ისიც, რომ ჩვენ მიერ წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილის რეალიზაცია რუსეთში ხდება, ასევე რუსეთიდან შემოდის ასეული მილიონობით დოლარი ქართული ოჯახების შიმშილისგან გადასარჩენად. ეს თანხები, საბედნიეროდ, ყოველწლიურად იზრდება.**

«სტრატეგიული პარტნიორები»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სად არის ლოგიკა?!



ომარ მარგველაშვილი

**არ იქნება ახალი, თუ ვიტყვი, რომ ამერიკისა და ევროპის მიზანია, საქართველო დააჩოქონ და ქართველები თავიანთ მონებად აქციონ! აი, ასეთი „სტრატეგიული“ და „ერთგული“ პარტნიორები გვყავს აშშ-ისა და ევროპის სახით. ნუთუ ამაში ერთხელ და სამუდამოდ ვერ უნდა დარწმუნდეს ჩვენი უნიათო ხელისუფლება და გაიძვერა ოპოზიცია?!**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გარეწარი ტელეარხები, ნაძირალა არასამთავრობოები და უტიფარი სახალხო დამცველი სოლიდურად ფინანსდებიან უცხოეთიდან სწორედ ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორების“ ინტერესების გასატარებლად.

არც ნატო და არც ევროკავშირი არაფერში რომ არ გვჭირდება, ჯერ კიდევ 2008 წელს დავრწმუნდით. ექსპრეზიდენტ **სააკაშვილის** ბრიყვულმა მოქმედებებმა რუსეთის აგრესია გამოიწვია, შედეგად დავკარგეთ საქართველოს ტერიტორიების 20%, უგუნურ ქმედებებს მოჰყვა უამრავი მსხვერპლი და ნგრევა. ამ ტრაგიკულ დღეებში ძალიან გვჭირდებოდა მათი (ამერიკისა და ევროპის) დახმარება, მაგრამ თითი თითზე არ დააკარეს — მხოლოდ წყლითა და პამპერსებით დაგვასაჩუქრეს, მეტი ვერაფერი გაიმეტეს. როგორ შეიძლება ამის შემდეგ მათ იმედად ყოფნა?!

საუკუნე-ნახევრის წინათ გერმანიის გამაერთიანებელი „რკინის კანცლერი“ **ოტო ფონ ბისმარკი** აღნიშნავდა: „Война против России самоубийство“, „Россия неразрушимое государство“, „Россиян невозможно победить“. ეს შეგონება არ უნდა სცოდნოდა მიწაზე მფორთხავ ქვეყნის მაშინდელ ქვეშაფსია მთავარსარდალს?! ამ უწიგნურმა არც **ნაპოლეონისა** და **ჰიტლერის** ბედი არ გაითვალისწინა და არც უახლოესი ისტორია საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებზე, თუმცა ამ შეურაცხადსა და მის უგუნურ გარემოცვას რა ჭკუა მოეკითხებათ?!

ამერიკის ელჩი საქართველოში — **კელი დეგნანი** ჩვენი უუნარო ხელისუფლების ჭკუის დამრიგებლად და დამტუქსველად გვექცა. ის არადიპლომატიური ქმედებებით ცდილობს, საქართველო და რუსეთი ერთმანეთს დააშოროს და დააპირისპიროს — მასთან შეუთანხმებლად ნაბიჯსაც ვერ ვდგამთ, უტიფრად გვიკრძალავს რუსეთთან დიალოგს. არადა, დიალოგს ხომ ალტერნატივა არ აქვს, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას ხომ ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს?!

**რუსეთის ხელისუფლების კეთილი ნების გარეშე შეუძლებელია დაკარგული ტერიტორიების გონივრული ფორმით დაბრუნება. ჩრდილოელი მეზობელი არ აპირებს ჩვენთან ურთიერთობის გამწვავებას. ამის დასტურია ისიც, რომ ჩვენ მიერ წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილის რეალიზაცია რუსეთში ხდება, ასევე რუსეთიდან შემოდის ასეული მილიონობით დოლარი ქართული ოჯახების შიმშილისგან გადასარჩენად. ეს თანხები, საბედნიეროდ, ყოველწლიურად იზრდება.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლავროვმა** რამდენიმეჯერ გამოთქვა დიალოგის სურვილი. რუსეთს სურს ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო კი აშშ-ისა და ევროპის შიშით ყრუ-მუნჯივით დუმს.

**საქართველოსა და ქართველ ხალხს ამ მღვრიე სამყაროში გადარჩენა და მშვიდობიანი განვითარება თუ სურს, რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგების გარდა სხვა გზა და მომავალი არ აქვს! უნდა შევიგნოთ: ვერც ნატო და ვერც ჩვენი ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი ვერ გვიშველის — გონს უნდა მოვეგოთ...**

* საგანგაშოა ისიც, რომ 5-დღიან ომში სამარცხვინო დამარცხების შემდეგ ქართველთმოძულე სააკაშვილმა ჯერ იზეიმა, შემდეგ კი ძირითადი სტრატეგიული ობიექტები რუსეთს გადასცა და ამაზე ჩვენს „სტრატეგიულ პარტნიორებს“ ხმა არ ამოუღიათ. ეს მაშინ, როცა ჩვენს ხელისუფლებას რუსეთთან პირისპირ დიალოგს, ურთიერთობების გარკვევასა და მოგვარებას უკრძალავენ. **სად არის ლოგიკა?!**

* უკრაინის თავმოყვარეობადაკარგულმა ხელისუფლებამ ჩვენი სასჯელმისჯილი ექსპრეზიდენტი თავზე დაისვა და ამ შლეგს მაღალი თანამდებობები უბოძა. ანგარიშსაც არ გვიწევენ, ჩვენ კი მათდამი მეგობრულ და კეთილგანწყობილ ურთიერთობას გავიძახით. **სად არის ლოგიკა?!**

* კრიტიკას ვერ უძლებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს მოქმედი პრემიერი ღარიბაშვილი აიძულეს, მიეტოვებინა დასკვნითი მნიშვნელოვანი ღონისძიება კიევში, ვინაიდან კლოუნმა ზელენსკიმ იქ ნარკომანი მიშაც მიიწვია. **სად არის ლოგიკა?!**

* პოლიციის მაღალჩინოსან **მეგის ქარდავაზე,** რომელიც ურიცხვ ჩათლახობას სჩადიოდა, მიშა გაიძახის, საერთოდ არ ვიცნობდიო. **სად არის ლოგიკა?!**

* სენატორები, კონგრესმენები, ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ევროკომისიის წევრები, ევროპის პარლამენტარები ხომ ჩასაფრებულნი არიან: თუ ჩვენმა ხელისუფლებამ იშვიათად, მაგრამ მაინც გადადგა



**არც ნატო და არც ევროკავშირი არაფერში რომ არ გვჭირდება, ჯერ კიდევ 2008 წელს დავრწმუნდით. ექსპრეზიდენტ სააკაშვილის ბრიყვულმა მოქმედებებმა რუსეთის აგრესია გამოიწვია, შედეგად დავკარგეთ საქართველოს ტერიტორიების 20%, უგუნურ ქმედებებს მოჰყვა უამრავი მსხვერპლი და ნგრევა. ამ ტრაგიკულ დღეებში ძალიან გვჭირდებოდა მათი (ამერიკისა და ევროპის) დახმარება, მაგრამ თითი თითზე არ დააკარეს — მხოლოდ წყლითა და პამპერსებით დაგვასაჩუქრეს**

ქვეყნისთვის სასიკეთო ნაბიჯი, აფთრებივით დაესევიან, დაგესლავენ, ათას უბედურებას დააბრალებენ. ამ დროს კი ოპოზიცია, „ნაციონალური“ ტელევიზიები, არასამთავრობოები აქტიურდებიან, ქოთქოთებენ და ათას სიბინძურეს ანთხევენ. არავითარი საქმიანი, ქვეყნისა და ხალხის სასარგებლო წინადადება ან მოსაზრება მათი მხრიდან არ ისმის, მხოლოდ უსაგნო ყბედობა. **სად არის ლოგიკა?!**

* ოფიციალურად ცნობილია, რომ უცხოური კრედიტის მომსახურებისთვის ყოველწლიურად 700 მილიონ დოლარზე მეტს ვიხდით. ბოლოს ხელისუფლების მიერ 75 მილიონინ სესხზე გონივრული უარის თქმა ოპოზიციამ და ყველასთვის გასაკვირად ქვეყნის პრეზიდენტმაც არასწორ ნაბიჯად გამოაცხადეს. ცნობილია ისიც, რომ ამერიკის ფული, ძირითადად, რუსეთის წინააღმდეგ აგიტაციას ხმარდება და არა ქვეყნის განვითარებას. **სად არის ლოგიკა?!**

* აშშ-ს და ევროპას ჩვენი ხელისუფლების დასჯა სურს, და ამიტომ სააკაშვილის ჩამოსვლას ყველანაირად შეუწყობს ხელს. **სად არის ლოგიკა?!**



კელი დეგნანი

* ბოდიშს ვიხდი ლექსიკისთვის, მაგრამ ტელეუნიტაზები აწყობენ ბინძურ პროვოკაციებს (განსაკუთრებით ბოლო პერიოდში) სახელმწიფოს, ეკლესიისა და ქვეყნის ავტორიტეტული ინსტიტუტების წინააღმდეგ მათი დისკრედიტაციის მიზნით. დორბლიანმა სააკაშვილმა პატარკაციშვილის „იმედი“, მართლაც იმედის მომცემი ტელევიზია, სასტიკად დაარბია, თანამშრომლებს ბორკილები დაადო, იატაკზე დაყარა და საშინლად შეურაცხყო. ყველას კარგად გვახსოვს დამცირებული და დაჩმორებული **ინგა გრიგოლია** და **გიორგი თარგამაძე,** რომლებიც ახლა აღტაცებულნი მიშას ქება-დიდებაში არიან — აი, ფული როგორ რყვნის ამ ნამუსგარეცხილებს. მთელი ამ საზიზღრობის ავტორი და შემოქმედი ხომ არაადამიანი სააკაშვილია.

თუნდაც კიევში იმ ღამესვე მკვლელობა მოსამართლისა, რომელმაც ნაძირალა მეგის ქარდავა გაასამართლა და საქართველოში ექსტრადიცია მიუსაჯა, როგორ ფიქრობთ, ვისი ხელწერაა? აი, ასეთი გარეწრები იყვნენ და, საუბედუროდ, დღესაც არიან სააკაშვილის გარემოცვაში. ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს ხელწერა ჯალათი სააკაშვილისაა, მაგრამ მას აშშ, ევროპელი დიპლომატები და პოლიტიკოსები უმაგრებენ ზურგს და ამიტომაც არაფრის არ ეშინია. **სად არის ლოგიკა?!**

მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ გვერდს მაინც ვერ ავუვლი: სამარცხვინოა გონებაშეზღუდული **თაკო ჩარკვიანის** მოქმედება — უკადრებელსაც სიამოვნებით კადრულობს, თავს ჭრის მამამისს — **ჯანსუღ ჩარკვიანს,** რომელსაც გულზე არ ეხატებოდა არც ზვიადი და არც მიშა. მე ბევრჯერ მომისმენია მისგან ორივეს მიმართ გამოთქმული მწარე კრიტიკა და შეურაცხყოფაც კი. **ედუარდ შევარდნაძეს** კი აღმერთებდა — მისი წყალობით რამდენიმე მოწვევის პარლამენტარიც იყო. მეტიც, მისი თხოვნით შევარდნაძემ ჯანსუღის ნათლული, **ნინო ბურჯანაძეც,** შეიყვანა პარლამენტში. უმადურმა ანზოროვნამ კი რამდენად „ღირსეულად“ გადაუხადა ამაგი ჯანსუღსაც და მის სათაყვანებელ ედუარდსაც, ყველას კარგად გვახსოვს. სამწუხაროდ, ბოლო წლებში მთაწმინდის წმინდა მიწას ზოგიერთი პიროვნება დაუმსახურებლად მიაბარეს. ეს აღმაშფოთებელი ფაქტია. ხელისუფლება უხეშად ერევა ამ უაღრესად ფაქიზ ეროვნულ საკითხში. ეს დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. უნდა შეიქმნას კომპეტენტური, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი, კეთილგონიერი პროფესიონალებით დაკომპლექტებული ორგანო საქართველოს პატრიარქის და მისი მოსაყდრის მონაწილეობით და მათ მივანდოთ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტა. საჭიროების შემთხვევაში პანთეონის გასუფთავებაც უნდა მოხდეს, როგორც ეს იყო 1989 წელს. ეს არ არის მარტო ჩემი აზრი, ამ მოსაზრებას ჩემს გარშემო ბევრი იზიარებს.

დასასრულ, კარს მოგვადგა მუნიციპალური არჩევნები. ქართველმა ხალხმა შვიდგზის უარი უთხრა ანტიეროვნულ, ანტიეკლესიურ და ანტისახელმწიფოებრივ ძალებს. დიახ, ასეთი მტკიცე ვერდიქტი დაადასტურა ბოლო 9 წლის განმავლობაში ჩატარებულმა არჩევნებმა. იმედი მაქვს, ჩვენი მრავალტანჯული ხალხის გონიერებისა და სიბრძნის.

**ომარ მარგველაშვილი**

**ამერიკის ელჩი საქართველოში —კელი დეგნანი ჩვენი უუნარო ხელისუფლების ჭკუის დამრიგებლად და დამტუქსველად გვექცა. ის არადიპლომატიური ქმედებებით ცდილობს, საქართველო და რუსეთი ერთმანეთს დააშოროს და დააპირისპიროს — მასთან შეუთანხმებლად ნაბიჯსაც ვერ ვდგამთ, უტიფრად გვიკრძალავს რუსეთთან დიალოგს. არადა, დიალოგს ხომ ალტერნატივა არ აქვს, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას ხომ ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დავრწმუნდით, რომ ნაცები ცუდები იყვნენ და ხელისუფლებაში აღარ ვაბრუნებთ, მაგრამ იმას თუ ხვდებით, ამ 9 წლის განმავლობაში მეტი რომ არაფერი გაქვთ სათქმელი? სწორედ ეს არის კატასტროფა, რომ 9 წელი მხოლოდ იმას გვიკიჟინებთ: ჩვენ თუ წავალთ, ისინი მოვლენ და მერე არაფერი გეშველებათო. არ მოვიდნენ ისინი, აგერ უკვე მესამე წრეზე გაგიშვით და რა? რას ვიღებთ სანაცვლოდ?**

**1 ოქტომბერს 9 წელი შესრულდება, რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალური მოძრაობა“ დაამარცხა და მას შემდეგ ძალაუფლებას არ თმობს. 2012 წლიდან არაერთი არჩევნები ჩატარდა და ყველა მათგანში მმართველმა ძალამ დამაჯერებლად გაიმარჯვა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, არც ეს არჩევნები იქნება გამონაკლისი...**

# ერთ დღესაც მოსახლეობას მოსწყინდება მხოლოდ სისხლიანი პლაკატების ყურება და იმ ბილბორდებზე თქვენს თავებსაც მიახატავს

## ბატონებო, მშიერი ხალხი ყველაზე საშიშია!




**გავიგეთ, ზუსტად ვიცით, რომ ოპოზიცია არის ცუდი, რომ წინა ხელისუფლება იყო სისხლისმსმელი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ ხართ კარგი. აი, ეს უნდა გაიგოთ! სხვაგვარად ვერ წავალთ წინ... იმაზეც იფიქრეთ, რომ ხალხს სამუშაო არ აქვს; იმაზეც, რომ სოციალურად დაუცველთა რეკორდული მაჩვენებელი გვაქვს და ეს საამაყო არ არის**

**პოლიტიკოსებს ქართული ხასიათის იმედი აქვთ, სჯერათ, რომ „ქართულ ჯიგრულ პონტში“ ვიღაც რაღაცას „ჩალიჩობს“ და თავი გააქვს, მაგრამ ეს ჩალიჩი, ძირითადად, არაადამიანურ პირობებში ვირივით შრომას, საზღვარგარეთიდან სისხლის ფასად ნაშოვნ და გამოგზავნილ გროშებს ემყარება. ისიც გემახსოვრებათ, გერმანიაში დასაქმების პროგრამით წასული ემიგრანტების თემა რომ მიაჩუმათეთ, რადგან ლამის საკონცენტრაციო ბანაკებში მოუწიათ ყოფნა და იმას ხომ არ იტყოდით, ჩვენმა მეგობარმა ისე გაგვრეკა მონებივით, როგორც ამას თავის დროზე ოსმალები და სპარსელები აკეთებდნენო**

„ოცნებას“ ხალხი უდიდესი იმედით ელოდა. მთავარი, რასაც ადამიანები ითხოვდნენ, სისხლიანი რეჟიმის გასამართლება იყო, მაგრამ ამას ვერ მიაღწია. ჰო, ვერა, რადგან მთავარი დამნაშავეები (ან დამნაშავე) ისევ თავისუფალია და, თუ ვინმეს ჰგონია, გასულ კვირას საქართველოში ჩამოყვანილი **მეგის ქარდავას** დასჯა საკმარისია, ძალიან ცდება. საზღვარგარეთ გადასარევად ცხოვრობენ **დათა ახალაია, სოსო თოფურიძე, ალექსანდრე მუხაძე** და ბევრი სხვა. სააკაშვილზე, საერთოდ, არაფერს ვამბობთ, კაცი უკრაინის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსანია და საქართველოში სასჯელმისჯილ ექსპრეზიდენტს ყველა ევროპული ქვეყანა და ამერიკა კარს ფართოდ უღებენ. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, **რუსეთი მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფოა, რომელშიც სააკაშვილი ჩასვლას იმიტომ ვერ ბედავს, რომ ზუსტად იცის, დააკავებენ; ის რუსეთი, ჩვენ უმთავრეს მტრად რომ გამოგვაცხადებინეს.**

რამდენიმე წელიწადია, არჩევნების წინ საქართველოს სხვადასხვა ქალაქის ქუჩებში სარეკლამო ბანერების გვერდით ჩნდება ბანერი, რომელზეც წინა ხელისუფლების პირველი პირები არიან გამოსახულნი სისხლიანი ხელების ფონზე. ამით „ოცნება“ გვახსენებს, რომ ქართველმა ხალხმა არ უნდა დააბრუნოს ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“. კეთილი, **ბატონებო, გავიგეთ, დავრწმუნდით, რომ ნაცები ცუდი იყვნენ და ხელისუფლებაში აღარ ვაბრუნებთ, მაგრამ იმას თუ ხვდებით, ამ 9 წლის განმავლობაში მეტი რომ არაფერი არ გაქვთ სათქმელი?** სწორედ ეს არის კატასტროფა, რომ 9 წელი მხოლოდ იმას გვიკიჟინებთ: ჩვენ თუ წავალთ, ისინი მოვლენ და მერე არაფერი არ გეშველებათო. არ მოვიდნენ ისინი, აგერ უკვე მესამე წრეზე გაგიშვით და რა? რას ვიღებთ სანაცვლოდ?.. **მიმდინარე წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, საარსებო მინიმუმი 2.8 ლარით გაიზარდა. ანუ, თუ აგვისტოში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 221.1 ლარს შეადგენდა, ივლისში ეს მაჩვენებელი 218.3 ლარი იყო. 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი, აგვისტოში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 38.8 ლარით არის მომატებული. შარშან აგვისტოში საარსებო მინიმუმი 182.3 ლარს შეადგენდა.** ამ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს. მათივე თქმით, აგვისტოში, ივლისთან შედარებით, 2.4 ლარით მოიმატა საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმაც და 193.4 ლარის ნაცვლად 195.8 ლარი გახდა. რაც შეეხება 2020 წლის ანალოგიურ პერიოდს, შარშან აგვისტოში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 161.5 ლარს შეადგენდა. სხვა თემებზე საუბარს არ ვაპირებთ, ამ ცხელ-ცხელ ამბავს მივყვეთ. **მწეველები დამეთანხმებიან, რომ ერთი კოლოფი სიგარეტის ფასი საუკეთესო შემთხვევაში 6 ლარით იწყება. გამოდის, რომ შრომისუნარიანი მამაკაცი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მწეველი, თორემ თანხა მხოლოდ სიგარეტზე არ ეყოფა. კარგია, ხელისუფლება ჩვენს ჯანმრთელობაზე რომ ზრუნავს, მაგრამ ხომ ყველასთვის ცხადია, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი მწეველია (სამწუხაროდ) და შრომისუნარიანი მამაკაცების უმრავლესობაც ეწევა.** ახლა რიგით ადამიანზე ვთქვათ, ანუ საშუალო მომხმარებელზე. ეს ცნებაც პირობითია, რადგან შეიძლება 30 წლის მამაკაცი იყოს შრომისუუნარო და 60 წელს გადაცილებული — შრომისუნარიანი. და **ვინ დაასკვნა, რომ ერთს მეორეზე ნაკლები კვება სჭირდება? იცით, ეს ყველაფერი რას ჰგავს? — თბილისში სახელმწიფო ბაღებში ერთი ბავშვის კვებაზე უფრო მეტი თანხა რომ არის გამოყოფილი, ვიდრე რეგიონების ბაღების ბავშვებისთვის. ვიღაცებს სჯერათ, რომ თბილისელი ბავშვი უფრო მეტს ჭამს, ვიდრე ზესტაფონელი, ხაშურელი, თელაველი, მესტიელი...** აქ ხომ არ არის ლოგიკა? არა, მაგრამ ასეა, ასე ხდება, წლებია და, თუ ვინმე იტყვის, თბილისში პროდუქტი უფრო ძვირია და იმიტომო, ეგეც ტყუილია — ტენდერს სხვადასხვა კომპანია იგებს და ტრანსპორტირების ხარჯით რეგიონებში უფრო ძვირი გამოდის პროდუქტის მიწოდებაო.

ბავშვებს შევეშვათ და ისევ დიდებს დავუბრუნდეთ. საარსებო მინიმუმის თანხა თვის დღეებზე რომ გავყოთ, დღეში საშუალოდ 6.50 ლარი გამოდის. ვინმეს სჯერა, რომ ზრდასრულ ადამიანს შეიძლება ეს თანხა ეყოს და მთელი წელი ამით იარსებოს? მხოლოდ პურსა და კარტოფილს თუ შეჭამს, ჰო, მაგრამ... ამ თანხაში კომუნალური გადასახადებიც შედის და იმ კარტოფილს მოხარშვა ხომ უნდა (ზეთის ფასის გათვალისწინებით, შეწვაზე არაფერს ვამბობთ)? ჰო, არც უნდა იმგზავროთ, ტანსაცმელი კიდევ... ერთი წყვილი მთელი ცხოვრება უნდა გეყოთ, სხვაგვარად ვერ გადაარჩენთ ტანისამოსისთვის და განსაკუთრებით ფეხსაცმლისთვის საჭირო თანხას.

იცით, ყველაზე საინტერესო რა არის? წინა ხელისუფლებამაც ხომ იცოდა, იმის წინამაც და ამჟამინდელმაც ხომ იცის, რომ ეს თანხა რეალურად საკმარისი არ არის? ხომ ზუსტად ხვდებიან, რომ გამორიცხულია, ჯანმრთელ ადამიანს ეს ფული ეყოს და მაინც არ ან ვერ უმატებენ. არ ფიქრობენ, რით არსებობს ერი (აქ არ დავწერთ ერი და ბერი, იმიტომ, რომ...)? **პოლიტიკოსებს ქართული ხასიათის იმედი აქვთ, სჯერათ, რომ „ქართულ ჯიგრულ პონტში“ ვიღაც რაღაცას „ჩალიჩობს“ და თავი გააქვს, მაგრამ ეს ჩალიჩი, ძირითადად, არაადამიანურ პირობებში ვირივით შრომას, საზღვარგარეთიდან სისხლის ფასად ნაშოვნ და გამოგზავნილ გროშებს ემყარება. ისიც გემახსოვრებათ, გერმანიაში დასაქმების პროგრამით წასული ემიგრანტების თემა რომ მიაჩუმათეთ, რადგან ლამის საკონცენტრაციო ბანაკებში მოუწიათ ყოფნა და იმას ხომ არ იტყოდით, ჩვენმა მეგობარმა ისე გაგვრეკა მონებივით, როგორც ამას თავის დროზე ოსმალები და სპარსელები აკეთებდნენო.** ჰო, ოსმალეთი და ირანი ტყუილად არ მიხსენებია, თურქეთი ახლა ერთ-ერთ სტრატეგიულ პარტნიორად გვყავს გამოყვანილი, მას კი თვალი აჭარაზე უჭირავს. აქეთ კიდევ, **საქართველოში დაკავებული ათი უცხოელი ნარკორეალიზატორიდან ნახევარი ირანის მოქალაქე რომ არის, ცალკე თემაა.**

**ისე, შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 221.1 ლარი რომ არის და პენსია 240 ლარი, რას ნიშნავს? პანსიონერი თუ შრომისუნარიანია, პენსიაზე რატომ უშვებთ? ციფრები არასდროს ტყუიანო და, სწორედ ამ ციფრებში რომ ხართ დაკარგულები, ბატონებო, ხვდებით?** და აღარც კი გვახსოვს, რამდენი წლის წინათ იყო, ასდოლარიან პენსიას რომ დაჰპირდით მოსახლეობას, სად არის? თუ ლარი გაიქცა და ვეღარ ეწევა პენსიის ნამატი ვალუტის კურსს?

საარსებო მინიმუმის მატებასთან ერთად, ხელფასები და სამუშაო ადგილები რომ არ მატულობს, ცალკე თემაა. მატულობს კი არა, პანდემიის პირობებში ათასობით ადამიანმა დაკარგა სამსახური და, ახლა მუშაობის დაწყება ვისაც სურს, ისეთ ხელფასს სთავაზობენ, საარსებო მინიმუმზე მეტი რომ არ არის. არადა, ამ ადამიანს დასაქმებული ჰქვია, განცდა აქვს, რომ მუშაობს და თვიდან თვემდე არ ჰყოფნის ჯამაგირი. **იმაზე თუ გიფიქრიათ, ბატონებო, ამდენი ქსელური სუპერმარკეტის ფონზე, რატომ მუშაობენ უბნის პატარა მაღაზიები? იმიტომ, რომ ისინი მოსახლეობას ნისიად აძლევენ პროდუქტს, შემდეგ ეს ადამიანები ხელფასის 90%-ს იმავე მაღაზიაში ტოვებენ და ხელახლა იღებენ ვალს. ასე ვალებით ცხოვრობს მთელი ქვეყანა თვიდან თვემდე და უკეთესი მომავლის იმედიც არ ჩანს.**

კიდევ ერთხელ განგიმარტავთ: ბატონებო, გავიგეთ, ზუსტად ვიცით, რომ ოპოზიცია არის ცუდი, რომ წინა ხელისუფლება იყო სისხლისმსმელი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ ხართ კარგი. აი, ეს უნდა გაიგოთ! სხვაგვარად ვერ წავალთ წინ და ერთ დღესაც მოსახლეობას მოსწყინდება მხოლოდ სისხლიანი პლაკატების ყურება და იმ ბილბორდებზე თქვენს თავებსაც მიახატავს. ამიტომ ვამბობთ, საარსებო მინიმუმის ნაბიჯ-ნაბიჯ მომატებასთან ერთად, იმაზეც იფიქრეთ, რომ ხალხს სამუშაო არ აქვს; იმაზეც, რომ სოციალურად დაუცველთა რეკორდული მაჩვენებელი გვაქვს და ეს საამაყო არ არის, აქაოდა, ადრე მხოლოდ მხარდამჭერებს აძლევდნენ დახმარებასო. ახლა ყველას რომ აძლევთ და მილიონს გასცდით, ეს გამათხოვრებულ ქვეყანას ნიშნავს და სიტყვაზე გვენდეთ, ბატონებო, მშიერი ხალხი ყველაზე საშიშია.

**ბესო ბარბაქაძე**

სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორი ნაძირალა უნდა იყო, რომ, მოსახლეობა კი არა, თანაგუნდელები, მეგობრები, თანამებრძოლებიც კი ვერ ბედავდნენ თქმას, ჩვენიანიაო. სააკაშვილმა მამლის ყივილამდე სამჯერ უარყო მეგისა, — მაგას საერთოდ არ ვიცნობო. ეს იმიტომ, რომ ქარდავას სახელს უკავშირდება „კასტილიანი“ კაცი, სამეგრელოში აღმოჩენილი კასრების თემა და ადამიანის წამებისა და მკვლელობის ძალიან, ძალიან ბევრი ნაცნობი თუ უცნობი ისტორია.**

# საქართველოს მესამე ნაბიჯი დასავლეთის წინააღმდეგ

**9-წლიანი დევნის შემდეგ საქართველოში სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავა ჩამოიყვანეს. ქარდავამ, როცა ტრაპიდან ჩამოვიდა, დაიჩოქა და მიწას აკოცა. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ სცენა ფილმიდან „პასპორტი“, როცა კაცი მატარებელს გააჩერებს და კენჭებს იყრის ჯიბეში, გამცილებელი კი დაუძახებს: ქართული მიწა თუ გინდა, ათი მეტრი გაიარე, ეს „შებენი“ ასტრახანიდანააო.**

რომელი ქვეყნის კენჭებს აკოცა ქარდავამ, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ...

სოციალურ ქსელში გავრცელებულ ამ კადრებს ათასობით კომენტარი ჰქონდა და გულდასმით ვეძებე ერთი ისეთი, რომელიც ყოფილი მაღალჩინოსნის მხარდამჭერი იქნებოდა, მაგრამ არა — ყველა უარყოფითი იყო. ხომ წარმოგიდგენიათ, **როგორ უნდა გააფუჭო საქმე, როგორი ნაძირალა უნდა იყო, რომ, მოსახლეობა კი არა, თანაგუნდელები, მეგობრები, თანამებრძლებიც კი ვერ ბედავდნენ თქმას, ჩვენიანიაო. სააკაშვილმა მამლის ყივილამდე სამჯერ უარყო მეგისა, — მაგას საერთოდ არ ვიცნობო. ეს იმიტომ, რომ ქარდავას სახელს უკავშირდება „კასტილიანი“ კაცი, სამეგრელოში აღმოჩენილი კასრების თემა და ადამიანის წამებისა და მკვლელობის ძალიან ბევრი ნაცნობი თუ უცნობი ისტორია.**

უკრაინის სასამართლომ, კონკრეტულად კი მოსამართლე **ვიტალი პისანეცმა,** ქარდავას საქართველოში ექსტრადაცია ორი კვირის წინათ მიუსაჯა. დაცვის მხარემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა და ახალ სასამართლომდე... პისანეცი გარდაცვლილი იპოვეს. ჯერჯერობით ექსპერტიზას საბოლოო პასუხი არ უთქვამს, რით დაიღუპა მოსამართლე, მაგრამ საქართველოში სოციალურ ქსელებში ათასობით ადამიანმა დაწერა ფრაზა „ქარდავას ხელწერა“. რა თქმა უნდა, უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, არავის არაფერს არ ვაბრალებთ, მით უმეტეს ქარდავას, რომელსაც ისედაც უამრავი ცოდვა აქვს ჩადენილი, მაგრამ ეს ყველაფერი დროსა და სივრცეში ერთმანეთს საეჭვოდ დაემთხვა. სხვა მოსამართლემ მშვიდად განიხილა ქარდავას საქმე და მისი ექსტრადაცია ძალაში დატოვა. ამ მომენტში **მიხეილ სააკაშვილი** გამოვიდა და მეგის ქარდავას არსებობა ძლივს გაიხსენა (არადა, 2-ჯერ ჰყავს დაჯილდოებული — ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენებით), მაგას საერთოდ არ ვიცნობდიო, მაგრამ ახლა უკვე მტკიცებით ფორმაში ვიტყვით — საკუთარი ლობის მეშვეობით სააკაშვილმა მოახერხა და იმდენი გააკეთა, რომ **გაერომ სპეციალური დოკუმენტი გამოსცა, რომლის მიხედვით ქარდავას ექსტრადაცია აიკრძალა და ეს აკრძალვა ძალაში, სულ ცოტა, 3 თვის განმავლობაში უნდა ყოფილიყო.** ვაღიაროთ, არ არის ბატონი მეგისი ის ფიგურა, გაეროს თავი შეეწუხებინა, რომ არა რომელიმე სერიოზული ძალის ჩარევა და ეს სერიოზული ძალა სწორედ სააკაშვილის ლობი იყო, რომელსაც იმდენი აჭამეს ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, რომ დღემდე გაჰყავთ. მოკლედ, მიშამ ქარდავა ვერ გადაარჩინა და ისიც აეროპორტის ასფალტს ემთხვია, თუმცა აქ საინტერესო სხვა რამ არის.

დავიწყოთ იმით, რომ **გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არათუ ჩაერია საქართველოს საშინაო საქმეებში, არამედ ამ ქმედებით ფეხზე დაიკიდა ქართული მართლმსაჯულება, კანონები და, საზოგადოდ, სახელმწიფო. ამ ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ადამიანი, რომელიც სისხლის სამართლის დამნაშავედ არის ცნობილი, რომელსაც, ოჯახის წევრების გარდა, მხარში არავინ არ ამოუდგა და რომელსაც ნამუსი მეგობრებმაც ვერ მოწმინდეს, უფრო მეტიც, მას შეახოცეს ხელი, ხელშეუხებლად გამოაცხადა.** არადა, გაეროში კარგად იცოდნენ, რომ, ექსტრადაციის გარდა, ძალაში იყო ქართული სასამართლოს მიერ ქარდავას წინააღმდეგ გამოტანილი არაერთი გამამტყუნებელი განაჩენი და ამ განაჩენების მიხედვით მას არათუ ადამიანების წამება, არამედ მკვლელობაც ედებოდა ბრალად და ეს ბრალი დამტკიცებული იყო. გამოდის, გაერო თავისი რეზოლუციით მკვლელის მიმართ სამართლის აღსრულების დაბლოკვას შეეცადა და ეს არის ფაქტი, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ გაექცევა.



უფრო საინტერესო კი ის არის, რომ **როგორც საქართველომ, ასევე უკრაინამ არ შეასრულა გაეროს უკანონო მოთხოვნა. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის გამღიზიანებელი ორი მთავარი ქვეყანა — საქართველო და უკრაინა — დასავლეთს არ დაემორჩილა და გაექცა. ჯერ სრულად არა, მაგრამ... საქართველოს მხრიდან ეს უკვე მესამე ნაბიჯია დასავლეთის წინააღმდეგ.**

**როგორც საქართველომ, ასევე უკრაინამ არ შეასრულა გაეროს უკანონო მოთხოვნა. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის გამღიზიანებელი ორი მთავარი ქვეყანა — საქართველო და უკრაინა — დასავლეთს არ დაემორჩილა და გაექცა. ჯერ სრულად არა, მაგრამ... საქართველოს მხრიდან ეს უკვე მესამე ნაბიჯია დასავლეთის წინააღმდეგ... ეჭვი გვაქვს, ხელისუფლებამ ნამდვილი თავისუფლების გემო იგრძნო. მეოთხე ნაბიჯი რუსეთთან პირისპირ დიალოგი უნდა იყოს, მით უმეტეს, დიმიტრი პესკოვმა და სერგეი ლავროვმა თქვეს, სასაუბროდ მზად ვართო. ამ ორი ადამიანის განცხადება ვლადიმერ პუტინის განცხადების ტოლსწორი რომ არის, შეხსენებაც არ უნდა**

პირველი — ე.წ. მიშელის დოკუმენტიდან გასვლა, მეორე — თავსმოხვეულ სესხზე უარის თქმა და მესამე — გაეროს მითითების შეუსრულებლობა. ეჭვი გვაქვს, ხელისუფლებამ ნამდვილი თავისუფლების გემო იგრძნო. მეოთხე ნაბიჯი რუსეთთან პირისპირ დიალოგი უნდა იყოს, მითუმეტეს, **დიმიტრი პესკოვმა** და **სერგეი ლავროვმა** თქვეს, სასაუბროდ მზად ვართო. ამ ორი ადამიანის განცხადება **ვლადიმერ პუტინის** განცხადების ტოლსწორი რომ არის, შეხსენებაც არ უნდა.

ეს იყო მკაფიო გზავნილი მიხეილ სააკაშვილის მისამართით. ექსპრეზიდენტი არ მალავდა, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში არათუ მყარი გარანტიები ექნებოდა, არამედ, უდიდესი ალბათობით, მას გვერდს ევროპარლამენტარებიც დაუმშვენებდნენ. ახლა კი მიშა ძალიან მაგრად დაფიქრდება, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამს, და კომფორტულად თავი ველარც უკრაინაში ვერ უნდა იგრძნოს. ხომ ფაქტია, რომ **უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსანმა სააკაშვილმა ვერ მოახერხა და ქარდავას ექსტრადაციაზე უკრაინის ხელისუფლებას უარი ვერ ათქმევინა. როგორ შეეცდებოდა, კარგად ხვდებით. იმ შემთხვევაში, თუ მეგის ქარდავას საქართველოში ვერ ჩამოიყვანდნენ, სააკაშვილი და მისი მხარდამჭერები აუცილებლად ატეხდნენ ხმაურს: ხომ ხედავთ, უკანონო განაჩენი იყო და ქართული ხელისუფლება ისევ პირში ჩალაგამოვლებული დარჩაო.** ეს ყველაფერი კი მოსახლეობაში სერიოზულ ეჭვს გამოიწვევდა, რომ სისხლიანი რეჟიმის დაბრუნების შესაძლებლობა მართლაც დიდი იყო, ახლა კი... ახლა ირკვევა, რომ მიშამ, შესაძლოა, საქართველოში **ედუარდ სააკაშვილი** გამოუშვას, მაგრამ ძალიან საეჭვოა, ედუჩა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა სერიოზულად აღიქვან. ისე, იმასაც შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინათ რომ დავწერე, **პოლიტიკა კონკრეტულ ადამიანებს დიდშემოსავლიან ბიზნესად აქვთ ქცეული და ამიტომ არ ეთმობათ, შვილებს უტოვებენ-მეთქი; მაგალითებიც მოგიყვანეთ, როგორ ცდილობს შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტთა ლიდერად ჩამოაყალიბოს თავისი შვილი, და როგორ ცდილობს დავით ბერძენიშვილი, პოლიტიკოსად აქციოს თავისი ვაჟი. იმავე გზას ადგას სააკაშვილი, რადგან კარგად იცის (შეიძლება, ყველაზე კარგადაც), რომ საქართველოში პოლიტიკოსობა, სულ ცოტა, უზრუნველ ცხოვრებას ნიშნავს. შეეგუება თუ არა სააკაშვილი-ჯუნიორის პირველობას ნიკანორ მელია, მალე გამოჩნდება...** ახლა, სწორედ ახლა გვაქვს უნიკალური შანსი, დამოუკიდებელ ქვეყნად ვიქცეთ. დასავლეთი მაქსიმუმს აკეთებს, რათა საქართველოში ხელისუფლება შეიცვალოს. ჰო, სწორედ რომ შეიცვალოს და ის 43%-იანი ბარიერიც ამის წინაპირობაა. მართალია, „ქართული ოცნება“ მიშელის დოკუმენტიდან გავიდა, მაგრამ დასავლეთი არ მალავს, რომ, თუ მმართველი ძალა ამ ბარიერს ვერ დაძლევს, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ მაისში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს. რეალურად თუ ვიმსჯელებთ, **არ არის 43%-იანი ბარიერი დაუძლეველი და, უდიდესი ალბათობით, „ოცნება“ მას გადალახავს, მაგრამ, ასეც რომ არ მოხდეს, როგორც ახლა ამბობენ გუნდის ლიდერები, არანაირი ვადამდელი არჩევნები არ იქნებაო, ზუსტად იგივე უნდა გაიმეორონ. ხელისუფლებამ ერთხელ უკვე გამოაჩინა კბილები და ახლა უკან დახევის დრო ნამდვილად არ არის. პირიქით — წინ უნდა ვიაროთ, უნდა დავამტკიცოთ, რომ მართლა დამოუკიდებლები ვართ, უნდა დავამტკიცოთ, რომ ყოველწლიურად 75 მლნ ევროს ვალის დამატება არ გვჭირდება, სამადლოდ გამოწვდილი ხელი არ გვჭირდება და არსებობა შეგვიძლია.**




საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, რუსეთთან მოლაპარაკებების მაგიდას მიუჯდეს, ოღონდ მიუჯდეს შუამავლების გარეშე, პირისპირ და ისაუბროს ყველა პრობლემაზე, რომლებიც ამ ორ ქვეყანას შორის არსებობს. მით უმეტეს, ჩვენს ხელისუფლებას სათქმელი აქვს, რადგან რუსულმა მხარემ არაერთხელ დაადასტურა, პირდაპირი დიალოგისა და დათმობებისთვის მზად რომ არის. რას გულისხმობს ეს დათმობები, თუ არ ვისაუბრეთ, ვერასდროს ვერ გავიგებთ. ასევე, პირისპირ უნდა ვისაუბროთ ყველასთან და არ გვჭირდება არც პროტეჟე და არც შუამავალი — დამოუკიდებელი ქვეყნის დამოუკიდებელი ხელისუფლება გვინდა და გადარჩენაც სწორედ ამაშია.

წინასაარჩევნოდ აუცილებლად იქნება პროვოკაციის მოწყობის მცდელობა. ახლა საქართველოში სიტუაციის არევა ყველაზე მეტად დასავლეთს აძლევს ხელს. დასავლეთი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქართველოს ხელისუფლების შეცვლა რევოლუციით ან სხვა ძალისმიერი გზით წარმოუდგენელია, ძველი მთავრობა კი ხალხს, უბრალოდ, არ სურს, ამიტომ პროვოკაცია და სიტუაციის არევა საუკეთესო გამოსავალია მათთვის. სწორედ ამიტომ პროვოკაციას არ უნდა ავყვეთ და, რაც მთავარია, მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ, რათა კანონი ყველასთვის ერთი იყოს და მოსახლეობას, იმ მოსახლეობას, რომელზეც დგას დღევანდელი ხელისუფლება, უსამართლობის განცდა არ ექნეს.

**ბესო ბარბაქაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჟან ბოდენს მიაჩნდა, რომ „სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს მუდმივი და აბსოლუტური ძალაუფლება“. მან პირველმა ჩამოაყალიბა სუვერენიტეტის დოქტრინა, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების ნიშანი და მისი არსი, რომ, თუ არ არსებობს სუვერენიტეტი – არ არსებობს სახელმწიფო. ბოდენმა, აგრეთვე, მიუთითა სუვერენიტეტის ორ ძირითად და აუცილებელ მახასიათებელზე — სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივობაზე, რომელიც დროით არ არის შეზღუდული და მის აბსოლუტურ ხასიათზე, რომელიც რაიმე პირობებით არ არის შეზღუდული. ეს პრინციპები მაშინდელი ეპოქითა და ისტორიული სინამდვილით იყო განპირობებული, მაგრამ დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.**

# სტალინი — პოლიტიკური რეალიზმის შემოქმედი

**ადამიანი დასაბამიდანვე აკვირდებოდა როგორც ბუნების მოვლენებს, ისე თვით ადამიანთა ქცევებს და მათ თანაარსებობას ბუნებასთან. მეტ-ნაკლებად განვითარებულმა და მოაზროვნე ადამიანებმა უფრო ადრე აუღეს ალღო ბუნებისა და ადამიანების ურთიერთობას და ჩამოაყალიბეს თავიანთი პრიმიტიული თუ ოდნავ წარმატებული ცხოვრების წესები, რომლებმაც წარმოქმნა ადამიანთა მცირე ჯგუფები. უფრო მოაზროვნე და დაკვირვებულმა ადამიანებმა დიდი და მძლავრი ჯგუფები შექმნეს, სუსტებმა კი სუსტი გაერთიანებები ჩამოაყალიბეს, რომლებიც, როგორც წესი, მალე შთანთქა ძლიერმა. ასე იზრდებოდნენ საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც ტომებად, ქალაქებად და შემდგომ სახელმწიფოებად იქცნენ.**

ადამიანთა განვითარების პარალელურად იცვლებოდა და ვითარდებოდა ახალშექმნილი გაერთიანებების მართვის ხერხები და მეთოდები. საზოგადოებაში გაჩნდნენ დამკვირვებლები, რომლებიც ამ მოვლენებს აანალიზებდნენ და უფრო შესაფერის მეთოდებსა და ხერხებს ეძებდნენ კიდევ უფრო დიდი გაერთიანების შესაქმნელად. ადამიანებისათვის არსებობდა მხოლოდ ღმერთების კანონები, რომლებსაც ასრულებდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში თვითონ ადამიანების მიერ მოგონილი კანონი, რომელიც ადაპტირებას გადიოდა საზოგადოებაში და ადამიანები მას ისე ითავისებდნენ, როგორც ბუნების კანონს, ისიც უპირველეს კანონთა ჩამონათვალში ხვდებოდა. შემდგომ კი, — საფიქრებელია, ბუნებამ მისცა ადამიანს ამის უფლება თუ ადამიანი ჩაერია უხეშად ბუნების კანონებში, — მოხდა ბუნებრივი კანონებისა და ადამიანთა ჯგუფებისგან შემუშავებული კანონების აღრევა, რაც საბოლოო შედეგებზე კარგად არ აისახა. ბუნება არ შეხებია ცხოველთა სამყაროს და იგი ცხოვრობდა და ცხოვრობს ისე, როგორც მას სურს. ადამიანმა კი მეტი თავისუფლება მოინდომა, ვიდრე მას შემოქმედმა მიანიჭა, და მისმა თავხედურმა მოქმედებამ ბუნების კანონთა წინააღმდეგ სავალალო შედეგებამდე მიიყვანა კაცობრიობა — მეორედ მოსვლამდე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ერთხელ უკვე იყო მსგავსი შემთხვევა. ადამიანთა მცდელობის შესახებ, გამოეკვლიათ თავიანთი განვლილი ცხოვრების გზა და დაესახათ მომავალი, გავეცნოთ იმ მეცნიერთა ნააზრევს, რომლებიც უხსოვარი დროიდან აკვირდებოდნენ საზოგადეობრივი განვითარების ამ მეტად უცნაურ გზას.

ეჭვი მეპარება, რომ მეცნიერების დარგს, რომელზეც დღეს უნდა ვისაუბროთ, სწორად ჰქონდა სახელი შერჩეული — „პოლიტიკური რეალიზმი“. უწინარესად, განვსაზღვროთ, რა არის პოლიტიკა და შემდეგ გავეცნოთ, რა არის რეალიზმი, რათა ჭეშმარიტებას მივუახლოვდეთ. როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ ცნობარებში აკუმულირებულად არის გადმოცემული „პოლიტიკის“ განმარტება. თითქოს შეთანხმებულია, რომ **„პოლიტიკა“ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაა. განსაზღვრება სწორად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ, რა კავშირი უნდა ჰქონდეს ამ ხელოვნებას რეალიზმთან, გაუგებარია.**

განვიხილოთ უკრაინის დღევანდელი პრეზიდენტის, **ვლადიმერ ზელენსკის,** გაპრეზიდენტება. მას ხომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის არავითარი ცოდნა და გამოცდილება არ ჰქონდა. ის ხომ პოლიტიკაში ილუზიონისტური მეთოდებით მოვიდა, მსგავსად სხვა მრავალი პრეზიდენტისა. თუ ილუზია, წარმოსახვის ეს ფორმა რეალიზმია, მაშ, რეალიზმი რაღაა?! თუ მხატვარი სოფლის ან ქალაქის პეიზაჟს ზუსტად გადაიტანს ტილოზე ადგილმდებარეობის მიხედვით, ეს ხომ ნატურალიზმია და არა ხელოვნება? თუმცა ესეც ხელოვნებაა და ამის შემოქმედთ ფოტოხელოვანებს უწოდებენ, მაგრამ ეს ხელოვნება მკვეთრად განსხვავდება კლასიკური ხელოვნებისგან.

არსებობს სახელმწიფოსა და საზოგადოების სწორი და არასწორი მართვის უამრავი მაგალითი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ არსებობს კარგი და უკეთესი რეალიზმი, რაც, ჩემი აზრით, გაუგებრობაა. რეალიზმი ერთია და იგი, ცუდია თუ კარგი, ადამიანმა უნდა გაარკვიოს. **ილია ჭავჭავაძე** და **დავით კლდიაშვილი** რეალისტი მწერლები არიან, მაგრამ მათ შემოქმედებაში უზარმაზარი ნაპრალი დევს. საქართველოში პოლიტიკური რეალიზმის შემსწავლელ მეცნიერთა თითქმის ყველა ნაშრომს გავეცანი. არ ვიცი, უხეშად ნათარგმნი ტექსტის ბრალია, თუ ახალბედა მეცნიერების დაუდევრობის, მთარგმნელისა თუ გადამწერთა კონცეფციები ისე არის არეული, რომ, თითქოს ავტორს არც უნდა, მკითხველმა გაიგოს, რაზეა საუბარი მოცემულ პოსტულატში, რომ არაფერი ვთქვათ ნაშრომის შინაარსზე, რომელიც „თეთრი თაგვის ზღაპრების“ დასასრულს მოგვაგონებს. საბრალო **ფუკიდიდე** (ბერძენი ისტორიკოსი ჩვ.წ.აღ. 460-395 წ) — ვინ წარმოიდგენდა, ასე თუ გაიგებდნენ და გაუგებრად აქცევდნენ მრავალი საუკუნის წინათ დაწერილ მის სიბრძნეს. სადაც კი აზრი ამოვიკითხე და ტექსტი ჩემთვის გასაგებ ენაზე იყო დაწერილი და გადმოცემული — ეს არის პროფესორ **თამარ კიკნაძის** კვლევა „საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის საკითხები“, რომელიც მეცნიერულ სტანდარტებს არათუ აკმაყოფილებს, გასაგებს ხდის და ნათელს ჰფენს საუკუნეების წინათ შექმნილ „კლასიკურ“ სამეცნიერო ლიტერატურას.

აი, რას წერს ქალბატონი თამარ კიკნაძე თავისი ნაშრომის შესავალ ნაწილში: **„კლასიკური“ მიდგომის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარი მახასიათებელი სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ წინააღმდეგობებით გამოწვეული ქმედებებია, ხოლო გადამწყვეტ ფაქტორად ეროვნული ინტერესები და ძალა მიიჩნევა. თავის მხრივ, აღნიშნული მიდგომა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული „პოლიტიკური რეალიზმის“ სკოლის წინამორბედად გვევლინება“.** პროფესორი თამარ კიკნაძე საფუძვლიანად იხილავს ისეთი მოაზროვნეების შემოქმედებას, როგორიც იყო **ჟან ბოდენი, თომას ჰობსი, ლორდი ბოლინბროკი, დევიდ იუმი, ნიკოლო მაკიაველი** და **ჰანს მორგენთაუ.**

**ბოდენმა,** როგორც პროფესორი თამარ კიკნაძე წერს, **„პირველმა წამოაყენა იდეა სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ. ბოდენის განმარტებით, სუვერენიტეტი არის კანონების შექმნის და ცხოვრებაში გატარების უფლება. სახელმწიფო არის უზენაესი პოლიტიკური ძალაუფლების მფლობელი როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებში. სუვერენული ძალაუფლების მქონეზე ზემოთ მხოლოდ ღმერთი და ბუნების კანონებია. სუვერენიტეტი არ არის დამოკიდებული კანონების სამართლიანობაზე. იგი დამოკიდებულია იმ ძალაზე, რომელიც ამ კანონების დაწესებაზე ფლობს ძალაუფლებას ...ჟან ბოდენს მიაჩნდა, რომ „სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს მუდმივი და აბსოლუტური ძალაუფლება“.** მან პირველმა ჩამოაყალიბა სუვერენიტეტის დოქტრინა, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების ნიშანი და მისი არსი, რომ, **თუ არ არსებობს სუვერენიტეტი – არ არსებობს სახელმწიფო.** ბოდენმა, აგრეთვე, მიუთითა სუვერენიტეტის ორ ძირითად და აუცილებელ მახასიათებელზე: სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივობაზე, რომელიც დროით არ არის შეზღუდული, და მის აბსოლუტურ ხასიათზე, რომელიც რაიმე პირობებით არ არის შეზღუდული. ეს პრინციპები მაშინდელი ეპოქითა და ისტორიული სინამდვილით იყო განპირობებული, მაგრამ დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა“.



ახალგაზრდა სტალინი

**1895 წლის დეკემბერში 16 წლის სოსო ჯუღაშვილმა გაზეთ «ივერიის» კარი შეაღო და რედაქტორს, დიდ ილია ჭავჭავაძეს, თავისი დაწერილი ლექსი მიაწოდა. ილიამ, რომელიც კარგად იცნობდა უნიჭიერეს ავტორს, ლექსის სტრიქონები სწრაფად ჩაიკითხა და ახალგაზრდას მიმართა: «იქნებ სხვა რამეც გეფიქრათ, ყმაწვილო!» მორცხვად თავდახრილმა სოსელომ რედაქციის კარი გამოიხურა და თავის უკიდეგანო სივრცეში გადაეშვა. რამდენიმე დღეში, 1895 წლის 15 დეკემბერს, გაზეთმა «ივერიამ» პირველ გვერდზე გამოაქვეყნა სოსელოს ლექსი «შხამით აღსავსე ფიალა»**

**პროფესორი თამარ კიკნაძე თომას ჰობსის „ლევიათანის“ შეფასებისას მეცნიერულ აპოგეას აღწევს და უკვდავების ავტორს მოკვდავის ხელს აშველებს ხოლმე. „ლევიათანი“ პოლიტიკური ფილოსოფიის აღიარებული შედევრია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო „მოკვდავი ღმერთია“. ავტორი მას მითურ ურჩხულს ადარებს. ჰობსის აზრით, სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობები ადამიანის არასრულყოფილი ბუნებით არის განპირობებული. მათ შორის აღსანიშნავია ისეთი თვისებები, როგორიცაა ეგოიზმი, ცბიერება, ბატონობის სურვილი: „ერთმანეთისადმი უნდობლობა, დიდებისა და რეპუტაციისაკენ სწრაფვა, დაპირისპირება თითოეულის თითოეულის და ყველასი ყველას წინააღმდეგ მუდმივ ომს იწვევს. ომი ნიშნავს არა მარტო საომარი მდგომარეობის ფაქტს, არამედ ომის წარმოების უპირობო ნებას და, სანამ ეს ნება იარსებებს, იქნება ომი და არა მშვიდობა, ხოლო ადამიანი ადამიანისთვის მგელია“.**

და იქვე: „სანამ ადამიანები ცხოვრობენ საერთო ხელისუფლების გარეშე, რომელიც მათ შიშის მდგომარეობაში ამყოფებდა, ისინი არიან მდგომარეობაში, რომელსაც ომი ეწოდება, ომი ყველა ყველას წინააღმდეგ“. ღრმად შედის რა ისტორიის ანალებში პროფესორი ქალბატონი ლორდ ბოლინბროკის ნაშრომებს აანალიზებს წარსულისა და უახლესი ისტორიის მოვლენებს შორის და წერს: **„ბოლინბროკის აზრით, საფრანგეთის მეზობლების მხრიდან „ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან კომპრომისის საბედისწერო პრინციპმა“ მაშინ, როდესაც საფრანგეთის მეფის პრეტენზიები, მისი ძალა იზრდებოდა და საფრთხეს უქმნიდა მთელ ევროპას, სხვა სახელმწიფოები კი სუსტდებოდნენ, საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ბურბონებმა „ერთხელაც დანარჩენ ევროპას წაუყენეს გამოგონილი უფლება“ ესპანურ სამეფოზე. „შეხედულებათა სიბეცემ“, „მცდარმა წარმოდგენებმა“, სახელმწიფო მოღვაწეთა „გახრწნილებამ“ არათუ დროულად არ შეაჩერა ამ სახელმწიფოს გაძლიერება, არამედ გამოკვება იგი“.** მორგენთაუ თავის ნაშრომში აყალიბებს პოლიტიკური რეალიზმის 6 პრინციპს, რათა გააქარწყლოს გაუგებრობები საკითხზე, რა არის პოლიტიკური რეალიზმი:

1. პოლიტიკა ფესვგადგმულია ადამიანის პერმანენტულად უცვლელ ბუნებაში, რომელიც არის ეგოისტური და ეგოცენტრული.

2. პოლიტიკა არის ავტონომიური სფერო და არ შეიძლება მისი დაყვანა ეკონომიკამდე (როგორც ამას მარქსიზმის მიმდევრები აკეთებენ) ან მორალამდე (როგორც ამას კანტის ლიბერალური თეორიის მიმდევრები აკეთებენ ხოლმე). სახელმწიფოს მეთაურებმა უნდა იმოქმედონ პოლიტიკური სიბრძნის დიქტატის მიხედვით. მათთვის გზის გაგნების მთავარი საშუალება ეროვნული ინტერესების კონცეფციაა.

**3. პირადი ინტერესები არის ადამიანური არსების გამომხატველი ფაქტი. ყველა ადამიანის პირადი ინტერესების მინიმუმი არის თვითგადარჩენა და უსაფრთხოება. პოლიტიკა არის არენა, სადაც ეს ინტერესები გამოიხატება და ეს ინტერესები აუცილებლად ერთმანეთს შეეჯახება, რაც, ადრე თუ გვიან, გამოიწვევს კონფლიქტს. საერთაშორისო პოლიტიკაც ასევე არის სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების არენა. სახელმწიფოთა ინტერესები კი იცვლება დროსა და გარემოში. რეალიზმი არის დოქტრინა, რომელიც რეაგირებას ახდენს ცვალებად პოლიტიკურ რეალობაზე.**

4. საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკა არ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აი, რას წერს ქალბატონი თამარ კიკნაძე თავისი ნაშრომის შესავალ ნაწილში: „კლასიკური“ მიდგომის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარი მახასიათებელი სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ წინააღმდეგობებით გამოწვეული ქმედებებია, ხოლო გადამწყვეტ ფაქტორად ეროვნული ინტერესები და ძალა მიიჩნევა. თავის მხრივ, აღნიშნული მიდგომა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული „პოლიტიკური რეალიზმის“ სკოლის წინამორბედად გვევლინება“.**



ჰანს მორგენთაუ



თომას ჰობსის ლევიათანი

◀ის პოლიტიკური და სიტუაციური ეთიკა, რომელიც ძალზედ განსხვავდება პირადი მორალისაგან. პოლიტიკურ ლიდერს არ აქვს თავისუფლება, მოიქცეს მორალურ პრინციპებზე დაყრდნობით რიგითი მოქალაქისგან განსხვავებით, რადგან იგი პასუხისმგებელია ხალხის წინაშე და მის ხელშია მათი უსაფრთხოება და კეთილდღეობა. შესაძლებელი შედეგებიდან ყველაზე მომგებიანის შერჩევა პოლიტიკოსის უმაღლესი მიღწევაა.

**5. რეალიზმი მიიჩნევს, რომ არც ერთი ერისა და სახელმწიფოს ზნეობრივი მიზნები არ შეიძლება მივიჩნიოთ საყოველთაო ზნეობრივ კანონებად (თვით ისეთი დემოკრატიული ერისაც კი, როგორიც არის აშშ) და არ შეიძლება ისინი ძალის გამოყენებით დაკისრებული იქნეს სხვა სახელმწიფოზე. რეალისტები გამოდიან ამის საწინააღმდეგოდ, რადგან ეს საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას. შესაძლებელია, რომ რაღაც მომენტში ძალით დაკისრებულმა იდეოლოგიამ საპირისპირო შედეგი გამოიღოს და თვით „ჯვაროსან“ ქვეყანას საფრთხე შეექმნას.**

**6.** პოლიტიკოსის უმაღლესი ზნეობა და მორალი არის მისი ქვეყნის ინტერესები. რეალისტებს მიაჩნიათ, რომ ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი გაკეთებაც თავიანთი ძალაუფლების წყალობით შეუძლიათ, ხოლო სუსტები იძულებით იღებენ იმას, რისი თავიდან აცილებაც არ ძალუძთ. რეალისტები, ზემოჩამოთვლილ ისტორიულ პირებსა და მათ მოსაზრებებში იმის ნათელ დადასტურებას ხედავენ, რომ ძალისმიერ პოლიტიკას ნებისმიერ ეპოქასა და ნებისმიერ სახელმწიფოში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მეცნიერი ჰანს მორგენთაუ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო პოლიტიკა იმართება მიზანმიმართული უნივერსალური კანონებით, რომლებსაც საფუძვლად უდევს ის აზრი, რომ ეროვნული ინტერესები განისაზღვრება ძალაუფლების გადმოსახედიდან (და არა გადაწყვეტილებების მიმღებთა ფსიქოლოგიურ მოტივებზე დაყრდნობით). ჰანს მორგენთაუ, აგრეთვე, ამტკიცებდა, რომ არც ერთი ერი არ ყოფილა ღმერთისაგან გამორჩეული და რომ ყოველი მათგანი მოქმედებდა გონივრულად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

დასასრულ, **ჟან ჟაკ რუსო,** განმანათლებლობის ეს თვალუწვდენელი ტიტანი, რომლის შემოქმედებაც ყველაზე კარგად არის გადმოცემული პროფესორ თამარ კიკნაძის ნაშრომებში. ქალბატონი თამარი იხილავს ჟან ჟაკ რუსოს ნაშრომს: „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობისა და საფუძვლის შესახებ“ და „საზოგადოებრივი კონტაქტების შესახებ“. მის პიროვნებასა და შემოქმედებაში პროფესორი აშკარად ხედავს უახლესი ისტორიის ხილულ მასალებს, მაგრამ არ აქვს გადაწვეტილი, გადავიდეს თუ არა „დაუკრეფავში“.

**ქალბატონ პროფესორს უნდა მივმართო, რომ ამ მხრივ მას ბევრი სამუშაო და „დასაკრეფი“ აქვს, თუ ამის გამბედაობა და სამსახურეობრივი სტატუსი არ შეუშლის ხელს, მაგრამ ვხედავ მის ნაშრომებში ძალას და შემართებას, რომ ის „დაუკრეფავში“ მალე გადავა და მაშინ ნახოს და წაიკითხოს მკითხველმა, რას ნიშნავს „პოლიტიკური რეალიზმი“ და ვინ არის მისი ნამდვილი შემოქმედი.**

პროფესორი თამარ კიკნაძე იხილავს რა ჟან ჟაკ რუსოს შემოქმედებას, წინა პლანზე გამოჰყავს აბატი **სენ-პიერი,** რომელზეც ჟან ჟაკ რუსო ამბობს, რომ „რადგან აბატი სენ-პიერის სისტემა არ განხორციელდა, იგი უვარგისი იყო“. პროფესორის აზრით კი, „სისტემა იმდენად სრულყოფილი იყო, რომ ძნელი იყო განსახორციელებლად, რადგანაც ბოროტება და ავის ქმნა იმდენი ხალხისთვის არის ხელსაყრელი, რომ ცხოვრებაში თავისთავად შემოდის, ის კი, რაც საზოგადოებისთვის სასარგებლოა, მხოლოდ ძალით ინერგება, რადგანაც თითქმის ყოველთვის კერძო ინტერესები ელობება“. რუსოს კრიტიკის ორიგინალობა მის დემოკრატიულ მისწრაფებებში და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების რეალისტურ აღქმაში მჟღავნდება ... რუსოს მიაჩნდა, რომ „ომები და დაპყრობები, ერთი მხრივ, და დესპოტიზმის პროცესია, მეორე მხრივ, ურთიერთდაკავშრებულია“. ზემოთ მოვიყვანე „პოლიტიკური რეალიზმის“ არარეალური გზებისა და მეთოდების რამდენიმე მაგალითი, რომელთა ავტორები თუმცა ბრძენი, მაგრამ არაპრაქტიკოსი ადამიანები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ზემოჩამოთვლილი ბუმბერაზები „პოლიტიკური რეალიზმის“ მამებად არიან მიჩნეულნი, პროფესორ თამარ კიკნაძის განმარტებით, ისინი სულაც არ განიხილავდნენ თავიანთ თავს რეალისტებად.

ახლა მე შევეცდები, წარმოგიდგინოთ ადამიანი, რომელიც პოლიტიკური რეალიზმის ფუძემდებელი და ამავე დროს ჩვენი მიწა-წყლის წარმომადგენელია.

## სტალინი – პოლიტიკური რეალიზმის მამა

1895 წლის დეკემბერში 16 წლის სოსო ჯუღაშვილმა გაზეთ „ივერიის“ კარი შეაღო და რედაქტორს, დიდ ილია ჭავჭავაძეს, თავისი დაწერილი ლექსი მიაწოდა. ილიამ, რომელიც კარგად იცნობდა უნიჭიერეს ავტორს, ლექსის სტრიქონები სწრაფად ჩაიკითხა და ახალგაზრდას მიმართა: „იქნებ სხვა რამეც გეფიქრათ, ყმაწვილო!“ მორცხვად თავდახრილმა სოსელომ რედაქციის კარი გამოიხურა და თავის უკიდეგანო სივრცეში გადაეშვა. რამდენიმე დღეში, 1895 წლის 15 დეკემბერს, გაზეთმა „ივერიამ“ პირველ გვერდზე გამოაქვეყნა სოსელოს ლექსი „შხამით აღსავსე ფიალა“:

**ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი,**
**კარის-კარ დაწრიალებდა;**
**ხელთ ეპყრა მუხის**
**ფანდური,**
**ხმას ტკბილად**
**აწკრიალებდა;**
**მის საოცნებო ჰანგებში**
**ვითარცა სხივი მზიური,**
**ისმოდა თვითონ სიმართლე**
**და სიყვარული ციური,**
**ბევრს აუძგერა იმა ხმამ**
**გული, ქვად გადაქცეული;**
**ბევრს გაუნათლა გონება,**
**ბნელ-უკუნეთად ქცეული.**
**მაგრამ, დიდების მაგიერ,**
**სად ჩანგმა გაიწკრიალა,**
**განდევნილს ბრბომ**
**იქ დაუდგა**
**შხამით აღვსილი ფიალა...**
**და უთხრეს: „შესვი,**
**წყეულო,**
**ეგ არის შენი ხვედრიო!**
**შენი არ გვინდა სიმართლე,**
**არც ეგ ციური ხმებიო!“**

ეს არის პოლიტიკური რეალიზმის ჰიმნი სტალინის შემოქმედებაში.

58 წლის წინათ, 1895 წელს, წინასწარმეტყველურად ნათქვამი 1953 წლის მარტში ასრულდა, როდესაც ბრბომ მას შხამით სავსე ფიალა დაუდგა და უთხრა, რომ შესვას: **„შესვი წყეულო,/ ეგ არის შენი ხვედრიო, /შენი არ გვინდა სიმართლე, /არც ეგ ციური ხმებიო“.** მაგრამ წინასწარმეტყველების ასრულებამდე მას ბევრი გზა ჰქონდა გასავლელი; მის ციურ ჰანგებს ბევრი სიმართლე უნდა ეთქვა და ბევრი სიკეთე ექეთებინა, რომელიც რეალობას ასახავდა და ამქვეყნიურ სამოთხის შექმნას ისახავდა მიზნად.

მაშ, მივყვეთ პოლიტიკური რეალობის, სტალინის მიერ გაყვანილი გზის რთულ მოსახვევებს, რომლებზეც წერდა: **„მეცნიერების მწვერვალებისაკენ მისასვლელად არ არსებობს ფართო სამხედრო გზა და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა. ის კლდოვან ბილიკებზე ასვლას მოითხოვს“.**

პროფესორი **ლევან სვანაძე** შესავალში თავისი პოპულარული წიგნისა „სტალინი, როგორც დიპლომატი“ წერს: **„ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონ ბონაპარტე, ოტო ბისმარკი, ტალეირანი, კარდინალი რიშელიე და სხვები წინა საუკუნეების გოლიათები იყვნენ, რომლებმაც, თავიათი ბუმბერაზობის მიუხედავად, ოდნავ ვერ დაჩრდილეს კაცი, რომელიც არატრადიციული დიპლომატიის სამყაროდან წამოიმართა და, ფაქტობრივად, მარტომ შექმნა ისეთი იმპერია, რომლის ნგრევის შედეგებს ახლაც კი, ლამის საუკუნის შემდეგ, თავსა და ბოლოს ვერ აბამენ თანამედროვე მსოფლიოს უზარმაზარ სივრცეზე. ეს სასწაულმოქმედი ადამიანი (სხვას ვერაფერს ვუწოდებთ) გახლდათ, ჩერჩილის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „მეჩექმის შვილი“ (დავუმატებდი — გორელი მეჩექმის შვილი) იოსებ სტალინი** — კაცი, რომლის პირამიდის დანგრევას, აი უკვე ნახევარი საუკუნეა, ვერ ახერხებენ მსოფლიოს ყველა ჯურის ძალები პოლიტიკურ-მასონისტური წრეებით დაწყებული, რუსი ნაციონალისტებით დამთავრებული. მათი შოვინისტური მცდელობები დიდად წარმატებული არ არის, რადგან იმდენად დიდი და ცემენტირებულია ეს პირამიდა, რომ თავისი შეწიდულობით გაცილებით მტკიცე გამოდგა, ვიდრე ცნობილი ეგვიპტური პირამიდები ხეოფსის პირამიდის ჩათვლით“.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**«ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონ ბონაპარტე, ოტო ბისმარკი, ტალეირანი, კარდინალი რიშელიე და სხვები წინა საუკუნეების გოლიათები იყვნენ, რომლებმაც, თავიათი ბუმბერაზობის მიუხედავად, ოდნავ ვერ დაჩრდილეს კაცი, რომელიც არატრადიციული დიპლომატიის სამყაროდან წამოიმართა და, ფაქტობრივად, მარტომ შექმნა ისეთი იმპერია, რომლის ნგრევის შედეგებს ახლაც კი, ლამის საუკუნის შემდეგ, თავსა და ბოლოს ვერ აბამენ თანამედროვე მსოფლიოს უზარმაზარ სივრცეში. ეს სასწაულმოქმედი ადამიანი (სხვას ვერაფერს ვუწოდებთ) გახლდათ, ჩერჩილის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, «მეჩექმის შვილი» (დავუმატებდი — გორელი მეჩექმის შვილი) იოსებ სტალინი»**




## ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზედაპირებთან კონტაქტის მოშიშარი (უფრო ჯანმოს მოშიშარი) ჯანდაცვის მესვეურები თვალს ხუჭავენ (თუ არ იციან, მით უარესი) ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა და ბონის უნივერსიტეტის ვირუსოლოგების კვლევებით (ჯერ კიდევ 2020 წლის გაზაფხულზე) დადგენილ ფაქტზე: „კორონავირუსი უკიდურესად მგრძნობიარეა სიმშრალის მიმართ — ძალიან სწრაფად იღუპება, ამიტომ დაინფიცირება, პრაქტიკულად, მხოლოდ წვეთოვანი გზითაა შესაძლებელი ავადმყოფთან კონტაქტისას. ვირუსი ბევრ ზედაპირზე იპოვეს, მაგრამ მისი „გაცოცხლება“, ანუ აქტივაცია არ ხერხდება იდეალურ ლაბორატორიულ პირობებშიც კი“.**

# მე ბრალს ვდებ...

**სოციალური, პოლიტიკური და ეთნიკური დაპირისპირების უამრავი მაგალითია ცნობილი, მაგრამ ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. რაც უნდა საოცრად ჩანდეს, წამქეზებლების როლში წინა პლანზე ჯანდაცვის მესვეურები გამოდიან, შემდეგ — მათი რეკომენდაციების შესაბამისად მოქმედი ნაირნაირი უაზრო შეზღუდვების, კარანტინების, კომენდანტის საათის, ლოკდაუნების შემომღები მთავრობა და პარლამენტი თავისი ჯანდაცვის კომიტეტიანად. ჩვენში ეს მესვეურები არიან, პირველ რიში, ბატონები: ამირან გამყრელიძე (დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი), პაატა იმნაძე (ლუგარის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი) და თენგიზ ცერცვაძე (მთავარი ინფექციონისტი, „ქართველი ფაუჩი“).**

საზოგადოება დაგვყვეს აცრილებად და აუცრელებად და შუღლის ჩამოსაგდები კამპანია გააჩაღეს. დააკვირდით ამ სამ პიროვნებას, მათ რიტორიკას და დაინახავთ, რომ **ვაქცინაციისკენ მოწოდება არა ახსნა-განმარტებით დარწმუნებაზეა დამყარებული, არამედ მოსახლეობის დაშინებაზე და იმ ადამიანების ნეგატიური იმიჯის შექმნაზე, რომლებიც ვაქცინაციაზე უარს ამბობენ. მათი ასეთი საძრახისი გამოსვლებიდან გამომდინარეა, რომ სხვებიც ყველაფერს კადრულობენ და კოვიდვაქცინაციის მოწინააღმდეგეებს რას არ გვიწოდებენ: უვიცებს, ბნელებს, ჩამორჩენილებს, აცრილებისთვის საშიშებს, ყველანაირი შეზღუდვების ღირსებს.** ერთმა დეპუტატმა, რომელიც უკადრებელი სიტყვა-პასუხით არ გამოირჩევა (ერთი მიზეზის გამო გვარს არ ვასახელებ), ამჯერად უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვია: **„ვირუსები მუსრს გვავლებენ, თქვენ კი ვირუსების (ანუ მკვლელების) მხარეს დგახართ“! ჩვენ მტრის ბანაკში ვართ თურმე, ის კი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას ხმალამოღებული (ანუ სახელმწიფო ძალაუფლებით აღჭურვილი), რომლის ძალითაც იგი და მისი თანამოაზრენი ადამიანის უფლებებს ფეხქვეშ თელავენ და თვლიან, რომ აბსოლუტურად სამართლიანია, როცა გვეუბნებიან — ის უნდა შეიშხაპუნოთ, რასაც ჩვენ ვთვლით საჭიროდ.** თანაც, დააყოლებენ: გვენდეთ სიტყვაზე, ჩვენ მხოლოდ კარგი გვინდა თქვენთვის, თორემ... თუ ძალიან გაჯიუტდებით და უარს იტყვით აცრაზე, რესტორანში კი არა, სასურსათო მაღაზიაშიც არ შეგიშვებთ აუცრელებსო.

**განსხვავებული აზრის არანაირი პატივისცემა და შემწყნარებლობა, არანაირი არგუმენტი, პაექრობა და სპეციალისტების აზრთა ჭიდილში ჭეშმარიტების ძიება, მხოლოდ მენტორული განცხადებები: გეუბნებით და დაგვიჯერეთ, ვაქცინაციას ალტერნატივა არ აქვს, მორჩა და გათავდა! მოკლედ, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ანტივაქსერები საზოგადოებისთვის მიუღებელ ადამიანებად წარმოჩნდნენ.**

მედიკოსების აბსურდს პოლიტიკოსებიც იმეორებენ: „თქვენ საფრთხეს უქმნით აცრილებს!“ ამას კიდევ არა უშავს, მთქმელის უვიცობით ახსნი, მაგრამ, როდესაც არაექიმისთვისაც კი შეუფერებელ, ანტიჰუმანურ წინადადებებს 73 წლის პროფესორი წამოაყენებს, ეს უკვე უბედურებაა. ვგულისხმობ ბატონ თენგიზ ცერცვაძის „მარგალიტებს“: „თუ ვაქცინაციის პროცესი მომავალშიც დაბალი ინტენსივობით გაგრძელდება, სახელმწიფომ შეიძლება მოქალაქეთა იძულების გარკვეულ ფორმებზე იფიქროს“. ამის მკადრებელი ექიმისგან უკვე აღარც მეორე „მარგალიტია“ გასაკვირი, რუსული ვაქცინა „სპუტნიკ V“-ის სავარაუდო შემოტანაზე ნათქვამი: **„კარგიც რომ იყოს რუსეთის ვაქცინა, იგი პოლიტიკურად მიუღებელია ჩვენთვის“. თურმე ხორბალი, მზესუმზირის ზეთი, ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, წამლები და უამრავი სხვაც, რუსეთში წარმოებული, ასეულობით მილიონ დოლარ ნაღდ ფულთან ერთად სავსებით მისაღებია, აი, ვაქცინა კი მიუღებელია პოლიტიკურად. რა გამოდის, ექიმი, რომელიც მოწოდებით ვალდებულია, მტერსაც კი უმკურნალოს, პოლიტიკური მოტივით უარს ამბობს საკუთარი ხალხისთვის საჭირო სამედიცინო პრეპარატზე.** ექიმს, როგორც ადამიანს, ზოგჯერ დაშვებული უნებლიე შეცდომა, უყურადღებობა, უხეშობა, იატროგენული ლაფსუსიც შეიძლება აპატიო, მაგრამ მსგავსი განცხადებების მიტევება ადამიანისთვის, რომელსაც ჰიპოკრატეს ფიცი აქვს დადებული, თავად თუ არ მოინანია, შეუძლებელია. პანდემიის გამოცხადებიდან (2020 წლის მარტი) მოსახლეობა ითხოვს ზოგიერთ საკითხში გარკვევას, ახსნა-განმარტებას, ინფორმაციას კოვიდის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ, დამატებით სტატისტიკურ მონაცემებს, მაგრამ კონკრეტული პასუხის მსგავსიც კი არავის არაფერი სმენია. გვესმის მხოლოდ მენტორული ტონით მოწოდებული უარგუმენტო „შეგონებანი“ და ვაწყდებით კონსტიტუციის დარღვევით შემოღებულ უკანონო და თან უაზრო შეზღუდვებს, როგორებიცაა: „პირბადეები — ყოველთვის, ყველგან და ყველასთვის“, „ხშირად დაიბანეთ ხელები საპნით, დაიმუშავეთ სადეზინფექციო საშუალებებით“, „დაიწმინდეთ ფეხები დეზობარიერზე“, „ღამის 9-დან დილის 6 საათამდე ქუჩაში ყოფნა მკაცრად ისჯება“, „შეგიძლიათ მუშტებით, იდაყვებით და ტერფებით „მისალმება“, „სადეზინფექციო ხსნარებით სისტემატურად დაამუშავეთ ყველა ზედაპირი“.







**ვაქცინაციისკენ მოწოდება არა ახსნა-განმარტებით დარწმუნებაზეა დამყარებული, არამედ მოსახლეობის დაშინებაზე და იმ ადამიანების ნეგატიური იმიჯის შექმნაზე, რომლებიც ვაქცინაციაზე უარს ამბობენ. მათი ასეთი საძრახისი გამოსვლებიდან გამომდინარეა, რომ სხვებიც ყველაფერს კადრულობენ და კოვიდვაქცინაციის მოწინააღმდეგეებს რას არ გვიწოდებენ: უვიცებს, ბნელებს, ჩამორჩენილებს, აცრილებისთვის საშიშებს, ყველანაირი შეზღუდვების ღირსებს**



ზემოთ ჩამოთვლილი ყველა „კოვიდსაწინააღმდეგო ზომა“ ძალიან შორს არის საღი აზრისგან — ხალხისთვის ან არაფრის, ან კიდევ ზიანის მომტანია, სახელმწიფოსთვის კი — არამიზნობრივი, უაზრო კოლოსალური ხარჯების.

ცილისწამება რომ არ გამოგვივიდეს, შევეცდები მათ დასაბუთებას:

**1.** პირბადე ვირუსებისგან არათუ 95%-ით, როგორც გვარწმუნებენ, არამედ 5%-ითაც კი ვერ გვიცავს. 95%-ით იგი ორგანიზმიდან გამოყოფილ მხოლოდ იმ ვირუსებს აკავებს, რომლებიც ხველების ან ლაპარაკისას გამოფრქვეულ მსხვილ წვეთებს მოჰყვება. ჩვეულებრივი სუნთქვისას აეროზოლის სახით გამოყოფილ ვირუსებს პირბადე ერთი პროცენტითაც ვერ აკავებს (95 %-იანი ეფექტიანობა მხოლოდ ევროპულ FFP-2, ამერიკულ N-95 და ჩინურ KN-95 ხუთშრიან რესპირატორებს აქვთ და არა ერთჯერად სამფენიან პირბადეებს). **პირბადის მნიშვნელობის შესახებ ამ არასწორმა ინფორმაციამ ხალხს უსაფრთხოების ცრუ განცდა გაუჩინა და გაათამამა — პირბადიან ადამიანს ჰგონია, რომ თავი ქუდში აქვს, აღარ ერიდება სხვა პირბადიან ადამიანს და ნაკლებად იცავს ან, საერთოდ, აღარ იცავს ე.წ. სოციალურ დისტანციას, კოვიდის გავრცელების საწინააღმდეგო ამ ყველაზე მნიშვნელოვან ზომას ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების მოსაცდელ სივრცეში იმდენ და ერთმანეთთან ისე ახლოს მდგომ პაცი-** ▶

**პირბადის მნიშვნელობის შესახებ ამ არასწორმა ინფორმაციამ ხალხს უსაფრთხოების ცრუ განცდა გაუჩინა და გაათამამა — პირბადიან ადამიანს ჰგონია, რომ თავი ქუდში აქვს, აღარ ერიდება სხვა პირბადიან ადამიანს და ნაკლებად იცავს ან, საერთოდ, აღარ იცავს ე.წ. სოციალურ დისტანციას, კოვიდის გავრცელების საწინააღმდეგო ამ ყველაზე მნიშვნელოვან ზომას ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების მოსაცდელ სივრცეში იმდენ და ერთმანეთთან ისე ახლოს მდგომ პაციენტს ნახავ, რომ, შეიძლება ითქვას, ისინი ერთმანეთის ამონასუნთქი ჰაერით სუნთქავენ! მაგრამ ეს არავის აღელვებს — არც სამედიცინო პერსონალს და არც პაციენტებს, რადგანაც სჯერათ და კარგად ახსოვთ სამეულის შეგონება: ცხვირზე აფარებული პირბადე 95%-ით გიცავთ კორონავირუსისგან**

**განსხვავებული აზრის არანაირი პატივისცემა და შემწყნარებლობა, არანაირი არგუმენტი, პაექრობა და სპეციალისტების აზრთა ჭიდილში ჭეშმარიტების ძიება, მხოლოდ მენტორული განცხადებები: გეუბნებით და დაგვიჯერეთ, ვაქცინაციას ალტერნატივა არ აქვს, მორჩა და გათავდა! მოკლედ, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ანტივაქსერები საზოგადოებისთვის მიუღებელ ადამიანებად წარმოჩნდნენ.**

## SOS

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ენტს ნახავ, რომ, შეიძლება ითქვას, ისინი ერთმანეთის ამონასუნთქი ჰაერით სუნთქავენ! მაგრამ ეს არავის აღელვებს — არც სამედიცინო პერსონალს და არც პაციენტებს, რადგანაც მათ სჯერათ და კარგად ახსოვთ სამეულის შეგონება:** ცხვირზე აფარებული პირბადე 95%-ით გიცავთ კორონავირუსისგან. შედეგიც სრულიად კანონზომიერია — მიუხედავად იმისა, რომ პირბადეს თითქმის ყველა პატიოსნად ატარებს დახურულ სივრცეში, კოვიდის გავრცელებამ კატასტროფულად მოიმატა. პარადოქსია, რომ **გასულ წელს, პანდემიის დასაწყისში, სოციალური დისტანციის დაცვა საკმაოდ მკაცრად კონტროლდებოდა, ახლა კი რა მოხდა, რაიმე ახალი შეიტყვეს? არ ყოფილა საჭირო? შეუძლებელია, სამეულმა არ იცოდეს, რომ, ვირუსის გადადების თვალსაზრისით, სოციალური დისტანციის დაუცველობა და ორი პირბადიანი ადამიანის ერთმანეთის პირისპირ ნახევარ მეტრში დგომა გაცილებით საშიშია, ვიდრე პირბადის გარეშე, ოღონდ ორ მეტრში ყოფნა.** მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, დისტანციის დაცვა არათუ აღარ კონტროლდება, მოწოდება-შეხსენებასაც იშვიათად მოისმენთ რომელიმესგან, მხოლოდ პირბადეები მიაჩნიათ პანაცეად. ამის დასტურია, თუნდაც, იმუნიზაციის ტექნიკურ მრჩეველთა ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელ ივანე ჩხაიძის 22 აგვისტოს განცხადებაც: „ნიღბის ტარებას თუ მივაღწიეთ ღია და დახურულ სივრცეში, არანაირი დამატებითი ღონისძიება არ იქნება საჭირო“. უბედურება არის ის, რომ ამასაც ყასიდად ამბობენ. ასე რომ არ იყოს, მაშინ პირბადის რეგულარულ ცვლასაც (ყოველ 2-3 საათში, ზაფხულში კი — 20-30 წუთში) აუცილებლად გააკონტროლებდნენ, მაგრამ იციან, რომ ეს ფუჭი საქმეა, რომ თითქმის ვერავინ ვერ გამოიცვლის 5-10 პირბადეს ყოველდღიურად, ამიტომ, სარგებლის ნაცვლად, უკვე აშკარა ზიანს ვიღებთ — სუნთქვის კიდევ უფრო გაძნელებასთან ერთად, ნამიან პირბადეზე ბაქტერიების, ვირუსების, მტვრის ნაწილაკების დაგროვებას, რის შესახებაც მშვენივრად მოეხსენება სამეულს.

**პირბადის დამძალებელს უნდა მოეთხოვოს პასუხი იმის გამო, რომ წელიწად-ნახევრის განმავლობაში ცხვირზე აფარებას ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება (კონფლიქტებიც ხშირი იყო), ხოლო პირბადის ცვლის წესს კი — არავითარი!**

**2.** გვარწმუნებენ, რომ აუცილებელია ყველანაირი ზედაპირის (ნივთების, ავეჯის, სახელურების, კარ-ფანჯრების, იატაკის, კედლების, ქუჩების, ტროტუარებისა და ა.შ.) რეგულარული დეზინფექცია, თითქოს კოვიდის გავრცელება-გადადება არა მხოლოდ ჰაერწვეთოვანი გზით, არამედ დაინფიცირებულ ზედაპირთან შეხებითაც ხდებოდეს, მაგრამ ასეთი ერთი შემთხვევაც არ არის აღწერილი. **ზედაპირებთან კონტაქტის მოშიშარი (უფრო ჯანმოს მოშიშარი) ჯანდაცვის მესვეურები თვალს ხუჭავენ (თუ არ იციან, მით უარესი) ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა და ბონის უნივერსიტეტის ვირუსოლოგების კვლევებით (ჯერ კიდევ 2020 წლის გაზაფხულზე) დადგენილ ფაქტზე: „კორონავირუსი უკიდურესად მგრძნობიარეა სიმშრალის მიმართ — ძალიან სწრაფად იღუპება, ამიტომ დაინფიცირება, პრაქტიკულად, მხოლოდ წვეთოვანი გზითაა შესაძლებელი ავადმყოფთან კონტაქტისას. ვირუსი ბევრ ზედაპირზე იპოვეს, მაგრამ მისი „გაცოცხლება“, ანუ აქტივაცია არ ხერხდება იდეალურ ლაბორატორიულ პირობებშიც კი“.** ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას: კარგა ხანია, ქუჩებისთვის, შენობებისა და ჰაერისთვისაც დეზინფექცია აღარ ჩაუტარებიათ. როგორც ჩანს, „მოტვინეს“ ამ ზომების აბსურდულობა, მაგრამ ბიუჯეტიდან ფულის ფუჭ ხარჯვას სახელმწიფო თანხების გაფლანგვა ეწოდება. **ყოველივე ამის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისთვის (ჯანმო) გადაბრალება და მისი რეკომენდაციების მოშველიება ბრმად გადადგმული ნაბიჯების გასამართლებლად არ გამოდგება. აი, ახლაც წინასაარჩევნო გამოსვლებში ქალაქის მერი რიხით გვპირდება, რომ ყველა ტრანსპორტი დღეში რამდენიმეჯერ იქნება დეზინფექცირებული, — ესეც სამეულის რეკომენდაციით, რა თქმა უნდა.**

**3.** აბსურდული კოვიდსაწინააღმდეგო ზომებით გაჯერებულია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. მუშტებით, იდაყვებით (ფეხებითაც კი) „მისალმება“ ხელის ჩამორთმევის ნაცვლად — ზიანის მომტანი ნამდვილად არ არის, მაგრამ სასაცილოზე მეტია და მასაც შეიძლება მიეცეს ხალხის მასობრივი გაბრიყვებისა და მასხრად აგდების კვალიფიკაცია. ხელის ჩამორთმევით ვირუსის გადადება მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი — თუკი ინფიცირებული ადამიანი დახველების ან დაცემინებისას პირზე აიფარებს ხელს და იმ ხელს იმავ წუთს ჩამოართმევს სხვას, ის კი, თავის მხრივ, მაშინვე პირში გააქანებს თითს, რაც წარმოუდგენელია, გამორიცხულია. **აბსურდულობის თვალსაზრისით, ვერც ერთი ღონისძიება ვერ შეედრება ყველასთვის ცნობილ ე.წ. დეზობარიერს.** ბინაში შესვლისას ფეხები რომ უნდა დავიწმინდოთ და ზოგჯერ შესასვლელშივე ფეხზე გავიხადოთ, კოვიდამდეც ვიცოდით, მაგრამ, ჯანმოს ნებისმიერი მითითების ფრიადზე აღმსრულებელი ჩვენი ჯანდაცვის მესვეურების აზრით, ქუჩები და ტროტუარები თურმე მოფენილი ყოფილა უხილავი ვირუსებით, რომლებიც ფეხსაცმლის ძირებზე გვეკრობა და, დეზობარიერზე ფეხების კარგად გასმით თუ არ მივასრისეთ, სადეზინფექციო ხსნარითაც არ მივასიკვდილეთ, გამოძვრებიან და... მეყოლეთ მერე კარგად — უხილავი ჭიანჭველებივით მოედებიან მთელ შენობას, კოვიდი გავრცელდება და დედაც გვეტირება. **დაშინებული ადამიანი რომ შეიძლება გამოათაყვანო და აბსოლუტურ სისულელეებში დაარწმუნო, ისე გასაოცარი არ არის, როგორც ის, რომ ამას აკეთებენ ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ ვირუსი მხოლოდ ცოცხალი ადამიანის უჯრედებში მრავლდება და არა ასფალტზე.** მათ ძალიან მოკლე დროში კიდევ ბევრი რამ „დაადგინეს“ ვირუსზე და მისი გავრცელების საწინააღმდეგო „სათანადო“ ზომებიც, ცხადია, ოპერატიულად შემოიღეს: **კორონავირუსს, თურმე, განდაგან მოძრაობა „ნაყვარება“ და ამიტომ მძღოლის გვერდით ჯდომა „ტაქსიში“ აიკრძალა, უკან მჯდომი და მძღოლი კი, თურმე, დაცულია — წინ და უკან „სირბილი“ ვირუსს არ „ნაყვარება“.** ისიც „დაუდგენიათ“, რომ ვირუსი, თურმე, ძალიან აგრესიული ხდება ღამის საათებში და ამიტომ იყო საღამოს 9-დან დილის 6 საათამდე შინიდან ცხვირის გამოყოფის ნებასაც რომ არ გვაძლევდნენ. ყველაზე სამარცხვინო და მიუტევებელი კი იყო ის, აღდგომის მეორე დღეს, მიცვალებულთა ხსენების დღეს, ღია სივრცეში სასაფლაოზე გასვლა რომ აგვიკრძალეს, სადაც რამდენიმე საფლავიდან მხოლოდ ერთზე თუა მისული ოჯახის რამდენიმე წევრი და, სადაც საფლავებს შორის არა 2-მეტრიანი, არამედ 10-15-მეტრიანი სოციალური დისტანცია თავისთავად დაცულია. **დაჯარიმების გარდა, ოჯახებიდან კუბოების გატანითაც რომ გვემუქრებოდნენ, ყველას გვახსოვს, მაგრამ ამისთვის ბოდიში არავის მოუხდია, თურმე ყველაფერი ჩვენი კეთილდღეობისთვის კეთდებოდა და კეთდება დღესაც, 2 000-ლარიანი ჯარიმების შემოღებაც ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვით იყო განპირობებული, ჩვენ კი უმადურები და დაუნახავები ვართ.** ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებელი ერთი ახალი მახვილგონივრული (როგორც სხვა ყველა) ზომაც უნდა ვახსენო: ლიფტებში თვალსაჩინოებისთვის გაკრულია ფოტოსურათები, როგორ უნდა დადგნენ კაბინაში შესული ადამიანები — ყველა პირით კედლისკენ. არც ერთმანეთისთვის თვალებში შეხედვა არ შეიძლება და არც სხვის დასანახავად ამოსუნთქვა-ჩასუნთქვა.

**4.** ხილული დაბინძურების გარეშეც ხელები აუცილებლად რომ უნდა დავიბანოთ ყოველთვის — ჭამის წინ, ქუჩიდან შინ დაბრუნებისას, საპირფარეშოდან გამოსვლის შემდეგ, დილისა და საღამოს ტუალეტის დროს და, ბუნებრივია, მაშინაც, როცა დაგვესვრება, ეს კოვიდამდეც იყო ცნობილი. რაც შეეხება საპნით ხშირ დაბანვას და გამუდმებით სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებას, მას მხოლოდ ზიანი მოაქვს — კანის დაავადება. ასეთივე ზიანის მომტანია რეზინის ხელთათმანების ხანგრძლივად ტარებაც.

პირდაპირ გასაოცარია, ამდენი და ასეთი „ღონისძიებებისგან“ კიდევ როგორ უდგას ვირუსს პირში სული.

**იაკობ ლეჟავა**

**P.S. ბრალდებების გაგრძელება — მომდევნო წერილში.**

**ი. ლ.**

**დისტანციის დაცვა არათუ აღარ კონტროლდება, მოწოდება-შეხსენებასაც იშვიათად მოისმენთ რომელიმესგან, მხოლოდ პირბადეები მიაჩნიათ პანაცეად. ამის დასტურია თუნდაც იმუნიზაციის ტექნიკურ მრჩეველთა ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელ ივანე ჩხაიძის 22 აგვისტოს განცხადებაც: «ნიღბის ტარებას თუ მივაღწიეთ ღია და დახურულ სივრცეში, არანაირი დამატებითი ღონისძიება არ იქნება საჭირო». უბედურება არის ის, რომ ამასაც ყასიდად ამბობენ. ასე რომ არ იყოს, მაშინ პირბადის რეგულარულ ცვლასაც (ყოველ 2-3 საათში, ზაფხულში კი – 20-30 წუთში) აუცილებლად გააკონტროლებდნენ, მაგრამ იციან, რომ ეს ფუჭი საქმეა, რომ თითქმის ვერავინ ვერ გამოიცვლის 5-10 პირბადეს ყოველდღიურად**




**«თუ ვაქცინაციის პროცესი მომავალშიც დაბალი ინტენსივობით გაგრძელდება, სახელმწიფომ შეიძლება მოქალაქეთა იძულების გარკვეულ ფორმებზე იფიქროს». ამის მკადრებელი ექიმისგან უკვე აღარც მეორე „მარგალიტია“ გასაკვირი, რუსული ვაქცინა «სპუტნიკ V»-ის სავარაუდო შემოტანაზე ნათქვამი: «კარგიც რომ იყოს რუსეთის ვაქცინა, იგი პოლიტიკურად მიუღებელია ჩვენთვის». თურმე ხორბალი, მზესუმზირის ზეთი, ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, წამლები და უამრავი სხვაც, რუსეთში წარმოებული, ასეულობით მილიონ დოლარ ნაღდ ფულთან ერთად, სავსებით მისაღებია, აი, ვაქცინა კი მიუღებელია პოლიტიკურად**



მწარე სიმართლე

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა გვეშველებაო, ხშირად ვკითხულობთ. როგორ უნდა გვეშველოს, თუ შეცდომებზე ვერ ვსწავლობთ, თუ ისტორიის მწარე გაკვეთილებს არ ვითვალისწინებთ?! ... პიროვნების თავისუფლება — აი რა გვაკლია, ამიტომ არ გვეშველა აქამდე არაფერი; პიროვნების თავისუფლება, რომლის ღერძი არის სინდისი, სინდისი კი იგივეა, რაც ჭეშმარიტების სიყვარული, და მაშასადამე, სწორი არჩევანის გაკეთება, სწორ არჩევანს კი მაშინ გააკეთებ, როცა სწორ ფასეულობებს დაადგენ, უკეთესს უარესისგან განასხვავებ.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# ილიას გაკვეთილები ერს წინასაარჩევნოდ

## სწორ არჩევანს მაშინ გააკეთებ, როცა სწორ ფასეულობებს დაადგენ, უკეთესს უარესისგან განასხვავებ

**თვითმმართველობის არჩევნების წინ უამრავი ძველი თუ ახალგამოჩეკილი ორგანიზაცია „იკვლევს“ საზოგადოებრივ აზრს. ხშირ შემთხვევაში უნიჭოდ შედგენილი კითხვარების საშუალებით მოქალაქეთა გამოკითხვა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მათი „მონდომებიდან“ არაფერი გამოვა და საერთოდაც, სანამ ქვეყანაში ყველა საქმეს განათლებული, კომპეტენტური ადამიანები არ მოჰკიდებენ ხელს, ქვეყანას, რომელსაც, კარგა ხანია, კიტრის ფასი დაედო, არაფერი ეშველება; ისევ და ისევ „ხელიდან მიდის, მიდის და მიდის“ და, სამწუხაროდ, „კაცი არა ჩანს ამღები მინდის, მიდის და მიდის, მიდის და მიდის...“ — ასე შეაფასა შექმნილი ვითარება თავის დროზე დიდმა მწერალმა ოტია იოსელიანმა, მაგრამ მას შემდეგ ისევ ის მწარე რეალობა გვაქვს, რომელიც უახლოეს წარსულში გულს უკლავდა და აფიქრებდა დიდ მამულიშვილს.**

რა გვეშველებაო, ხშირად ვკითხულობთ. როგორ უნდა გვეშველოს, თუ შეცდომებზე ვერ ვსწავლობთ, თუ ისტორიის მწარე გაკვეთილებს არ ვითვალისწინებთ?! ჯერ კიდევ დიდი ილია წერდა: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება — ამ სიტყვებით გაიჟღენთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია, ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-5 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს“. ჰოდა, გვესმის დაუსრულებლად, რომ გვყავს „სტრატეგიული პარტნიორები“, „ძია სემები“, „ისტორიული მეგობრები“, რომლებთან ძმობითა და ერთობით საქართველოს ხეირი ჯერ არ უნახავს. ერის მამა გვეუბნება, ძმობასა და ერთობას რომ სულაც თავი დავანებოთ, ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რას ჰქვია თავისუფლებაო, „რადგან ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. **საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამაგლეჯას და მგლობას“.**

**განა ასე არ არის დღეს?** — „მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები *(ანუ ჩვენ და ჩვენი ზემოთ ნახსენები „კეთილისმსურველები“ — დ. ა.)*. საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?... თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რადღა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას? ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავითავს, შაერთდენ, მოიფიქრონ, როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა სავალი.... მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გაალმასებული კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს. ეგრეთვე თუ ცხვარი — ცხვარს“.

**„დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით“, — ილიას ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება დღევანდელ რეალობას. დიახ, ჩვენ ცხვრების როლში ყოფნა ისე გავიხანგრძლივეთ, რომ ჩვენს „მეგობარ მგლებს“ ძალიანაც გაუკვირდათ, ჩვენმა ხელისუფლებამ კბილები რომ გამოაჩინა: პირველად მაშინ, როცა ე.წ. მიშელის დოკუმენტიდან გასვლა გამოაცხადა; მეორედ მაშინ, როცა თავსმოხვეულ სესხზე უარი თქვა; და მესამედ — გაეროს მითითების არშესრულება რომ გაბედა. თუკი ეს წინასაარჩევნო ტრიუკი არ არის და ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებს, იქნებ მართლაც ვეღირსოთ ნამდვილ თავისუფლებას...**

ფაქტია, ახლა უკან დახევის დრო ნამდვილად არ არის. წინ უნდა ვიაროთ და ყველას ვაჩვენოთ, რომ მართლა დამოუკიდებლები ვართ; უნდა დავამტკიცოთ, რომ ყოველწლიურად ვალის აღება და სამადლოდ გადმოგდებული ლუკმა არ გვჭირდება; დამოუკიდებლად არსებობა რომ გვირჩევნია და შეგვიძლია კიდეც. ასეთი თავისუფლება გვინდა, მაგრამ, **როდესაც დგახარ და ელოდები, როდის დასრულდება ყველაფერი, როდის შეიცვლება ვითარება შენ სასარგებლოდ, და არაფერს აკეთებ ამისთვის, ეს იმას ნიშნავს, რომ არ გაქვს გააზრებული, რა გინდა და გინდა კი რაიმეს შეცვლა საერთოდ. ამ ქვეყანაში ვისთვის თავისუფლება მშვიდობა და კეთილდღეობაა მხოლოდ, თუნდაც უცხო ხელი მართავდეს, ამ შემთხვევაში წარმატების საფუძველი მლიქვნელობა და მონის ფსიქოლოგიაა. განა ასე არ ხდებიან ჩვენში მაღალჩინოსნები? განა ამ გზით არ სხდებიან დიდი კაბინეტების თბილ სავარძლებში? მერე რა, რომ იმ საქმისა დიდად არა გაეგებათ რა, რომელსაც უნდა გაუძღვნენ? განა ახლახან არ გვყავდა პლასტელინი პრეზიდენტი?**

**პიროვნების თავისუფლება — აი რა გვაკლია, ამიტომ არ გვეშველა აქამდე არაფერი; პიროვნების თავისუფლება, რომლის ღერძი არის სინდისი, სინდისი კი იგივეა, რაც ჭეშმარიტების სიყვარული, და მაშასადამე, სწორი არჩევანის გაკეთება, სწორ არჩევანს კი მაშინ გააკეთებ, როცა სწორ ფასეულობებს დაადგენ, უკეთესს უარესისგან განასხვავებ.** თვითნებობა არაა თავისუფლება. თავისუფლება დიდი პასუხისმგებლობაა და „ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერებაწართმეულს რა ჰრჩება უბედურების მეტი? — არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაჩაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტახანს, რადგან ცხოვრების ლოღიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება“ და, როგორც ილია მართალი ამბობს, თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს ისჯებიან. ნეტავ, მოახლოვდა ეს ჟამი?



> **«დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით», — ილიას ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება დღევანდელ რეალობას. დიახ, ჩვენ ცხვრების როლში ყოფნა ისე გავიხანგრძლივეთ, რომ ჩვენს «მეგობარ მგლებს» ძალიანაც გაუკვირდათ, ჩვენმა ხელისუფლებამ კბილები რომ გამოაჩინა: პირველად მაშინ, როცა ე.წ. მიშელის დოკუმენტიდან გასვლა გამოაცხადა; მეორედ მაშინ, როცა თავსმოხვეულ სესხზე უარი თქვა; და მესამედ — გაეროს მითითების არშესრულება რომ გაბედა. თუკი ეს წინასაარჩევნო ტრიუკი არ არის და ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებს, იქნებ მართლაც ვეღირსოთ ნამდვილ თავისუფლებას...**



ეს ჟამი თავისით არ დადგება, თუ ჩვენ, ერმა, არ მოვუმზადეთ ნიადაგი.

და მაინც **„რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი?** — **თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ.** თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, **მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, — არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის...** მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გზებს, თავში სცემენ კვერებს და სალრჩობელის ბოძებს სდგამენ. ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამ-ნაღველს, საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთხობა. ამიტომ, **უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს, იმით მარტო თავად ისარგებლოს.** თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.

დავუჯეროთ ერის მამას, მით უფრო ახლა, როცა რამდენიმე დღეში თვითმმართველობის არჩევნები უნდა გაიმართოს. ხომ გულით გვინდა, ჩვენს ცხოვრებაში მან მნიშვნელოვანი სასიკეთო გარდატეხა რომ მოახდინოს.

სჯულიერება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კონსტანტინე დიდმა სასწაულებრივად ირწმუნა ქრისტე მას შემდეგ, რაც იმპერიისთვის გადამწყვეტი ბრძოლის წინ ცაზე იხილა ჯვრის ნიში წარწერით: „ამით სძლო!“. უფლის რჩეულმა ჯვრის ძალით მართლაც გამანადგურებელი დამარცხება აგემა წინააღმდგომებს, რის შემდეგაც არ ასვენებდა სურვილი იმ ძელის მოძიებისა, „რომელთა ზედა მაცხოვარმა ხელნი განიპყრნა“.**

# ჯვართამაღლება

## მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა



**27 სექტემბერს მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელი ქრისტიანები ჯვართამაღლების დღესასწაულს აღნიშნავენ. ამ დღეს დაწესებულია ერთდღიანი მარხვა.**

**ეს დიდი დღესასწაული მოციქულთასწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის, სახელს უკავშირდება.**

**ცნობილია, რომ, ღვთის განგებით, წმინდა კონსტანტინემ და მისმა დედამ, წმინდა ელენემ, იერუსალიმში უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი მოიძიეს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მიწაში იყო დამარხული, იერუსალიმის პატრიარქმა მაკარიმ კი მაცხოვრის ჯვარი ყველას დასანახად აამაღლა. ეს ფაქტი IV საუკუნის დასაწყისში მოხდა.**

**კონსტანტინე დიდი რომის პირველი იმპერატორი იყო, რომელმაც ქრისტიანთა დევნა შეწყვიტა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.**

ღვთის განგებით, მაცხოვრის ჯვარცმიდან სამასი წლის შემდეგ ქრისტიანებმა მანამდე დაკარგული უდიდესი ქრისტიანული სიწმიდე — ცხოველსმყოფელი ჯვარი უფლისა მოიძიეს და მისი თაყვანისცემის შესაძლებლობა მიეცათ. ეს მოხდა 326 წელს, მოციქულთასწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის (306-337), მეფობის პერიოდში.

რომის წარმართი იმპერატორები ცდილობდნენ, ადამიანთა ცნობიერებიდან აღმოეფხვრათ იმ წმინდა ადგილების ხსოვნა, სადაც ევნო მაცხოვარი და დიდებით აღდგა. იმპერატორმა **ადრიანემ** (117-138) მიწით დააფარვინა გოლგოთა და ქრისტეს საფლავი, შემდეგ კი ხელოვნურად შექმნილ ბორცვზე წარმართული ქალღმერთის, ვენერას, ტაძარი და იუპიტერის კერპი აღამართვინა. კონსტანტინე დიდმა სასწაულებრივად ირწმუნა ქრისტე მას შემდეგ, რაც იმპერიისთვის გადამწყვეტი ბრძოლის წინ ცაზე იხილა ჯვრის ნიში წარწერით: „ამით სძლო!“. უფლის რჩეულმა ჯვრის ძალით მართლაც გამანადგურებელი დამარცხება აგემა წინააღმდგომებს, რის შემდეგაც არ ასვენებდა სურვილი იმ ძელის მოძიებისა, „რომელთა ზედა მაცხოვარმა ხელნი განიპყრნა“. მან მოოხრებულ იერუსალიმში გაგზავნა დედამისი — კეთილმსახური დედოფალი ელენე, რომელსაც პატრიარქ მაკარისთან წერილიც გაატანა თხოვნით, ხელი შეეწყო წმიდა საქმისთვის. ნეტარი ელენე უკვე საკმაოდ მოხუცებული იყო, მაგრამ, ღვთის სიყვარულით აღძრული, ფრიად დაშვრა დიდი სიწმინდის ძიებაში.

იგი დიდხანს ამაოდ ცდილობდა, იერუსალიმის მკვიდრთაგან შეეტყო ჯვრის ადგილსამყოფელი. **ბოლოს უფალმა მხცოვანი იუდეველის, იუდას, მეშვეობით გააცხადა დაფარული. იპოვეს მაცხოვრის საფლავი, მის მახლობლად კი — სამი ჯვარი, დაფა პილატეს დავალებით გაკეთებული სამენოვანი წარწერით და ოთხი ლურსმანი, რომლებითაც ძელზე მიამსჭვალეს ქრისტე.**

**რომ გაეგოთ, რომელი იყო ცხოველსმყოფელი ძელი უფლისა, სამივე ჯვარი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს. მესიის ჯვრის შეხებაზე მკვდარი გაცოცხლდა. ურიცხვი ქრისტიანი შეიკრიბა სიწმინდის თაყვანსაცემად.** ისინი პატრიარქ მაკარის სთხოვდნენ, აღემართა ჯვარი, რათა ყველას შეძლებოდა მისი დანახვა. მაშინ მღვდელმთავარმა სხვა სასულიერო პირებთან ერთად სიწმიდის ამაღლება დაიწყო, ხალხი კი ამბობდა, — „უფალო, შეგვიწყალენო“ და კრძალვით თაყვანს სცემდა მას.

**წმიდა ჯვრის აღმოჩენას კიდევ ერთი სასწაული თან ახლდა: მისი გადასახვით მძიმე ავადმყოფი ქალი განიკურნა.** მოხუცმა იუდამ და სხვა ებრაელებმა ირწმუნეს ქრისტე და მოინათლნენ. **ნათლისღებისას იუდას კვირიაკე დაარქვეს.** შემდგომში იგი იერუსალიმის ეპისკოპოსი გახდა, იულიანე განდგომილის (361-363) ზეობისას კი მოწამეობრივად დაასრულა სიცოცხლე (ხს. 28 ოქტომბერს).

წმიდა ელენე დედოფალმა მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილები ტაძრებით შეამკო:



**უფალმა მხცოვანი იუდეველის, იუდას, მეშვეობით გააცხადა დაფარული. იპოვეს მაცხოვრის საფლავი, მის მახლობლად კი — სამი ჯვარი, დაფა პილატეს დავალებით გაკეთებული სამენოვანი წარწერით და ოთხი ლურსმანი, რომლებითაც ძელზე მიამსჭვალეს ქრისტე. რომ გაეგოთ, რომელი იყო ცხოველსმყოფელი ძელი უფლისა, სამივე ჯვარი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს. მესიის ჯვრის შეხებაზე მკვდარი გაცოცხლდა. ურიცხვი ქრისტიანი შეიკრიბა სიწმინდის თაყვანსაცემად**




დიდი რომის პირველი იმპერატორი კონსტანტინე და დედამისი — წმიდა ელენე დედოფალი

ოთხმოცზე მეტი ეკლესია აშენდა. კონსტანტინე დიდის ბრძანებით დაიწყო ქრისტეს აღდგომის ტაძრის მშენებლობა, რომელსაც გოლგოთა და უფლის საფლავი უნდა მოეცვა. ტაძარი დაახლოებით ათ წელს შენდებოდა და იკურთხა 335 წლის 13 სექტემბერს. მომდევნო დღეს, 14 სექტემბერს დაწესდა პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ჯვრის ამაღლების დღესასწაული.

**ამ დღეს იხსენიება მესიის ჯვართან დაკავშირებული კიდევ ერთი მოვლენა — 14-წლიანი ტყვეობის შემდეგ მისი დაბრუნება სპარსეთიდან იერუსალიმში.** იმპერატორ **ფოკას** (602-610) ზეობისას სპარსეთის მეფე **ხოსრო II-მ** დაამარცხა ბიზანტიელთა მხედრობა, დაარბია იერუსალიმი, გაიტანა უფლის ცხოველსმყოფელი ჯვარი და წმიდა **პატრიარქი ზაქარიაც** (609-633) ტყვედ ჩაიგდო. სიწმინდე 14 წელი იმყოფებოდა სპარსეთში და მხოლოდ მას შემდეგ გადმოეცა ქრისტიანებს, რაც **იმპერატორმა ჰერეკლემ** (610-641), ღვთის შეწევნით, დაამარცხა ხოსრო და საზავო ხელშეკრულება დადო მის ძესთან — სიროესთან. ცხოველსმყოფელი ძელი დიდი ზეიმით შემოაბრძანეს იერუსალიმში. **იმპერატორი ჰერაკლე სამეფო გვირგვინითა და პორფირით შემკული მიასვენებდა სიწმინდეს აღდგომის ტაძრისკენ. მას გვერდით პატრიარქი ზაქარია მიჰყვებოდა. ბჭეებთან, რომლებიც უნდა გაევლოთ გოლგოთაზე ამსვლელებს, მეფე უეცრად შედგა და გზის განგრძობას ვერ ახერხებდა. წმიდა ზაქარიამ აუხსნა: ეს უფლის ანგელოზი გელობება წინ, რადგან მან, ვინც კაცობრიობის გამოსასყიდად აზიდა ჯვარი გოლგოთაზე, ეს გზა სიმდაბლით გაიარაო. მაშინ ჰერაკლემ მოიხსნა გვირგვინი, სამეფო მანტიაც განიმოსა და უბრალო ტანსაცმლით დაუბრკოლებლად შეაბრძანა სიწმინდე ტაძარში.**

ჯვართამაღლების დღესასწაულზე **ანდრია კრიტელი** წერს: „ჯუარი ამაღლდების და სავსებაი ეკლესიისაი შემოკრბების. ჯუარი ამაღლდების და ქალაქნი დღესასწაულობენ და ერნი მხიარულებად მოისწრაფიან, რამეთუ მოხსენებაიცა ჯუარისაი მიზეზ იქმნებიდა სიხარულისა და მორიდება — მჭმუნვარებისა“.

**მომზადდა წიგნიდან „წმიდანთა ცხოვრება“, ტ. III, თბილისი, 2001 წ.**

**წმიდა ჯვრის აღმოჩენას კიდევ ერთი სასწაული თან ახლდა: მისი გადასახვით მძიმე ავადმყოფი ქალი განიკურნა. მოხუცმა იუდამ და სხვა ებრაელებმა ირწმუნეს ქრისტე და მოინათლნენ**

ევროპული ანტაგონიზმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაპირისპირება მწვავდება. დიახ, „საერთო კეთილდღეობისა და აყვავებისთვის“, რომელიც ევროკავშირის დროშად იქცა და რომელმაც სავაჭრო ბარიერები მოხსნა ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის, მნიშვნელოვნად განამტკიცა ევროინტეგრაციის მომხრეების გავლენა, მაგრამ, როგორც კი დაიწყეს ამ „დროშის“ ცისარტყელის ფერებში შეღებვა, გლობალიზაციის ფორსირების მოსურნეთა რაოდენობა შესამჩნევად შემცირდა.**

# ევროპა დასასრულისკენ მიდის?

## ფრონტის ხაზი არ არსებობს, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები კი მთელ კონტინენტზე მიმდინარეობს

**ევროპაში ე.წ. მემარჯვენეებს არანაკლები ყურადღებით აკვირდებიან, ვიდრე ტერორისტებს. უარყოფა ან „გაშავება“ იმ იდეებისა, რომლებიც მემარჯვენეები იკვებებიან, ძნელია, ამიტომ სულ უფრო ხშირია ევროპული ფასეულობებისა და საფრთხის შიშით მანიპულაცია, ხოლო სხვაგვარად მოაზროვნეების წინააღმდეგ ბრძოლა — ხისტი. ფრონტის ხაზი იქ არ არსებობს, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები კი მთელ კონტინენტზე მიმდინარეობს.**

**საფრანგეთში** მემარჯვენეები გამოვიდნენ ინიციატივით, ალადგინონ საფრანგეთის სახელმწიფოს სამართლებრივი დამოუკიდებლობა, რათა ფრანგები დამოკიდებულნი აღარ იყვნენ ევროკავშირის სასამართლოსა (CJEU) და ადამიანის უფლებების (ECHR) ევროპულ სასამართლოზე. „ევროპული სამართლის უზენაესობა“ ევროკავშირის არსებობის საფუძველია, ამიტომ აღნიშნული ინიციატივის ავტორს, პოლიტიკოს **მიშელ ბერნიეს** ბრიუსელიდან ისეთი ჭექა-ქუხილი დაატეხეს თავს, რომ იძულებული შეიქნა, უკან დაეხია და განეცხადებინა, რომ მისი ნათქვამი „ისე ვერ გაიგეს“.

დაპირისპირება მწვავდება. დიახ, „საერთო კეთილდღეობისა და აყვავებისთვის“, რომელიც ევროკავშირის დროშად იქცა და, რომელმაც სავაჭრო ბარიერები მოხსნა ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის, მნიშვნელოვნად განამტკიცა ევროინტეგრაციის მომხრეების გავლენა, მაგრამ, როგორც კი დაიწყეს ამ „დროშის“ ცისარტყელას ფერებში შეღებვა, გლობალიზაციის ფორსირების მოსურნეთა რაოდენობა შესამჩნევად შემცირდა.

ბრიუსელურმა გამოცემა The Capitals-მა აღშფოთებით აღნიშნა, რომ ევროკავშირს ხელიდან უსხლტება მთელი ქვეყანა. ბოლო გამოკითხვის შედეგების მიხედვით, „იტალიის ძმები“ **ჯორჯია მელონის** ხელმძღვანელობით და **მატეო სალვინის** „ჩრდილოეთის ლიგა“ პოპულარობის სარეიტინგო სიაში, შესაბამისად, 21 და 20,6 პროცენტით ლიდერობენ. ამ მაჩვენებლებით დღეს არჩევნები რომ გაიმართოს, იტალიაში ჩამოყალიბდება მთავრობა 44 წლის ჯორჯია მელონის, იტალიის ახალგაზრდობის საქმეების ყოფილი მინისტრის ხელმძღვანელობით. იტალიაში არჩევნები 2023 წელს უნდა გაიმართოს.

**„იტალიის ძმები“ იტალიაზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე ევროკავშირზე და ამიტომ, დიდი ხანია, ითხოვენ იტალიის სანაპიროს ბლოკირებას, რათა იქ მიგრანტებმა არ შეაღწიონ. სხვათა შორის, მელონი ჯერ კიდევ 2014 წელს მოითხოვდა იტალიის გასვლას ევროკავშირიდან. მისი აზრით, ევროკავშირი უნდა იყოს სახელმწიფოების კონფედერაცია, რომელიც შეინარჩუნებს თავის ეროვნულ ინსტიტუტებს, პრიორიტეტებსა და ფასეულობებს. ასეთ შემთხვევაში ბრიუსელელი მაღალჩინოსნები უსაქმოდ რჩებიან.** აღსანიშნავია, რომ უნგრეთის პრემიერმინისტრი **ვიქტორ ორბანი,** პოლონეთის პრემიერი **მათეუშ მორავეცკი** და მისი სლოვენიელი კოლეგა **იანეზ იანშა** მელონის მოკავშირეები არიან ევროკავშირში.

აშშ-ში ევროპელ მემარჯვენე კონსერვატორებზე შეტევის ახალი მიმართულება აირჩიეს. როგორც ამერიკული ინტერნეტგამოცემა „იაკობინელი“ წერს, **იაირ ნეთანიაჰუ,** ისრაელის ყოფილ პრემიერმინისტრ **ბენიამინ ნეთანიაჰუს** უფროსი ვაჟი, მას შემდეგ იქცა „ალტერნატივა გერმანიისთვის“ (AFD) „საპლაკატე ბიჭად“, როცა ისრაელის მტრის, ეშმაკისეული ევროკავშირისა, და ევროპის ყველა ქრისტიანული ქვეყნის ლიკვიდაციისკენ მოუწოდა.



**საფრანგეთში მემარჯვენეები გამოვიდნენ ინიციატივით, ალადგინონ საფრანგეთის სახელმწიფოს სამართლებრივი დამოუკიდებლობა, რათა ფრანგები დამოკიდებულნი აღარ იყვნენ ევროკავშირის სასამართლოსა (CJEU) და ადამიანის უფლებების (ECHR) ევროპულ სასამართლოზე. «ევროპული სამართლის უზენაესობა» ევროკავშირის არსებობის საფუძველია, ამიტომ აღნიშნული ინიციატივის ავტორს, პოლიტიკოს მიშელ ბერნიეს ბრიუსელიდან ისეთი ჭექა-ქუხილი დაატეხეს თავს, რომ იძულებული შეიქნა, უკან დაეხია და განეცხადებინა, რომ მისი ნათქვამი «ისე ვერ გაიგეს»**

ამერიკული გამოცემა წერს, რომ **ალის ვაიდელი, გერტ ვოლდერსი, მარინ ლე პენი, ვიქტორ ორბანი** „იაკობინელთათვის“ არიან სიონისტები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ევროპის ქრისტიანული მემკვიდრეობა უნდა შეინარჩუნონ. თუ პარტია „ბრექსიტის“ დამფუძნებელი **ნაიჯელ ფარაჯი** ამბობს, რომ მისი ქვეყანა ქრისტიანულია, მაშინ ისიც სიონისტია. და, საერთოდ, ყველა, ვინც ამტკიცებს, რომ ევროპას მასში შეჭრილი მუსლიმანური ძალებისგან ჩაყლაპვა ემუქრება, სიონისტია.

**მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს ევროპაში თიშავს არა ძველი კონტინენტის მოწყობის მიზნები და ამოცანები, არამედ პოლიტიკური წინააღმდეგობები, რომლებიც, როგორც წესი, მოდის ახალგაზრდობიდან. ისინი აცნობიერებენ, რომ „ერთიანობისა და საერთო აყვავების“ ფორმულა არ მუშაობს და „საერთო ფასეულობები“ სულაც არ არის საერთო. ეს „ფასეულობები“ მხოლოდ ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესებისა და ევროკავშირის ბიუროკრატების შესანარჩუნებლად მუშაობს, ამიტომ განხეთქილებაც იწყება გერმანელების, ფრანგების, ნიდერლანდების, უნგრელებისა და სხვების ეროვნული და ადამიანური გრძნობების შეურაცხყოფით.**

გლობალისტები ცდილობენ, წარმოაჩინონ, რომ ისინი გულგრილი არიან ოჯახის ინსტიტუტის მიმართ, რომელზეც დაფუძნებულია ადამიანური ზნეობა. მის გვერდით დააყენეს დროშა ლგბტ პირებისა, რომლებსაც მორალური გახრწნილების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვთ. ეს სასტიკი ომია. როგორც ევროპარლამენტის წევრი პარტია „განახლებული ევროპიდან“ — **ხრისულა ზახაროპულო** ამბობს, ეს არის ომი „კონსერვატორების წინააღმდეგ სექსუალური და რეპროდუქტიული უფლებებისთვის, 5 მლრდ ევროდ ღირებულ პროგრამა EUUHealth-ში ჩართვისთვის... ახლა ეს საქმე გადაწყვეტილია“.

მაგრამ ასეა? არის კი გადაწყვეტილი?

**აშკარაა, რომ ევროპული ცივილიზაცია უფრო და უფრო იხლიჩება.**

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**«იტალიის ძმები» იტალიაზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე ევროკავშირზე და ამიტომ, დიდი ხანია, ითხოვენ იტალიის სანაპიროს ბლოკირებას, რათა იქ მიგრანტებმა არ შეაღწიონ. სხვათა შორის, მელონი ჯერ კიდევ 2014 წელს მოითხოვდა იტალიის გასვლას ევროკავშირიდან. მისი აზრით, ევროკავშირი უნდა იყოს სახელმწიფოების კონფედერაცია, რომელიც შეინარჩუნებს თავის ეროვნულ ინსტიტუტებს, პრიორიტეტებსა და ფასეულობებს. ასეთ შემთხვევაში ბრიუსელელი მაღალჩინოსნები უსაქმოდ რჩებიან**



წინა პლანზე სილვიო ბერლუსკონი, ჯორჯია მელონი და მატეო სალვინი

**AUUKUS-ის შექმნით, ბაიდენის ადმინისტრაციამ ახალი ანტიჩინური დაჯგუფება ჩამოაყალიბა. ვაშინგტონმა მონიშნა საზღვარი ევროპასა და ანგლოსაქსურ სამყაროს შორის. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის ახალი ალიანსი არის „ინგლისურენოვანი“ სამხედრო კავშირი, რომლიდანაც „მოტეხეს“ საფრანგეთი.**

ახალი სამხედრო ალიანსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დანა ზურგში

## ბაიდენი ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნას ცდილობს

**აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, ავსტრალიისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრებმა — სკოტ მორისონმა და ბორის ჯონსონმა — 2021 წლის 15 სექტემბერს, ვიდეოკონფერენციის გამართვის შემდეგ წყნარ ოკეანეში ახალი სამმხრივი კავშირის შესახებ განაცხადეს. ალიანსს უწოდეს AUUKUS-ი (ავსტრალია, გაერთიანებული სამეფო, აშშ). როგორც ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი, ახალი პაქტის მონაწილეები AUUKUS-ის მეშვეობით განამტკიცებენ თითოეული მათგანის ინტერესებს უსაფრთხოების სფეროში, ხოლო ახალი ალიანსის პირველი დიდი ინიციატივა იქნება ატომური წყალქვეშა ნავების ფლოტის შექმნა ავსტრალიაში.**

უახლოეს ხანში დაიწყება კანბერასთვის იმ ტექნოლოგიების გადაცემა, რომლელთა გამოყენების უფლებასაც აშშ მხოლოდ დიდ ბრიტანეთს აძლევდა. სავარაუდოდ, იმსჯელებენ ბირთვული მასალების გადაცემაზეც. **მართალია, ბაიდენი ყველას ამშვიდებს, რომ ლაპარაკია მხოლოდ ჩვეულებრივი იარაღით აღჭურვილ ატომური რეაქტორების მქონე წყალქვეშა ნავებზე, მაგრამ გამორიცხული არ არის, ავსტრალიამ მიიღოს წვდომა აშშ-ის ატომურ იარაღზე. ამით აშშ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისადმი ერთგულების საკითხს.** ექსპერტთა აზრით, ავსტრალია იქნება ერთადერთი არაბირთვული სახელმწიფო, რომელსაც ბირთვული პოტენციალი ექნება ზღვაზე. სამმხრივ გარიგებაში ნახსენები არ არის ჩინეთი, მაგრამ, საერთაშორისო მიმომხილველების აზრით, ეს ნაბიჯი მიმართულია ამ ქვეყნის წინააღმდეგ.

**31 აგვისტოს, როცა ბოლო ამერიკელმა ჯარისკაცებმა დატოვეს ავღანეთი, ჯო ბაიდენმა თავის გამოსვლაში უსაყვედურა რუსეთსა და ჩინეთს, რომ მათ სურთ, „ამერიკა კიდევ 10 წლით იყოს ჩაფლული ავღანეთში“.**

ბაიდენის თქმით, „მსოფლიო იცვლება“ და ვაშინგტონი არავის მისცემს შესაძლებლობას, ამერიკა სადმე „ჩაფლული“ ნახოს. აშშ-ის ლიდერი ამერიკელებს დაჰპირდა, რომ ძალისხმევას არ დაიშურებს კონკურენტებთან — ჩინეთთან და რუსეთთან — ბრძოლაში.

**ამერიკის ყველა ადმინისტრაციისთვის დამახასიათებელი რწმენა საკუთარ განსაკუთრებულობაში და იმპერიული მისწრაფებები არ გამქრალა. ამერიკის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ჩინეთთან ხისტი ურთიერთობა ჰქონდეს, ამისთვის კი საუკეთესო საშუალებად მოკავშირეებთან ერთობლივი ფლოტის შექმნა მიიჩნია. რუსეთთან დაპირისპირებაში ბაიდენი ნატოს პოტენციალის გაძლიერებას აპირებს.**

„აშშ, — განაცხადა ბაიდენმა, — უნდა იყოს ლიდერი და არც ერთ სხვა ერს არ აქვს ასეთი უნარი“. ჩინეთსა და რუსეთს შორის კავშირების გაღრმავება კი აშშ-ის ლიდერობას ეჭვქვეშ დააყენებს.

2020 წლის ოქტომბერში ჩინეთთან ფორმალური სამხედრო კავშირის შექმნის შესახებ კითხვას რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ასე უპასუხა: „თეორიულად ეს სავსებით შესაძლებელია“. რუსეთი და ჩინეთი რეგულარულად ატარებენ ერთობლივ სამხედრო სწავლებებს, მოსკოვი ჩინეთის შეიარაღების თანამედროვე სისტემებითაც ამარაგებს.

**რაც დრო გადის, აშშ-ს მით უფრო უჭირს ორ მეტოქესთან — რუსეთსა და ჩინეთთან — ბრძოლა, ამიტომ ცდილობს, მათ შორის შუღლი ჩამოაგდოს.**

ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებების თემების სია ძალიან გრძელია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრატეგიული სტაბილურობისა და შეიარაღების გაკონტროლების საკითხები. სწორედ ეს საკითხები იყო 2021 წლის 16 ივნისს პუტინისა და ბაიდენის ჟენევაში შეხვედრისას ყურადღების ცენტრში. არის სხვა თემებიც: უკრაინა, სირია, ირანი, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ კრემლი ბაიდენის ადმინისტრაციასთან ჩინეთის საკითხის



**G7-ის, ნატოსა და ევროკავშირის სამიტების მიხედვით აშკარაა, რომ აშშ მთლიანად კონცენტრირებულია რუსეთსა და ჩინეთთან დაპირისპირებაზე. «ორმაგი საფრთხის» თეზისის გამოყენებით ამერიკელები მიუთითებენ, რომ ისინი შეინარჩუნებენ დაძაბულობას რუსეთთან. ავღანეთიდან გასვლის შემდეგ ბევრი ელოდა, რომ აშშ-ის იმპერიული ამბიციები შემცირდებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა**

განხილვას შეუდგეს რომელიმე დონეზე. ჩინეთ-რუსეთის პარტნიორობას ამერიკა ვერაფერს დააკლებს.

სხვა საქმეა ნატო. **აშშ-ის ევროპელმა მოკავშირეებმა 2021 წლის 14 ივნისს ბელგიაში გამართულ სამიტზე პირველად დაასახელეს ჩინეთი ალიანსის საფრთხედ.**

„ჩინეთის გაცხადებული ამბიციები და შეუპოვარი მოქმედებები სისტემური გამოწვევაა საერთაშორისო წესრიგისთვის, რომელიც დაფუძნებულია ალიანსის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ წესებზე“, — ნათქვამია ნატოს დასკვნით კომუნიკეში. **ვაშინგტონის ევროპელმა მოკავშირეებმა ვალდებულება დაიკისრეს, მოაგვარონ ის პრობლემები, რომლებითაც ჩინეთი ხელს უშლის აშშ-ის ლიდერობას ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონში. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ჩინეთი ახლა ისევე ჰყავს ამოღებული სამიზნეში, როგორც რუსეთი.**

G7-ის, ნატოსა და ევროკავშირის სამიტების მიხედვით აშკარაა, რომ აშშ მთლიანად კონცენტრირებულია რუსეთსა და ჩინეთთან დაპირისპირებაზე. „ორმაგი საფრთხის“ თეზისის გამოყენებით ამერიკელები მიუთითებენ, რომ ისინი შეინარჩუნებენ დაძაბულობას რუსეთთან. ავღანეთიდან გასვლის შემდეგ ბევრი ელოდა, რომ აშშ-ის იმპერიული ამბიციები შემცირდებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

**AUUKUS-ის შექმნით, ბაიდენის ადმინისტრაციამ ახალი ანტიჩინური დაჯგუფება ჩამოაყალიბა. ვაშინგტონმა მონიშნა საზღვარი ევროპასა და ანგლოსაქსურ სამყაროს შორის. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის ახალი ალიანსი არის „ინგლისურენოვანი“ სამხედრო კავშირი, რომლიდანაც „მოტეხეს“ საფრანგეთი.**

**2016 წელს ავსტრალიამ გარიგება დადო საფრანგეთთან დიზელის ძრავიანი წყალქვეშა ნავების ფლოტის შეძენაზე და უარი თქვა ინლისურამერიკულ ატომურ სუბმარინებზე, მაგრამ აშშ-ის ხელისუფლების სათავეში ბაიდენის მოსვლის შემდეგ ავსტრალიელებმა ფრანგებთან გარიგება გააუქმეს. ავსტრალიელების ამ გადაწყვეტილებას საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან-ივ ლე დრონმა „ზურგში დანის ჩარტყმა“ უწოდა.**

ვაშინგტონში მიიჩნევენ, რომ ჩინეთი ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ამერიკის ნებისმიერი ადმინისტრაციისთვის. AUUKUS-ის შექმნა მოწმობს, რომ ჩინეთთან დაპირისპირებაში აშშ-ის ნებისმიერ მოკავშირეს შეიძლება ჩაარტყან „დანა ზურგში“.

**rusdozor.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# «ახალი სამხედრო ალიანსის საპასუხოდ» — ევროკავშირს თავისი არმიის შექმნა სურს

**ევროკომისიაში ევროპის არმიის შექმნის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. ევროკავშირის ხელმძღვანელმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპაში საკუთარი თავდაცვითი კავშირი განსაკუთრებით აქტუალურია ავღანეთიდან აშშ-ის გაქცევის შემდეგ. ეს კავშირი მისიებს, სავარაუდოდ, აშშ-ის გარეშე შეასრულებს.**

**„ევროკავშირი თავისთავად არის უსაფრთხოების სრულფასოვანი წყარო. ჩვენ მოგვიწევს შესრულება მისიებისა, რომლებშიც არ იქნებიან აშშ და ნატო და ამოცანებს შეასრულებენ მხოლოდ ევროპის შეიარაღებული ძალები. აქამდე ჩვენ გვაკავებდა არა იმდენად შესაძლებლობების ნაკლებობა, რამდენადაც პოლიტიკური ნების არარსებობა, მაგრამ ახლა დროა, გადავიდეთ ახალ დონეზე“,** — განაცხადა ევროკომისიის თავმჯდომარემ.

ურსულა ფონ დერ ლაიენმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებებს, რომ ევროპის არმიის შექმნა აქტუალურია ავღანეთიდან აშშ-ის არმიის გაქცევის შემდეგ, რომელსაც მოჰყვა ევროკავშირის ქვეყნების სამხედრო ქვედანაყოფების გამოსვლაც, ევროპა კი ახალ მიგრაციულ კრიზისს შეიძლება შეეჯახოს.

ექსპერტთა აზრით, ურსულა ფონ დერ ლაიენის სიტყვები პასუხია აშშ-ის, დიდი ბნიტანეთისა და ავსტრალიის ახალი სამხედრო ალიანსის შექმნაზე, რომლის შესახებაც ახლახან გავრცელდა ინფორმაცია. უფრო ადრე ნატოს გენერალური მდივანი აფრთხილებდა ევროპელებს, რომ ევროპის შეიარაღებული ძალების შექმნამ შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს ევროპის უსაფრთხოებაზე.



**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

დასავლური უტოპია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შვედეთში მიიჩნევენ, რომ ნატოს აქვს ნაკლოვანებები: აშშ-ის გენერალურ სტრატეგიაზე დამოკიდებულება; მოვალეობების დუბლირება ნატოს სარდლობას, სამხედრო ქვედანაყოფების წარმომდგენ ქვეყნებსა და მიმღებ ქვეყნებს შორის; ალიანსის აღმოსავლეთევროპელი წევრი ქვეყნების შედარებითი სისუსტე; ევროპაში ინფრასტრუქტურის არარსებობა.**

# ფანტაზიები ნატოს გაფართოებაზე

**სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ამერიკულმა ცენტრმა (CSIS) 8 სექტემბერს გამოაქვეყნა მოხსენება ნატოს გაფართოებაზე. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია 5 ქვეყანაზე — საქართველოზე, უკრაინაზე, ბოსნია და ჰერცეგოვინაზე, შვედეთსა და ფინეთზე.**

## რა პირობები უნდა დააკმაყოფილოს საქართველომ ნატოში ინტეგრაციისთვის და რა თანხა დაჯდება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება

„ამ ქვეყნებიდან სამი — საქართველო, უკრაინა და ბოსნია და ჰერცეგოვინა — აქტიურად ცდილობს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებას. შვედეთი და ფინეთი არ მიისწრაფვიან წევრობისკენ და კვლავ ემხრობიან არაინტეგრაციას“. ბოსნია და ჰერცეგოვინას სურვილი, გახდეს ნატოს წევრი, საკამათო საკითხია; როგორც მოხსენებაშია ნათქვამი, ბოსნია და ჰერცეგოვინას შემადგენლობაში სერბეთის რესპუბლიკის ყოფნით (ის ნატოში შესვლის წინააღმდეგია), აგრეთვე, ბოსნია და ჰერცეგოვინის, როგორც შეზღუდული სუვერენიტეტის მქონე წარმონაქმნის, სპეციფიკური სტატუსის გამო.

მოხსენების ავტორები მიუთითებენ: „ფართომასშტაბიანი ოპერაციებისთვის ნატოს შესაძლებლობები შეზღუდულია. რუსეთთან შედარებით, ნატოს არაწევრი ქვეყნების დანახარჯები და ძალები გაცილებით მეტია, მაგრამ ნატო მცირე შესაძლებლობების ძალების განლაგების პრობლემას განიცდის. ალიანსს, რომელმაც ცივი ომის პერიოდში 40 დივიზია (დაახლოებით 360 საბრძოლო ბატალიონი) განალაგა ჩრდილოეთ ევროპაში, ახლა დიდი ძალისხმევის გამოჩენა დასჭირდა ბალტიისპირეთში 4 ბატალიონის შესაყვანად.

**შვედეთში მიიჩნევენ, რომ ნატოს აქვს ნაკლოვანებები: აშშ-ის გენერალურ სტრატეგიაზე დამოკიდებულება; მოვალეობების დუბლირება ნატოს სარდლობას, სამხედრო ქვედანაყოფების წარმომდგენ ქვეყნებსა და მიმღებ ქვეყნებს შორის; ალიანსის აღმოსავლეთევროპელი წევრი ქვეყნების შედარებითი სისუსტე; ევროპაში ინფრასტრუქტურის არარსებობა.**

მოხსენების ავტორები მიუთითებენ შენელებული ტემპით გადაწყვეტილების მიღებაზე. აშკარაა, რომ ალიანსის გაფართოება გააღრმავებს ამ მდგომარეობას. ალიანსის შიგნით სირთულეები იქმნებოდა კონფლიქტის პერიოდში სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის არჩევისას.

„ნატოს თავდაცვითი კონცეფციის განხილვისას დამგეგმავები აწყდებოდნენ არჩევანის სირთულეებს: მხარი დაეჭირათ წინა ხაზის თავდაცვისთვის, რომელიც უზრუნველყოფდა ტერიტორიის შენარჩუნებას თუ დაეწყოთ მობილური თავდაცვა, რომლის მიუხედავადაც თავდაპირველად ტოვებ ტერიტორიას და თანამიმდევრულად გადადიხარ კონტრშეტევაზე“.

2016 წლიდან ნატო ყოველწლიურად ატარებს ერთობლივ სწავლებას ქართველ სამხედროებთან და აქვს ოფისი საქართველოში. **საქართველო წარმატებით რომ დაუპირისპირდეს რუსეთის სამხედრო ოპერაციას, თვით ნატოს მონაწილეობითაც კი, როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, აუცილებელია, სულ ცოტა, ორი პირობის შესრულება: მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის გადასროლა და თურქეთის თუნდაც პასიური მონაწილეობა კონფლიქტში, თურქეთის ტერიტორიაზე სამხედრო კონტინგენტის განლაგების შემდეგ მათი გადაადგილებით საქართველოს ტერიტორიაზე ხმელეთსა და ჰაერში. ჯარების ბაზებში განლაგებისთვის ინფრასტრუქტურის შესქმნელად და სამხედრო კონტინგენტის როტაციისთვის, აგრეთვე, წვრთნების ჩასატარებლად წელიწადში 7 მლრდ დოლარია საჭირო. ამ თანხის ნახევრის გადახდა აშშ-ს დააწვება მხრებზე, მეორე ნახევარი — ალიანსის ევროპელ წევრებს.**

**უკრაინა** უფრო რთული შემთხვევაა. ავტორები ფანტაზიას მიმართავენ „რუსულ აგრესიაზე“ და აღწერენ სცენარს, რომლის მიხედვით რუსი სამხედროები დაიკავებენ უკრაინის ნაწილს და ალყაში მოაქცევენ უკრაინის ჯარს, რომელიც შეეცდება ხარკოვისა და სხვა ქალაქების დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ სცენარის მიხედვით ნატოს შეუძლია, დაარტყას რუსულ სამხედრო შენაერთებს, მათ შეჩერებას ვერ მოახერხებს. კონტრშეტევისთვის სათანადო პირობების შექმნას ნატო მხოლოდ 3 თვის შემდეგ შეძლებს, მაგრამ საპასუხოდ რუსეთი, ვარაუდობენ მოხსენების ავტორები, ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს.

**უკრაინის უსაფრთხოების განმტკიცებას მის ტერიტორიაზე ნატოს 3 ბრიგადის მუდმივად განლაგება დასჭირდება, აგრეთვე, შეიარაღების შესყიდვა, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის ერთი ბრიგადის დისლოკაცია, აშშ-ის ინსტრუქტორები და მეთაურები (250 კაცი), აშშ-ის 2 და ნატოს ერთი საჰაერო-სამხედრო ძალების ესკადრილია. ამ ყველაფრისთვის კი საჭიროა 27 მლრდ დოლარი.**

მოხსენების ავტორებს გათვალისწინებული აქვთ დონბასის ფაქტორიც. ნავარაუდევია, რომ აჯანყების ჩახშობას დიდი ძალისხმევა და ფინანსები დასჭირდება. „მშვიდობის მხარდასაჭერად“ აუცილებელი იქნება 98 მლრდ დოლარის გამოყოფა 5 წლის განმავლობაში, შემდეგ კიდევ 130 მლრდ ერაყისა და ავღანეთის გამოცდილების გათვალისწინებით.

**ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში** ძირითადი პრობლემა სერბი მოსახლეობა და თვით სერბეთის პოზიციაა. დაპირისპირებას, სავარაუდოდ, დასჭირდება 24,6 მლრდ დოლარი. ბოსნია და ჰერცეგოვინას ნაწილში ნათქვამია, რომ იქ წესრიგის დასამყარებლად აუცილებელი იქნება ჯარების შეყვანა.




**საქართველო წარმატებით რომ დაუპირისპირდეს რუსეთის სამხედრო ოპერაციას თვით ნატოს მონაწილეობითაც კი, როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, აუცილებელია, სულ ცოტა, ორი პირობის შესრულება: მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის გადასროლა და თურქეთის თუნდაც პასიური მონაწილეობა კონფლიქტში, თურქეთის ტერიტორიაზე სამხედრო კონტინგენტის განლაგების შემდეგ მათი გადაადგილება საქართველოს ტერიტორიაზე ხმელეთსა და ჰაერში. ჯარების ბაზებში განლაგებისთვის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად და სამხედრო კონტინგენტის როტაციისთვის, აგრეთვე, წვრთნების ჩასატარებლად წელიწადში 7 მლრდ დოლარია საჭირო**




**შვედეთი.** აქ მოხსენების ავტორები თავიანთ წარმოსახვას გასაქანს აძლევენ. „ნატოსა და რუსეთს შორის კონფლიქტში, მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებში რუსეთის შეჭრისას, შვედეთი აუცილებლად იქნება ჩათრეული. რადგან ფინეთი ბუფერის როლს ასრულებს რუსეთთან, ხმელეთიდან თავდასხმა ნაკლებად სავარაუდოა. შვედეთი სამი თავდაცვითი ამოცანის გადაჭრის წინაშე დადგება: რუსეთის საჰაერო და სარაკეტო თავდასხმების დაცვა, თავისი ტერიტორიის დაცვა რუსეთის შეჭრისგან და კუნძულ გოტლანდისა და სხვა საკვანძო ინფრასტრუქტურის დაცვა, რათა ნატოს შეიარაღებულმა ძალებმა შეძლონ მათი გამოყენება სამხედრო ქვედანაყოფების შესაყვანად ბალტიის ქვეყნებში“.

**ამისათვის საჭიროა, თვითმფრინავებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებების განლაგება გოტლანდისა და შვედეთის სხვა პოზიციების დასაცავად. ამერიკის შეერთებულ შტატებს ეს 3,2 მლრდ დაუჯდება, ნატოს კი მოუწევს კიდევ 6,4 მლრდ-ის დამატება.**

როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, **„სუფთა სამხედრო ამოცანების გარდა, შვედეთი სამხედრო-პოლიტიკურ პრობლემებსაც აწყდება ნატოში ინტეგრაციის გზაზე: ნატოს წევრობა არა მხოლოდ შვედეთის ტერიტორიის დაცვისა და საგარეო აგრესიისგან დაცვის გარანტიაა, ის, აგრეთვე, „მოითხოვს, რომ შვედეთი მონაწილეობდეს სხვა ქვეყნების კონფლიქტებში, რაც ამ ქვეყანას არ გაუკეთებია XVIII საუკუნის შემდეგ“.**

„რაც შეეხება **ფინეთს,** მოხსენების ავტორები ვარაუდობენ, რომ ფინელები დაინტერესებულნი არ არიან, თავიანთ ტერიტორიაზე მიიწვიონ უცხო ქვეყნების სამხედრო კონტინგენტები, რათა ამით რუსეთის პროვოცირება არ მოხდეს.

**რუსეთ-ფინეთის კონფლიქტზე საუბრისას მოხსენების ავტორები ავითარებენ რუსეთის მიერ ალანდის კუნძულების ოკუპაციას. ფინეთი იძულებული იქნება, რომ აგრესიას უპასუხოს, მაგრამ ფინეთს არ აქვს არც ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები და არც შესაბამისი სამხედრო ავიაცია რუსეთთან დასაპირისპირებლად. ნატოს ფინეთის დახმარება 5,3 მლრდ დოლარი დაუჯდება.**

აღასანიშნავია, რომ სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ამერიკული ცენტრის მოხსენებაში აშკარად ჩანს განზრახვა, რუსეთი წარმოაჩინონ ევროპული ქვეყნების საფრთხედ და შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ ქვეყნებს, ნატოსთან დაახლოების გარდა, სხვა ალტერნატივა არ აქვთ.

**vpoanalytics.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**წყნარად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიკურმა ხელისუფლებამ დაიწყო ორი ურთიერთდაკავშირებული პროცესის გააქტიურება. ერთი მხრივ, ათავისუფლებენ დოლარში ნომინირებული აქტივების რესურსებს; მეორე მხრივ, ყველაფერს აკეთებენ, რათა ამერიკული ვალუტა არ დაბრუნდეს ჩინეთის ეკონომიკაში.**

## დედოლარიზაციის პროცესი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩინეთმა დოლარზე უარის თქმის პროცედურა დააჩქარა

**ავლანეთიდან აშშ-ის ხმაურიანი გაქცევის ფონზე თითქმის შეუმჩნეველი დარჩა სიახლე, რომლის მნიშვნელობაც უზარმაზარია. ჩინეთმა დაიწყო ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც აშკარად მიუთითებს პეკინის მხრიდან იმ სტრატეგიული გეგმის დაჩქარებულ რეალიზაციაზე, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთის ეკონომიკის გაყვანას ამერიკული დოლარის ფინანსური დომინაციის ზონიდან. თანაც, პეკინი ამას უხმაუროდ აკეთებს.**



The Dunday Telegraph-ის ანალიტიკოსების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჩინეთის სახალხო ბანკმა გააააქტიურა წამყვანი ბრიტანული კომპანიების აქციების შესყიდვის პროცედურა. აქცენტი კეთდება „გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკის ბურჯებზე“, რომლებიც ქმნიან მის საკვანძო საბირჟო ინდექსს — FTSE100-ს. **ჩინეთის ცენტრალური ბანკის ხელში უკვე BP-ისა და ROYAL DUTCH SHELL-ის აქციების 1,5%-ია. სხვათა შორის, ROYAL DUTCH SHELL-ში მოცულობის მხრივ ჩინეთი A კატეგორიის აქციების მფლობელთა შორის მეოთხეა. ჩინეთი აქციების 1%-ს ფლობს ფიჭურ ოპერატორ VODA FONE-სა და სამთო მომპოვებელ კომპანიებში — BHP-სა და ANGLEO AMERICAN-ში. ჩინეთის ყურადღების ცენტრში მოექცა ბრიტანეთის ეკონომიკის ენერგეტიკული და სამთო მომპოვებელი სექტორები, რომელთა ფასიანი ქაღალდები ჩინეთის საინვესტიციო პორტფელის 25 და 16 პროცენტს შეადგენს ბრიტანეთში.**

10 წელზე მეტია, ჩინეთი აქტიურად აბანდებს თანხებს უცხოურ კომპანიებში. სხვა საქმეა, რომ უკვე 2021 წლის მეორე კვარტალში ასეთი ინვესტიციების ოდენობა მხოლოდ 2 მლრდ იყო, სექტემბრის პირველი დეკადის ბოლოს კი — 17,1 მლრდ. ჩინურმა ინვესტიციებმა მხოლოდ 2 თვეში 8,55-ჯერ მოიმატა. **ჩინეთი აქტიურად ყიდულობს უცხოური ენერგეტიკული და ნედლეულის მომპოვებელი კომპანიების წილებს იტალიაში, მალაიზიასა და სხვა ქვეყნებში. როგორც სააგენტო Bloomberg-ი აღნიშნავს, ჩინური რეგულატორის პორტფელში ამერიკული აქციები არ არის.**

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ჩინეთმა დაიწყო თავისი ეკონომიკის გამოყვანა ამერიკული დოლარის ფინანსური დომინაციის ზონიდან. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ჩინეთის სახალხო ბანკის 2021 წლის 13 სექტემბრის განკარგულება იუანის კურსის გამყარების შესახებ.

69 საბაზისო პუნქტის შედეგად, 1 დოლარის ღირებულებამ 6,4497 იუანი შეადგინა. უკვე მეორედ მოხდა ჩინური ვალუტის კურსის გაზრდა 2021 წლის 18 ივნისის შემდეგ.

მოკლედ, **წყნარად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიკურმა ხელისუფლებამ დაიწყო ორი ურთიერთდაკავშირებული პროცესის გააქტიურება: ერთი მხრივ, ათავისუფლებენ დოლარში ნომინირებული აქტივების რესურსებს; მეორე მხრივ, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ამერიკული ვალუტა არ დაბრუნდეს ჩინეთის ეკონომიკაში.**

**ჩინეთი აქტიურად ყიდულობს უცხოური ენერგეტიკული და ნედლეულის მომპოვებელი კომპანიების წილებს იტალიაში, მალაიზიასა და სხვა ქვეყნებში. როგორც სააგენტო Bloomberg-ი აღნიშნავს, ჩინური რეგულატორის პორტფელში ამერიკული აქციები არ არის**

დაგროვილი ფულის მასის გასტერილურება „დოლარის ზონის“ შიგნით ხდება აქტივების შეძენით, რომლებსაც გარანტირებული შანსი აქვს, არ გაუფასურდეს ამერიკის ვალუტის კურსის დაცემის შემთხვევაში.

როგორი ფულიც უნდა გაჩნდეს შემდგომ და რაც უნდა ღირდეს, ენერგომატარებლების ბაზარზე, აგრეთვე, ნედლეულზე მოთხოვნა მაინც შენარჩუნდება, ეს კი მკვეთრად გააძლიერებს ჩინეთის პოზიციებს „გლობალური შტორმის“ პერიოდშიც და მის შემდეგაც.

უნდა აღინიშნოს ამ გადაწყვეტილების დახვეწილობა. თუ „შემდგომ“, პირობითად, დასავლეთი შეეცდება „ჩინეთის აქტივების“ ნაციონალიზაციას, ეს ავტომატურად გაუხსნის ხელებს პეკინს ქვეყანაში ანალოგიური ნაბიჯის გადასადგმელად; მაგრამ, თუ დანაკარგებში, მაგალითად, ბრიტანულ აქტივებში, აღმოჩნდება მხოლოდ კავშირგაბმულობის ან ელექტროქსელების ოპერატორები, მაშინ ჩინეთში ამერიკელები დაკარგავენ, ვთქვათ, კორპორაცია Apple-ს ყველა ქარხანას, ეს კორპორაცია კი თავისი ობიექტებით ამერიკის ერთ-ერთი ბურჯია.

გენიალური სვლაა. „დოლარის სტერილიზაციის“ დაჩქარებული ტემპი კი აჩენს აზრს, რომ ქარიშხლის დაწყებამდე დრო არც ისე ბევრი რჩება.

**russtrat.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



**ჩინეთის ცენტრალური ბანკის ხელში უკვე BP-ისა და Royal Dutch Shell-ის აქციების 1,5%-ია. სხვათა შორის, Royal Dutch Shell-ში მოცულობის მხრივ ჩინეთი A კატეგორიის აქციების მფლობელთა შორის მეოთხეა. ჩინეთი აქციების 1%-ს ფლობს ფიჭურ ოპერატორ Voda fone-სა და სამთო მომპოვებელ კომპანიებში — BHP-სა და Angleo American-ში. ჩინეთის ყურადღების ცენტრში მოექცა ბრიტანეთის ეკონომიკის ენერგეტიკული და სამთო მომპოვებელი სექტორები, რომელთა ფასიანი ქაღალდები ჩინეთის საინვესტიციო პორტფელის 25 და 16 პროცენტს შეადგენს ბრიტანეთში**

# ლუკაშენკომ თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის წევრებს დოლარზე უარის თქმისკენ მოუწოდა

**ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის ქვეყნებს (ირანი, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ჩინეთი, პაკისტანი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ინდოეთი) მოუწოდა, უარი თქვან დოლარზე დამოკიდებულებაზე, რომელიც ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება. ამის ნაცვლად მან ქვეყნების ლიდერებს შესთავაზა, ვაჭრობაში ეროვნული ვალუტის გამოყენებაზე გადავიდნენ.**

ბელარუსის ლიდერმა ეს თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის (თშო) სამიტზე განაცხადა:

**„ბოლო ხანს შექმნილი ვითარება წარმოაჩენს სულ უფრო მეტ მოწყვლადობას იმ ქვეყნებისა, რომლებიც მთლიანად ეყრდნობიან ყველასთვის ცნობილ ერთ ვალუტას. ამის გამო ჩვენ ვკარგავთ არა მხოლოდ კონკურენტულ ფინანსურ და ეკონომიკურ უპირატესობას, არამედ საფრთხე ექმნება ეროვნულ უსაფრთხოებას, მით უმეტეს, რომ ხშირად ამ ბერკეტს იარაღად იყენებენ“.**

ბელარუსის ლიდერის თქმით, თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის განვითარების ბანკისა და განვითარების ფონდის შექმნა შესაძლებლობას მისცემს ქვეყნებს, მიიღონ დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა და ამით უზრუნველყონ სუვერენული და ეკონომიკური განვითარება დასავლეთისგან დამოუკიდებლად.

რუსეთიც ცდილობს დოლარიდან გასვლას. რუსეთის ცენტრალური ბანკის მონაცემებით, 2020 წლის მეოთხე კვარტალში რუსეთის საექსპორტო ანგარიშებში დოლარის წილი 48%-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ბირჟებზე დოლარის კურსი დაეცა.

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვალერი მელაძე (5შვილი)

მომღერალ ვალერი მელაძეს პირველი ქორწინებიდან 3 ქალიშვილი ჰყავს. პირველი ქორწინება 2014 წელს დასრულდა. ვალერიმ მეორედ იქორწინა მომღერალ ალბინა ჯანაბაევაზე, რომელთანაც 2 ვაჟი ჰყავს.



# რეკორდსმენი მამები

**მამის საერთაშორისო დღე 20 ივნისს აღინიშნება მსოფლიოში. მამაკაცისთვის, რომელსაც ბევრი შთამომავალი ჰყავს, მრავალშვილიანობა, რა თქმა უნდა, იგივე არ არის, რაც ქალისთვის, მაგრამ ზოგჯერ მამაკაცებიც ქალებზე არანაკლებ ზრუნავენ თავიანთ შვილებზე. გაიცანით ცნობილი მრავალშვილიანი მამები.**



## ჩარლი ჩაპლინი (12 შვილი)

მრავალშვილიანი მამებიდან მსოფლიოში ყველაზე ცნობილია მსახიობი **ჩარლი ჩაპლინი,** რომელსაც 12 შვილი ჰყავდა. მსახიობი 4-ჯერ იყო დაქორწინებული. მათგან 8 შვილი აჩუქა ბოლო მეუღლემ — უნამ. ჩაპლინი 70 წლის იყო, როცა ნაბოლარა შეეძინა.






## მელ გიბსონი (9 შვილი)

მელ გიბსონის სახელი დიდი ხნის განმავლობაში ასოცირდებოდა კარგ მეოჯახე მამაკაცთან. მას 6 ვაჟი და 1 ქალიშვილი გაუჩინა პირველმა ცოლმა **რობინ მურმა.** 30-წლიანი ქორწინება დაარღვია მელ გიბსონის „უხერხულმა“ შეხვედრამ რუს პიანისტ **ოქსანა გრიგორიევასთან.** იმ საბედისწერო შეხვედრის შემდეგ გიბსონისა და მურის ოჯახი დაინგრა. ეს იყო 2011 წელს. შემდეგ მელ გიბსონს გრიგორიევასგან შვილი შეეძინა, მაგრამ მათი ქორწინება სკანდალებითა და სასამართლო გარჩევით დასრულდა, გრიგორიევასთან ქორწინება პოპულარულ მსახიობს ნერვიულობად და დიდძალ ფულად დაუჯდა. ამბობენ, რომ მსახიობ **ჯოდი ფოსტერის** ორი ვაჟის მამაც მელ გიბსონია, მაგრამ ეს ოფიციალურად არ არის დადასტურებული. 2017 წელს მელი მე-9 შვილის მამა გახდა. 61 წლის მსახიობმა და რეჟისორმა სიმშვიდე ჰპოვა 26 წლის **როზანა რიჩისთან.**

## რობერტ დე ნირო (6 შვილი)

მსახიობმა პირველი ბავშვი იშვილა — ის იყო მისი პირველი ცოლის, **დაიან ეზოტის,** ქალიშვილი; შემდეგ წყვილს ეყოლა ვაჟი რაფაელი. რობერტს ტყუპი ეყოლა **ტუკი სმიტთან** რომანის შემდეგ. მეორე ცოლთან, **გრეის ჰაიტაუერთან,** კი რობერტ დე ნიროს 2 შვილი ჰყავს. მსახიობი 68 წლის იყო, როცა ბოლო შვილი შეეძინა.






## კლინტ ისტვუდი (8 შვილი)

პოპულარულ მსახიობს 8 შვილი 6-მა სხვადასხვა ქალმა გაუჩინა. სხვათა შორის, კლინტ ისტვუდს ქორწინების გარეშე ჰყავს ქალიშვილი, რომელსაც 30 წლის განმავლობაში უმალავდა საზოგადოებას. დღეს ლორი უკვე 61 წლისაა, კლინტ ისტვუდი კი — 91-ის.



## სტივენ სპილბერგი (7 შვილი)

სტივენ სპილბერგის ცხოვრება არა მხოლოდ წარმატრებული კინოგადაღებებით არის სავსე, არამედ შთამომავლებითაც. პირველი ქორწინებიდან რეჟისორს ჰყავს ვაჟი. სხვა ქალებისგან გაჩენილი შვილების გარდა (4 ბიოლოგიური შვილი), სტივენს ჰყავს ნაშვილები ვაჟი და გერი ქალიშვილი **კეიტ კეპშლოუსგან.**




## კევინ კოსტნერი (7 შვილი)

კევინის პირველმა ცოლმა — სკოლის სიყვარულმა **სინდი სილვამ** მსახიობს სამი შვილი აჩუქა. წყვილის ქორწინება 1994 წლამდე გაგრძელდა. კევინ კოსტნერს შემდეგი შვილი მსახიობ **ბრიჯიტ რუნისგან** შეეძინა, რომელთანაც არ უქორწინია. 2004 წელს კი მსახიობს შეუყვარდა 20 წლით უმცროსი კრისტიან ბაუმგრენერი, რომელმაც კევინს 3 შვილი აჩუქა.



## ბრედ პიტი (6 შვილი)

ამჟამად ბრედ პიტი და **ანჯელინა ჯოლი** უკვე განქორწინებულები არიან, მაგრამ ყველაზე წარმატებულ ჰოლივუდელ წყვილს 6 შვილი ჰყავს — 3 ნაშვილები და 3 ბიოლოგიური.

თავის ინტერვიუებში ბრედ პიტს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ შვილები საუკეთესოა, რაც მას საყვარელ ქალთან ურთიერთობამ მისცა.



## დიმიტრი პესკოვი (5 შვილი)

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი 5 შვილის მამაა. პირველი ქორწინებიდან ვაჟი ჰყავს, მეორე მეუღლემ პოლიტიკოსს 3 შვილი გაუჩინა, მესამემ კი, ცნობილმა მოციგურავემ, 2006 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა **ტატიანა ნავკამ** — ქალიშვილი.



## არნოლდ შვარცენეგერი (5 შვილი)

პოპულარულ მსახიობსა და კალიფორნიის ყოფილ გუბერნატორზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას არა 4, არამედ 5 შვილი ჰყავს. შვარცენეგერის მე-5 შვილზე (ქორწინების გარეშე) გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ **მარია შრაივერი,** რომელმაც არნოლდს 2 ვაჟი და 2 ქალიშვილი აჩუქა, ქმარს გაშორდა, მაგრამ მშობლები კვლავაც განაგრძობენ შვილების აღზრდას.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

„მე ვიყავი პატარა, მორცხვი გოგონა, რომელიც პირს ზედმეტად არ აღებდა, მაგრამ ვარჯიშისას ვისწავლე ბრძოლა, გაბედულება, სიმამაცე, განვივითარე შინაგანი ძალა, ამით კი, რასაც გინდა, იმას მიაღწევ“, — ამბობს 19 წლის ჩემპიონი-სენსაცია.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩემპიონი-სენსაცია

## 18 წლის გოგონამ, რომელმაც ახლახან დაამთავრა სკოლა, ამერიკის ღია პირველობა მოიგო. უყვარს მოტოციკლები და უკვე გადაიღეს Vogue-სთვის

**ამერიკის 2021 წლის ღია ჩემპიონატის ფინალში WTA-ს სარეიტინგო სიაში 150-ე ჩოგანმა, ბრიტანელმა ემა რადუკანუმ სარეიტინგო სიის 73-ე ჩოგანი, კანადელი ლეილა ფერნანდესი დაამარცხა — 6:4, 6:3. ეს 1999 წლის შემდეგ პირველი ფინალია, რომელშიც თინეიჯერები მონაწილეობდნენ. იმხანად სერენა უილიამსმა მარტინა ჰინგისი დაამარცხა. ვირჯინია უეიდის შემდეგ, რომელმაც 1977 წელს უიმბლდონის ტურნირი მოიგო, რადუკანუ „დიდი მუზარადის“ ტურნირებში გამარჯვებული პირველი ბრიტანელია.**





**ემა რადუკანუმ** ფინალამდე 6 ჩოგბურთელი დაამარცხა.

მან ამერიკის ღია პირველობა (US open) საკვალიფიკაციო ტურნირით დაიწყო და არც ერთი სეტი არ წაუგია. ამ მომენტისთვის რადუკანუმ, რომელსაც 13 ნოემბერს 19 წელი შეუსრულდება, სამ თვეში 7 მატჩი გამართა 50 საუკეთესოთა სიაში მყოფ ჩოგბურთელ ქალებთან და შვიდივეში გაიმარჯვა.

„მსურს მოვიგო ყველა მატჩი, ამიტომ მოვლენებს წინ არ ვუსწრებ და ვფიქრობ მხოლოდ დღევანდელზე. იმის კონტროლი, რისი გაკონტროლებაც შეგიძლია, შედეგის მიღწევის საუკეთესო მეთოდია. მე კონცენტრირებული ვარ მხოლოდ მიმდინარე მომენტზე, ასე რომ, არაფრის შეცვლას არ ვაპირებ“, — განაცხადა რადუკანუმ ამერიკის ღია პირველობის მიმდინარეობისას. ასეთი აზროვნება X საუკუნის ბევრი ჩოგბურთელისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ რადუკანუ მათ ფონზეც გამოირჩევა. მოქნილობამ, მანევრირებამ და გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარმა მას გამორჩეულად ნიჭიერი ჩოგბურთელის სტატუსი შესძინა.

ჩინელი ქალისა და რუმინელი მამაკაცის ერთადერთი ქალიშვილი, ემა რადუკანუ, კანადის ქალაქ მონრეალში დაიბადა. დედა რენე და მამა იენი ფინანსისტები არიან, მაგრამ მათ შვილს მრავალმხრივი უნარები და ინტერესები გაუღვივეს. შედეგად, ემა ბავშვობაში დაკავებული იყო ბალეტით, ცურვით, ცხენოსნობით, გოლფით, კარტინგითა და მოტოკროსით. მამამ კი გოგონას პროექტირება და მშენებლობისადმი ინტერესი გაუღვიძა.

**6 წლის იყო, როცა ჩოგბურთში მეცადინეობა დაიწყო და იძულებული შეიქნა, ყველაფერი მიეტოვებინა, მოტოციკლებიც კი.**

„კარტინგისა და მოტოკროსის ჯგუფში ერთადერთი გოგონა ვიყავი, — უამბო რადუკანუმ ჟურნალისტს ერთ-ერთ ინტერვიუში, — ერთხელ მწვრთნელმა გვითხრა, ახლა იატაკიდან აზიდვები გავაკეთოთო, და მე აღმოვჩნდი ერთადერთი, ვინც ეს შეძლო. მეამაყებოდა ჩემი თავი“.

2020 წელს, როცა ჩოგბურთი ლოკდაუნიდან გამოვიდა, მშობლებმა ემას შესთავაზეს, არ განეახლებინა გამოსვლები, მის ჯანმრთელობას საფრთხე რომ არ დამუქრებოდა, აგრეთვე, მეტი ყურადღება დაეთმო სკოლისთვის. შედეგად, 16 თვის განმავლობაში არ უთამაშია. უიმბლდონის ტურნირის შემდეგ კი მამამ, იენ რადუკანუმ, შვილს მწვრთნელი შეუცვალა — გაათავისუფლა **ნაიჯელ სირსი** და გამოსაცდელი ვადით მოიყვანა **ენდრიუ რიჩარდსონი.** მშობლების გასახარად ემამ წარმატებით ჩააბარა სკოლის გამოსაშვები გამოცდები, ზაფხულში კი ოქროს ჭიშკრის ფონზე გადაღებულ ფოტოს მიაწერა: **„(ჯოზეფ) სტროსის გენიალური ნაგებობა 1930-იანი წლებიდან, საუცხოოა მისი პირველად ნახვა ცოცხლად მას შემდეგ, რაც მერვე კლასში დიზაინისა და ტექნოლოგიების გაკვეთილზე შევისწავლე. ყველა ფიქრობს, რომ მე ვგიჟდები შეფასებებზე, მაგრამ ასე არ არის, მე, უბრალოდ, მაღალი სტანდარტები მაქვს და ამან მიმიყვანა იქ, სადაც ვარ — ჩოგბურთშიც და სკოლაშიც“.**






სხვათა შორის, გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა რადუკანუმ, სწავლობდა 200 მ-ზე სირბილში მსოფლიო ჩემპიონი **დინა ეშერ-სმიტი,** კოსმოსის კვლევის ექსპერტი **ლიბი ჯექსონი** და მსახიობი **ჯემა ჩანი,** რომელმაც შემდეგ ოქსფორდში ჩააბარა და რომელიც ჟურნალ Vogue-ს სექტემბრის ნომრის ყდაზე გამოჩნდა, ოქტომბერში კი Vogue ყდაზე რადუკანუს ფოტოს დაბეჭდავს.




სწავლაზე რადუკანუ ამბობს, რომ ის საშუალებას აძლევს, მოწყდეს ჩოგბურთს და გაიუმჯობესოს ანალიტიკური უნარები.

**„შემიძლია დიდი რაოდენობით ინფორმაციის გადამუშავება. ამის შედეგად კორტზე ბევრ ჩოგბურთელზე ტაქტიკურად გამოცდილი ვჩანვარ. ყველას აქვს თავისი ძლიერი მხარე, ჩემი ძლიერი მხარე სწრაფი აზროვნებაა“.**



„ის ძალიან ჭკვიანი და ჯანსაღი აზროვნების გოგონაა, — ამბობდა უიმბლდონის ტურნირის მიმდინარეობისას რადუკანუს აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი ნაიჯელ სირსი, — მას დიდი ამბიციები აქვს. ჩემი აზრით, მისგან შესანიშნავი ჩოგბურთელი დადგება. ყურადღება მოსწონს და ვფიქრობ, ეს ხელს არ შეუშლის სამომავლოდ. ყველაფერი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული“.

ემა თავის კერპებად რუმინელ **სიმონა ჰალეპსა** და ჩინელ **ლი ნას** ასახელებს. ამბობს, რომ მისი მიზანი საუკეთესო ათეულში მოხვედრაა და „დიდი მუზარადის“ რაც შეიძლება მეტჯერ მოგება. „მიმაჩნია, რომ მე მაქვს ხასიათი და გონებრივი შესაძლებლობები, დასახულ მიზნებს რომ მივაღწიო“.

„მე ვიყავი პატარა, მორცხვი გოგონა, რომელიც პირს ზედმეტად არ აღებდა, მაგრამ ვარჯიშისას ვისწავლე ბრძოლა, გაბედულება, სიმამაცე, განვივითარე შინაგანი ძალა, ამით კი, რასაც გინდა, იმას მიაღწევ“, — ამბობს 19 წლის ჩემპიონი-სენსაცია.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# Bloomberg-მა უმდიდრესი ოჯახების სია გამოაქვეყნა



**17 სექტემბერს სააგენტო Bloomberg-მა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ოჯახების სარეიტინგო სია გამოაქვეყნა. სიის სათავეში არიან უოლტონები, რომლებსაც Walmart-ის 10 ათასი მაღაზია აქვთ მსოფლიოში. მეორე ადგილზეა მარსების ოჯახი, რომლებსაც ხანგრძლივვადიანი საკონდიტრო ნაწარმის ბიზნესი (M&Ms, Milky Way და Snickers-ი) აქვთ.**

**სემ უოლტონმა** კომპანია Walmart-ი 1950 წელს დაარსა, დღეს Walton Enterprises-ის ქონება 238,2 მლრდ დოლარად არის შეფასებული, ხოლო **მარსების** ოჯახის ქონება — 141,9 მლრდ დოლარად, სიაში მესამეა **კოხების** ოჯახი — 124,4 მლრდ.

ათეულში შევიდნენ: **ერმეს** ოჯახი, რომელიც მოდის სახლ Hermes-ის მფლობელია — 116 მლრდ; **საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი** — 100 მლრდ; მოდის სახლ Chanel-ის მფლობელი **ვერტჰაიმერები** — 61,8 მლრდ და საინფორმაციო სააგენტო Tompson Reuters-ის მფლობელი **ტომპსონები** — 61,1 მლრდ.

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# დონალდ ტრამპი: აშშ-ს ბოლო მალე მოეღება!



**აშშ-ის ექსპრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტელეარხ Newsmax-ის ეთერში განაცხადა, რომ, თუ აშშ-ში ყველაფერი ასე გაგრძელდება, უახლოეს 3 წელიწადში ქვეყანას ბოლო მოეღება.**

**დონალდ ტრამპის** განცხადებით, პრეზიდენტის სავარძელში **ჯო ბაიდენის** ჩაჯდომის შემდეგ „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო დაღმართზე დაშვება ისე, როგორც არასდროს“.

„როცა ჩვენ წავალთ არჩევნებზე, რომელიც 2022 და 2024 წლებში უნდა გაიმართოს, ქვეყანა შეიძლება აღარ გვქონდეს“, — დასძინა ექსპრეზიდენტმა.

ტრამპი რეგულარულად აკრიტიკებს აშშ-ის ამჟამინდელ ადმინისტრაციას, განსაკუთრებით თავის ყოფილ კონკურენტს პრეზიდენტის პოსტზე — ჯო ბაიდენს.

მაგალითად, ექსპრეზიდენტმა თეთრი სახლის ამჟამინდელი მეთაური კაპიტულაციასა და ქვეყნის დამცირებაში დაადანაშაულა ავღანეთიდან ჯარების ნაჩქარევად გაყვანის გამო. ამას გარდა, ტრამპმა განაცხადა, — რინგზე რომ შეხვედროდა, ბაიდენს პირველივე წამებში ნოკაუტში ჩააგდებდა.

**rusvesna.su-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# კატალონია დამოუკიდებლობისთვის იბრძვის



**კარგა ხანია, ესპანეთის სამეფოში ერთობა არ არის. კატალონია, რომელიც ყოფილი არაგონის სამეფოს ტერიტორიაზე მდებარეობს, 1714 წლამდე ძალიან მდიდარი და ძლიერი იყო, შემდეგ კი ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. ეს, ბუნებრივია, ახსოვთ კატალონიელებს და დამოუკიდებლობა სურთ.**

უკვე 10 წელია, ესპანეთიდან კატალონიის გამოყოფაზე საუბრობენ, მაგრამ ერთადერთი, რასაც კატალონიამ მიაღწია, შედარებითი ავტონომიაა. ეს კატალონიელებს არ ჰყოფნით, ისინი თავს არ მიიჩნევენ ესპანელებად და არ სურთ, მათი სამშობლო სხვა ქვეყნის შემადგენლობაში იყოს.

რამდენიმე დღის წინათ კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით ბარსელონაში გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია, რომელშიც 400 ათასი კაცი მონაწილეობდა. დემონსტრანტების დასაშოშმინებლად ქალაქის გვარდია გამოიყვანეს 100 ათასი კაცის შემადგენლობით.

ესპანეთის ხელისუფლებამ იცის, რომ ძალისმიერი მეთოდებით ვერაფერს გახდება, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის. აშკარაა, რომ, ადრე თუ გვიან, კატალონია, რომელშიც 7,5 მლნ ადამიანი ცხოვრობს, დამოუკიდებლობას მოიპოვებს და ცალკე ქვეყანა იქნება სახელწოდებით არაგონი.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# «ირმის ნახტომის» ცენტრიდან წამოსულმა იდუმალმა სიგნალმა მეცნიერები საგონებელში ჩააგდო

**ავსტრალიელმა მეცნიერებმა პირველებმა შეძლეს უჩვეულო სიგნალის მიღება, რომელიც „ირმის ნახტომის“ გალაქტიკის ცენტრიდან მოდიოდა.**

როგორც The Astrophysical Journale იუწყება, ახალი სიგნალი უჩვეულო მახასიათებლებით გამოირჩევა. ეს ენერგიის წყარო რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩანდა რადიოსიხშირეების სპექტრში, როგორც ძალიან კაშკაშა ობიექტი, მაგრამ შემდეგ გაქრა. ამის გამო მეცნიერებმა ვერ შეძლეს ციური სხეულის სახეობის ამოცნობა. ამ რადიოსიგნალის მიღებაზე, რომელსაც ASKAP J173608. 2-321635 უწოდეს, რადიოტელესკოპ ASKAP-ის მომსახურე პერსონალმა გაავრცელა ინფორმაცია. ასტროფიზიკოსების თქმით, 2019 წლის აპრილიდან 2020 წლის აგვისტომდე რეგისტრირებულია 13 სიგნალი, თითოეულ მათგანს არ ჰქონია რამე შესამჩნევი სისტემა და რამდენიმე კვირაზე მეტხანს არ გაგრძელებულა. ამ მომენტისთვის სიგნალი ASKAP J173608.2-321635 მეცნიერების მიერ შეფასებულია, როგორც მოჩვენებითი, და მიეკუთვნება Galactic Center Radio Transients-ის ჯგუფს. ამ ცნებაში ხვდება აფეთქების შედეგად გამოყოფილი ენერგიის კაშკაშა წყაროები.

მათი წარმოშობა უცნობია, მაგრამ ბოლო ვერსიით, ასეთი ენერგიის გამოსხივება შეუძლია ძლიერი მაგნიტური ველის მქონე ნეიტრონულ ვარსკვლავებს.

**topnews.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# საფრანგეთმა აშშ-დან და ავსტრალიიდან ელჩები გაიწვია

**საფრანგეთი უპრეცედენტო დიპლომატიურ კრიზისშია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიასთან — 17 სექტემბერს ორივე ქვეყნიდან ელჩები გაიწვია საკონსულტაციოდ.**

პარიზი აშშ-ის პრეზიდენტ **ჯო ბაიდენს** ადანაშაულებს, რომ მან საფრანგეთს ზურგში დანა ჩაარტყა, როცა ქვეყანა ავსტრალიისთვის წყალქვეშა ნავების მიწოდების შეთანხმებას ჩამოაშორა.

პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, ავსტრალიისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრებმა: **სკოტ მორისონმა** და **ბორის ჯონსონმა** 15 სექტემბერს განაცხადეს ახალი სამმხრივი კავშირის შექმნის შესახებ წყნარ ოკეანეში, ალიანსს AUUKUS-ი (ავსტრალია, გაერთიანებული სამეფო, აშშ) უწოდეს.



კანბერამ უარი თქვა საფრანგეთთან გარიგებაზე, რომლის მეშვეობითაც ამ ქვეყნისგან 12 დიზელისძრავიანი წყალქვეშა ნავი უნდა ეყიდა, მის ნაცვლად ამერიკულ ატომურ წყალქვეშა ნავებს მიიღებს ჩინეთთან დასაპირისპირებლად.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# საქართველომ ფულადი გზავნილებით რეკორდული თანხა მიიღო — 1.5 მლრდ დოლარი

## გადმორიცხული თანხების მიხედვით კვლავ რუსეთი ლიდერობს

**2021 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში ფულადი გზავნილების სახით რეკორდული თანხა — 1.5 მლრდ დოლარი გადმოირიცხა. ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მიღებული გზავნილები წინა წელთან შედარებით 30%-ით მეტია. კონკრეტული თვეების მიხედვით, ყველაზე მეტი თანხა — 208.4 მლნ ივლისში გადმოირიცხა, აგვისტოში კი გზავნილებმა 11%-ით მოიმატა და 204 მლნ დოლარი იყო.**

რაც შეეხება ფულადი გზავნილების წყაროებს, ყველაზე მეტი ფული კვლავ რუსეთის ფედერაციიდან შემოდის, საიდანაც მიმდინარე წლის 8 თვეში 262.4 მლნ დოლარი გადმოირიცხა. 248.7 მლნ-ით მეორე ადგილზეა იტალია, 185.5 მლნ-ით მესამეზე — აშშ, მეოთხე ადგილს კი 161.5 მლნ-ით საბერძნეთი იკავებს.

2021 წლის განმავლობაში ფულადი გზავნილების სარეიტინგო სია ასეთია:

1. **რუსეთის ფედერაცია** — 262.4 მლნ დოლარი, მატება წინა წელთან შედარებით 19%;
2. **იტალია** — 248.7 მლნ, მატება 35%;
3. **აშშ** — 185.5 მლნ, მატება 40%;
4. **საბერძნეთი** — 161.5 მლნ, მატება 18%;
5. **ისრაელი** — 121.4 მლნ, მატება 22%;
6. **თურქეთი** — 69.6 მლნ, მატება 4%;
7. **გერმანია** — 69,1 მლნ, მატება 61%;
8. **უკრაინა** — 621 მლნ, მატება 40%;
9. **აზერბაიჯანი** — 56.3 მლნ, მატება 89%;
10. **ესპანეთი** — 36.5 მლნ, მატება 23%.

მსოფლიო ბანკის ბოლო შეფასებით, რომელიც 2019 წლის მონაცემებს ეფუძნება, ფულადი გზავნილები საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 13%-ის ოდენობისაა. ეს მსოფლიოს მასშტაბით 21-ე პოზიციაა და ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 2021 წლის განმავლობაში რეკორდულად გაზრდილი ფულადი გზავნილები, სავარაუდოდ, მიმდინარე პერიოდში ლარის გაცვლითი კურსის შედარებითი სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

**bm.ge**

საქართველო და მსოფლიო
თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894